ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია

დამტკიცებულია ააიპ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის
სააგენტოს მიერ

თბილისი 2011

ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია
2011 წ.

„სკოლამდელი განათლების სისტემა მომავალი საგანმანათლებლო წარმატებების, პიროვნული განვითარების, სოციალური ინტეგრაციისა და ეკონომიკური მდგრადობის საფუძველია“ (ევროკომისია, 2011)

დოკუმენტზე მუშაობდნენ:
აბაკელია ნუგზარი, ანჯაფარიძე მაია, ბაქრაძე თამარი,
ქირია ირინა, კეპულაძე ნელი, ლოსაბერიძე ანა,
მაისურაძე იაგო, ღვინერია ეთერი, ცინცაძე ნინო

სამუშაო ჯგუფი მადლობას უხდის კონსულტაციისთვის:
ანა აბაშიძეს, ანა არგანაშვილს, ბელა ყურაშვილს,
გულიკო დვალს, ედი ქიარს, თამარ ტაბახმელაშვილს,
თარიე ვიგენს, მარინა წარუმიძეს, ნანა რურუას,
ნინო ფრუიძეს, ქრისტინ სუნდს, შალვა ზარნაძეს და
თბილისის ყველა ბაგა-ბაღის დირექტორს

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი: თამარ ლორია
ასისტენტი: ნანა გოჩიაშვილი
მხატვარი: ქეთი ნადიბაიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლელა მაჭარაშვილი

გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

წინასიტყვაობა

ბაგა-ბაღის სტრატეგიული დოკუმენტის არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სისტემის გაუმჯობესებისა და მომსახურების მდგრადი განვითარებისათვის.

სტრატეგიის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

ბოლო წლებში საქართველოში არაერთი დოკუმენტი შეიქმნა სკოლამდელ აღზრდა-განათლებაზე, თუმცა სიტუაციურმა ანალიზმა ისევ გამოავლინა ბაგა-ბაღებში არსებული მრავალი პრობლემა. აღნიშნული მდგომარეობის დასაძლევად, ქ. თბილისის მერიის ინიციატივით, ბაგა-ბაღების თემატიკაზე არსებული ლიტერატურის გადახედვა, ანალიზი, სტრატეგიის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება დაიგეგმა.

დოკუმენტის კონცეპტუალური საფუძვლებია ბავშვის უფლებათა კონვენცია და ბავშვის ადრეული განვითარების სტანდარტი. სტრატეგიაში ასახულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვის არადისკრიმინაციული, არაძალადობრივი, რესურსებსა და ძლიერ მხარეებზე ორიენტირებული სააღმზრდელო თუ ფიზიკური გარემო. აღსაზრდელის განვითარება და დამოუკიდებელი უნარების წახალისება ბავშვის ადრეული განვითარების სტანდარტებით მოცემულ ასაკობრივ ჭრილშია განსაზღვრული.

სტრატეგია იქმნებოდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების, ექსპერტებთან კონსულტაციების, სიტუაციური ანალიზის, ქართული და უცხოური ლიტერატურის დამუშავების პროცესში. დოკუმენტი შედგება 11 თავისგან, სადაც ასახულია ბაგა-ბაღის მართვის მოდელი და პრინციპები, ბავშვის მიღების პროცედურები, ბავშვის განვითარებისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო დოკუმენტაცია, კვება, ჰიგიენა, ჯანმრთელობის დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინკლუზია, ოჯახის მონაწილეობა სააღმზრდელო პროცესში, ფიზიკური და სოციალური გარემო. დოკუმენტის ბოლო თავი ასახავს ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში განხორციელების სტრატეგიებს: პერსონალის გადამზადებასა და ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს რაიონული კოორდინატორების როლს.

ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია მონიტორინგის სისტემის შემუშავების საფუძველი გახდება, რაც ასევე შეუწყობს ხელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ხარისხის შენარჩუნებასა და განვითარებაზე ორიენტირებულობას.

სარჩევი

1. ადმინისტრაციული მართვა 7

1.1. მართვის ზოგადი წესები 7
1.2. მართვის სტრუქტურა 8

2. ადამიანის რესურსების მართვა 10

2.1. პერსონალის კვალიფიკაცია და დოკუმენტაცია 10
2.2. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები 12
2.3. პერსონალის მიღება/დათხოვნა 13

3. აღსაზრდელის მიღება და მისი განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება 15

3.1. აღსაზრდელის მიღების არადისკრიმინირებული მიდგომა 15
3.2. აღსაზრდელის ბაგა-ბაღში მიღება 15
3.3. აღსაზრდელის ბაგა-ბაღში ჩარიცხვა და საჭირო დოკუმენტაცია 16
3.4. აღსაზრდელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები 17
3.5. აღსაზრდელების ჯგუფებში გადანაწილების სისტემა 17
3.6. ბაგა-ბაღში ბავშვის სათანადო განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაცია 18
3.7. ინფორმაციის კონფიდენციალურობა აღსაზრდელის შესახებ 19

4. კვება 20

4.1. ჯანსაღი და მრავალფეროვანი კვება 20
4.2. საკვები პროდუქტების უსაფრთხოება 21
4.3. სოციალიზაცია და დამოუკიდებლობის წახალისება 22

5. ჰიგიენა 25

5.1. ბაგა-ბაღის დასუფთავება 25
5.2. შენობაში ბაქტერიების გავრცელების პრევენცია 27
5.3. აღსაზრდელის ჰიგიენა 28
5.4. კვების ბლოკის ჰიგიენა 28

6. ჯანმრთელობის დაცვა 31

6.1. პირველადი დახმარება 31
6.2. სამედიცინო შემთხვევების მართვა 32

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ინკლუზია 36

7.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიღება 36

7.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის
სააღმზრდელო პროცესში ინტეგრირება 37

8. სოციალური და სააღმზრდელო გარემო 41

8.1. პოზიტიური სოციალური გარემო 41
8.2. აღსაზრდელის უმტკივნეულო დაშორება მშობლებთან 43
8.3. ბაგა-ბაღის მეთოდოლოგია 44
8.4. ძალადობის ამოცნობა და რეაგირება 45

9. ფიზიკური გარემო, უსაფრთხოება და ევაკუაცია 48

9.1. ფიზიკური გარემოს მოწყობა 48
9.2. ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა 50
9.3. ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული ფიზიკური გარემო 50
9.4. ბავშვის განვითარებისათვის საჭირო სათამაშოები და მასალა 52
9.5.უსაფრთხო ეზო 53
9.6. უსაფრთხოება შენობაში 55
9.7. ევაკუაცია 56

10. ოჯახის მონაწილეობა ბავშვის სააღმზრდელო - საგანმანათლებლო პროცესში ... 59

10.1. მშობლის მიერ ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის ინფორმირებულობა 59
10.2. მშობლისა და აღმზრდელის რეგულარული კონტაქტი 60
10.3. მშობლის მიერ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოზე დაკვირვება 61
10.4. მშობლის მიერ საკუთარი აზრის დაფიქსირება 62

11. მართვის სტრატეგია პრაქტიკაში 64

11.1. ბაგა-ბაღის პერსონალის გადამზადება 64
11.2. რაიონული კოორდინატორების მხარდაჭერა 64

დანართები 66

1.1. ძირითადი დოკუმენტაციის ჩამონათვალი 66
2.1. პერსონალის კვალიფიკაცია 67
2.2 პერსონალის უფლება-მოვალეობები 70
2.3. პერსონალის ურთიერთდაქვემდებარების სქემა 84
3.1. ბავშვის განვითარების პორტფოლიო 85
3.2. განვითარების ინდივიდუალური გეგმა 86
3.3. ბავშვის საინფორმაციო პაკეტი 91
4.1. რეკომენდებული პროდუქტები 95
4. 2. ვიზუალური მინიშნება კვების პროცესში 97
5.1. საპირფარეშოს დალაგების აღრიცხვის ფურცელი 100

5.2. ოთახების დალაგების ფურცელი.....101
5.3. დღის ბოლოს დალაგების აღრიცხვის ფურცელი 102
5.4. თეთრეულის, პირსახოცების რეცხვის აღრიცხვის ფურცელი..... 103
5.5. ვიზუალური მინიშნებები ხელის დაბანის დროს 104
5.6. ვიზუალური მინიშნებები ტუალეტის მოხმარების დროს..... 107
6.1. პირველადი დახმარება.....112
9.1. ადაპტაციის ზომები..... 116
9.2. ეზოს უსაფრთხოების შემოწმების ფურცელი 117

გამოყენებული ლიტერატურა: 118

თავი პირველი

ადმინისტრაციული მართვა

მოცემული თავი ბაგა-ბაღის მართვისათვის საჭირო ზოგად წესებსა და მართვის მოდელს განსაზღვრავს, რომელიც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამართლებრივი რეგულირებისა და სამენეჯმენტო სისტემის სტრუქტურირებისთვისაა აუცილებელი.

1.1. მართვის ზოგადი წესები

ჩვენი მიზანია, ბაგა-ბაღის ადმინისტრაციული მართვის სწორად განვითარებისათვის სააღმზრდელო დაწესებულება მოქმედებდეს:

- საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში;
- ქ.თბილისის მერიის მიერ დამტკიცებული ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიისა და წესდების მიხედვით;
- დოკუმენტაციის წარმოების გზით.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღი თავის საქმიანობას კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში წარმართავს. აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. სააღმზრდელო დაწესებულებას უცხოეთის თუ ადგილობრივ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან კონტაქტის დამოუკიდებლად დამყარება, გარიგებების დადება, საკუთარი სახელით შეუძლია სასამართლოში გამოსვლა მოსარჩელედ და მოპასუხედ.
- ბაგა-ბაღში მუშაობა ქართულ ენაზე წარიმართება. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში აღზრდის პროცესი უცხო ენაზე განხორციელდეს.
- ბაგა-ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება, ჰიგიენური, კვების, ჯანდაცვის, ბავშვის მიღებისა და უსაფრთხოების, ჯანსაღი და ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ დამტკიცებული ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიის მიხედვით ხორციელდება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წესდებაც სწორედ აღნიშნულ სტრატეგიას ეფუძნება, რომელიც მას შესაბამისი სტანდარტების დაცვას ავალდებულებს. ბაგა-ბაღი ზრუნავს ბავშვის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ყველა პირობას უქმნის ბავშვს ფიზიკური, კოგნიტური, სენსორული და ემოციური განვითარებისთვის, წაახალისებს მშობლების ჩართულობას, როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამენეჯმენტო სფეროში, ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინკლუზიის

პროცესს, საჭიროების შემთხვევაში იწვევს სპეციალურ პედაგოგსა და ფსიქოლოგს, უზრუნველყოფს განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და განხორციელებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის. ბაგა-ბაღი ქმნის ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებულ ფიზიკურ და სოციალურ გარემოს.

- ბაგა-ბაღი მუშაობას დოკუმენტაციის წარმოების საშუალებით უნდა ახდენდეს და ფლობდეს ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც მის საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ასევე ფლობს დამტკიცებულ ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიასა და წესდებას. ბაგა-ბაღში არსებობს დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, მშობლებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ასევე პერსონალის და აღსაზრდელების პირადი დოკუმენტაცია, კვების, ჰიგიენის, ჯანდაცვის, სამეურნეო და ფინანსური დოკუმენტაცია. ბაგა-ბაღში მუდმივად იწარმოება მეთოდოლოგიური თუ ადმინისტრაციული ანგარიშები, ასევე საკითხების გაუმჯობესების რეკომენდაციები და მონიტორინგის შედეგები (დანართი 1.1.).

1.2. მართვის სტრუქტურა

ჩვენი მიზანია, ბაგა-ბაღის ადმინისტრაციული მართვისა და უფლება-მოვალეობების სწორად გადანაწილებისათვის სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებობდეს:

- მართვის ჯგუფი;
- საკოორდინაციო ჯგუფი;
- პრაქტიკოსთა ჯგუფი;
- სამეურნეო და სანიტარულ-ჰიგიენური ჯგუფი.



მიზნის მიღწევის გზები

მიზნის მისაღწევად დირექტორი ვალდებულია, რომ ჩამოაყალიბოს მართვის, სა-

კოორდინაციო, პრაქტიკოსთა და სამეურნეო/სანიტარულ ჰიგიენური ჯგუფები, რომელთა საქმიანობის მთავარი მიზანი ბავშვისა და მშობლის ინტერესების დაცვა უნდა იყოს.

- მართვის ჯგუფი შედგება დირექტორისა და დირექტორის მოადგილისაგან, რომელიც ბაგა-ბაღის სრულ მენეჯმენტს ახორციელებს.
- საკოორდინაციო ჯგუფი საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის (მეთოდისტის), ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის (ექიმი/ექთანი) და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორისგან შედგება, რომელიც პასუხისმგებელია სამენეჯმენტო ჯგუფთან და შესაბამისი საქმიანობების კოორდინირება ევალება, მაგალითად: განათლების პროგრამების კოორდინატორი ბავშვის აღზრდისა და განათლების მეთოდოლოგიურ ნაწილს ხელმძღვანელობს, აქტიურად არის ჩართული მეთოდოლოგიური ნაწილის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი (ექიმი/ექთანი) აკონტროლებს ბაგა-ბაღში სანიტარულ ჰიგიენურ მდგომარეობას და ბავშვების ჯანმრთელობას. სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი ხელმძღვანელობს სამეურნეო ნაწილს.
- პრაქტიკოსთა ჯგუფი შედგება პედაგოგებისა და მათი დამხმარეებისგან, საჭიროების შემთხვევაში კი სპეციალური პედაგოგის, ლოგოპედისა და ფსიქოლოგისგან. პრაქტიკოსთა ჯგუფი პასუხისმგებელია საკოორდინაციო ჯგუფის, უშუალოდ განათლების პროგრამების კოორდინატორის წინაშე. პრაქტიკოსები უშუალოდ მუშაობენ ბავშვის ფიზიკურ, კოგნიტურ, სენსორულ და ემოციურ განვითარებაზე.
- სამეურნეო და სანიტარულ-ჰიგიენური ჯგუფი შედგება დამლაგებლის, მზარეულის, მზარეულის დამხმარის, დარაჯის, მუშისგან და ა.შ. აღნიშნული ჯგუფიდან დამლაგებელი, მრეცხავი, მზარეული და მზარეულის დამხმარე უშუალოდ ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორიდნატორს ექვემდებარება, ხოლო დარაჯი, მუშა და ა.შ. სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს.

მიზნის აღსრულების მაჩვენებლები

- ბაგა-ბაღი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის ფარგლებში;
- ბაგა-ბაღი მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს ქ. თბილისის მერიის მიერ დამტკიცებული ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიით;
- ბაგა-ბაღი მუშაობის პროცესში აწარმოებს მართვისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაციას;
- ბაგა-ბაღში არსებობს სამენეჯმენტო, საკოორდინაციო, პრაქტიკოსთა, სამეურნეო და სანიტარულ-ჰიგიენური ჯგუფები.

თავი მეორე

2. ადამიანის რესურსების მართვა

აღნიშნული თავი განსაზღვრავს ბაგა-ბაღების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დოკუმენტაციის წარმოების საკითხებს, თანამშრომლების უფლება- მოვალეობებსა და მიღების/დათხოვნის წესებს.

2.1. პერსონალის კვალიფიკაცია და დოკუმენტაცია

ჩვენი მიზანია, ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა ხარისხიანი მომსახურებისთვის სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებობდეს:

- სააღმზრდელო დაწესებულებაში მომუშავე ძირითადი და დამატებითი პერსონალის სია (სარეკომენდაციო ბაგა-ბაღების დამფუძნებლისათვის);
- პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნები;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების წერილობითი გეგმა;
- პერსონალის დოკუმენტაცია.

მიზნის მიღწევის გზები

- სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვების სათანადო განვითარებისათვის ძირითადი პერსონალის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს (სარეკომენდაციო ბაგა-ბაღების დამფუძნებლისათვის):

  - √ დირექტორი;
  - √ დირექტორის მოადგილე;
  - √ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (მეთოდისტი);
  - √ სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი;
  - √ ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი (ექიმი ან ექთანი);
  - √ აღმზრდელი;
  - √ აღმზრდელის თანაშემწე (ძიძა);
  - √ მუსიკის პედაგოგი;
  - √ მზარეული;
  - √ მზარეულის დამხმარე;
  - √ დარაჯი /დაცვა;
  - √ დამლაგებელი;
  - √ მრეცხავი.

ბაგა-ბაღს შეუძლია, ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით, ბაგა-ბაღის მართვის

სააგენტოსთან შეთანხმებით, დაიქირაოს დამატებითი პერსონალი (მაგალითად, დაიქირაოს სპეციალური პედაგოგი, თუ ბაღს ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი. დაიქირაოს ფსიქოლოგი, როცა ბავშვებს აქვთ ემოციური თუ ქცევის სირთულეები და პედაგოგები ვერ ახერხებენ პრობლემების სისტემურად დაძლევას, დაიქირაოს ხელშეკრულებით მუშა და ა.შ.):

- √ საქმისმწარმოებელი;
- √ სპეციალური პედაგოგი;
- √ ფსიქოლოგი;
- √ ლოგოპედი;
- √ მუშა;
- √ მებაღე;
- √ და სხვა.

- სააღმზრდელო დაწესებულებაში მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება და კვალიფიკაცია (დანართი# 2.1). ნებისმიერი თანამშრომელი უნდა იყოს მოტივირებული პროფესიული განვითარებისათვის, ფლობდეს კომუნიკაციის და გუნდში მუშაობის უნარებს. მნიშვნელოვანია, ბაგა-ბაღის თანამშრომლები იცნობდნენ ბავშვის უფლებათა კონვენციას და შეეძლოთ ბავშვის უფლებების პატივისცემა მუშაობის პროცესში. თანამშრომლები უნდა იყვნენ 18 წლის და ზემოთ. მაქსიმალური ასაკი – 65 წელი. ასაკობრივი ზღვარი განსაკუთრებით გასათვალისწინებელია აღმზრდელის და აღმზრდელის თანაშემწის შემთხვევაში.
- ადმინისტრაცია ზრუნავს, ჰყავდეს მაღალკვალიფიციური პერსონალი და ამისათვის მუდმივად აძლევს მათ კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება შემდეგ თემებზე: ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები, თემატური სწავლება, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, ქცევის პოზიტიური მართვა, ბავშვთა ძალადობის პრევენცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის პრინციპები და ა.შ. სასწავლო წლის დასაწყისში ბაგა-ბაღის დირექტორი პედაგოგებთან კონსულტაციებით ადგენს კვალიფიკაციის ამაღლების გეგმას. გამოყოფს საჭიროებებიდან პრიორიტეტულ სატრენინგო საკითხებს, უკავშირდება სხვადასხვა კვალიფიცირებულ ორგანიზაციებს ტრენინგისათვის შერჩეულ სფეროებში, მოიძიებს სახსრებს, ან ატარებს შიდა სემინარებს და ა.შ.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მომუშავე მთელი პერსონალის პირად საქმეში უნდა ირიცხებოდეს შემდეგი საბუთები: CV (ავტობიოგრაფია), სკოლის დამთავრების მოწმობა-ატესტატი (ასლი) ან უმაღლესი და საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი), პირადობის მოწმობა (ასლი), ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ჯანმრთელობის ცნობა ტუბერკულოზზე შემოწმების ჩათვლით, (ბაგა-ბაღშიდაუშვებელია ტუბერკულიოზის ღია ფორმა BK დადებითის მატარებელი პირის ყოფნა), ერთი რეკომენდაცია, განცხადება სამსახურში მიღების შესახებ.

შენიშვნა: პერსონალის პირადი საქმეების ძირითადი ნაწილი ინახება მათი სამსახუ-

რიდან წასვლის შემდეგ 5 წლის განმავლობაში.

2.2. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

ბაგა-ბაღის თანამშრომელთა რესურსების სწორად მართვისათვის ჩვენი მიზანია:

- პერსონალი იცნობდეს საკუთარ უფლებებს და შეეძლოს მათი დაცვა მუშაობის პროცესში;
- პერსონალი იცნობდეს საკუთარ მოვალეობებს და ასრულებდეს მას მუშაობის პროცესში.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელს აქვს უფლება, მიიღოს შრომის ანაზღაურება დროულად. თანამშრომლები სარგებლობენ შვებულებით შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. თანამშრომელთა სამუშაო განისაზღვრება ხუთდღიანი სამუშაო კვირით. თუ რომელიმე სამუშაო მოითხოვს არასამუშაო დღეებში თანამშრომლის მუშაობას, სხვადასხვა თანამდებობისთვის ინდივიდუალური გრაფიკის შემუშავებას, შვებულების დღეების მორგებას და ა.შ. ეს შესაძლებელია ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის მიღწეული შეთანხმებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებითა და საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოხდეს. ბაღის თანამშრომლებს აქვთ უფლება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მიიღონ და გასცენ პროფესიული რჩევები. თანამშრომლებს აქვთ უფლება, გამოხატონ პრეტენზია ამა თუ იმ საკითხის მიმართ, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თანამშრომლის ინიციატივით შესაძლებელია, მოწვეული იყოს რიგგარეშე კრება. თუ მათი ზეპირი შენიშვნა არ დაკმაყოფილდა, აქვთ უფლება წერილობით მიმართონ დირექტორს ან ზემდგომ ორგანოებს.
- ყველა თანამშრომელი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს და დარჩეს სამუშაო საათების დამთავრებამდე სამსახურში. თუ თანამშრომელს არ შეუძლია გამოცხადდეს ან იგვიანებს სამსახურში საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, დროებითი შრომისუუნარობა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა) იგი წინასწარ, ერთი დღით ადრე ან სამუშაო დროის დაწყებამდე ატყობინებს არგამოცხადების ან დაგვიანების მიზეზს ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს. საპატიოდ შეიძლება ჩაითვალოს სამსახურში დაგვიანება, რომლის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 20 წუთს. თუმცა, თუ დაგვიანებას სისტემატური ხასიათი აქვს, ის არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ.
- ბაგა-ბაღის თანამშრომლები ვალდებულნი არიან, მოქალაქეებთან ურთიერთობისას იყვნენ თავაზიანები და უწევდნენ მათ პროფესიულ კონსულტაციას თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე. თანამშრომლებს მოეთხოვებათ, შეასრულონ შრომითი ვალდებულებები, დაიცვან შინაგანაწესი და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები. მათ ევალებათ, შეასრულონ დებულებები, ხელმძღვანელის

ბრძანებები და სხვა აქტები. ბაგა-ბაღის თანამშრომლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას ეკრძალებათ დამატებითი თანხის ან საჩუქრის მიღება. (გარდა ყვავილებისა) მათ ეკრძალებათ ყველა ის ქმედება, რაც უარყოფითად იმოქმედებს ბავშვის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და მის განვითარებაზე. თანამშრომლებს არ აქვთ ბაგა-ბაღის შენობასა და ეზოში სიგარეტის მოწევის უფლება. თანამშრომელს ეკრძალება სამსახურში ალკოჰოლის ზეგავლენის ქვეშ მოსვლა ან სამსახურში ალკოჰოლის მიღება. მათ ევალებათ, დაიცვან ტექნიკური მოწყობილობების გამოყენების წესი, პასუხი აგონ მათი განზრახ დაზიანებების შემთხვევაში. დაიცვან მატერიალური ფასეულობებისა და დოკუმენტების შენახვის წესი, იზრუნონ ორგანიზაციის საქმიანობის პოპულარიზაციაზე, დროულად და გულისყურით შეასრულონ დავალებები, სამუშაოები, მითითებები, იზრუნონ შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებაზე, დაიცვან ჰიგიენური წესები. თანამშრომლის მიერ განხორციელებული მობილური და საერთაშორისო ზარები მხოლოდ მათ სამსახურეობრივ საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს. მაქსიმალურად უნდა შემცირდეს პირადი მიზნებით განხორციელებული სატელეფონო საუბრების რაოდენობა.

ბაგა-ბაღის თანამშრომელს არ აქვს უფლება: სიტყვიერად დაამციროს, შეურცხყოფა მიაყენოს აღსაზრდელს ან მისი ოჯახის წევრს, დასაჯოს ან დაამციროს აღსაზრდელი უნებლიე შარდვის, ტანსაცმლის დასვრის ან სხვა მსგავს შემთხვევებში, დაემუქროს აღსაზრდელს ფიზიკური დასჯით, დაარტყას, შეაჯანჯღაროს, უხეშად შეეხოს, გამოიყენოს ჯოხი ან სხვა რაიმე მსგავსი საგანი, იხმაროს უხეში, სალანძღავი სიტყვები აღსაზრდელების მიმართ ან აღსაზრდელების თანდასწრებით, დაუყვიროს, შეაშინოს, დააძალოს დაძინება, დააძალოს ჭამა ან დალევა, დასაჯოს იმის გამო, რომ არ ჭამს, ან არ სვამს, აუკრძალოს აღსაზრდელს ჭამა-სმა დასჯის მიზნით. პედაგოგიური პერსონალი, რომელიც ბავშვთან მუშაობს, ორიენტირებული უნდა იყოს აღსაზრდელის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რესურსებისა და ძლიერი მხარეების წახალისებაზე.

შენიშვნა: თითოეული თანამშრომლის მოვალეობები განსხვავდება ერთმანეთისგან. სხვადასხვა თანმდებობაზე მომუშავე პირებს ამ კონკრეტული თანამდებობისათვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობები აკისრიათ (დანართი #2.2). შესაბამისად, მათი ურთიერთ დაქვემდებარება საკუთარი პოზიციებიდან, უფლება-მოვალეობებიდან და პასუხისმგებლობებიდან გამომდინარეობს (დანართი #2.3.).

2.3. პერსონალის მიღება/დათხოვნა

ბაგა-ბაღების მართვის სისტემის სრულყოფისათვის ჩვენი მიზანია, სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებობდეს:

- ვაკანსიის გამოცხადების წესები;
- თანამშრომელთა დისციპლინური სახდელები და სამსახურიდან დათხოვნის წინასწარგანსაზღვრული წესები.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღში ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში საჯაროდ ცხადდება კონკურსი.
- შრომითი დისციპლინის დარღვევისას თანამშრომელი შესაძლოა, დაექვემდებაროს დისციპლინარულ სახდელს:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) დაბალანაზღაურებად სამუშაოზე გადაყვანა, თანამდებობრივი დაქვეითება;

დ) სამუშაოდან დათხოვნა.

თანამშრომელი შესაძლებელია, გათავისუფლდეს სამსახურიდან:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებაში თანხის აღების შემთხვევაში;

ბ) საჩუქრის აღების შემთხვევაში; (გარდა ყვავილებისა)

გ) მისი პროფესიული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

დ) არასაპატიო მიზეზით გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევაში;

ე) ბაღის შენობაში ან ეზოში სიგარეტის მოწევის შემთხვევაში.

თანამშრომლის გათავისუფლება უნდა მოხდეს შრომის კანონმდებლობითა და შინაგანაწესით დადგენილი წესით. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ფორმდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელიც აღინიშნება სარეგისტრაციო ჟურნალში.

საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი ვალდებულია, დისციპლინასთან დაკავშირებული ყველა წესი გააცნოს თითოეულ თანამშრომელს და უზრუნველყოს მათი ზუსტად შესრულება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ფაქტი მაინც დაფიქსირდა, ადმინისტრაცია უფლებამოსილია, გაათავისუფლოს თანამშრომელი სამსახურიდან, დამატებითი გაფრთხილების გარეშე.

მიზნის აღსრულების მაჩვენებლები

- ბაღში არის ყველა ძირითადი პერსონალი;
- ბაღში არსებობს პერსონალის დოკუმენტაცია;
- ბაღში არსებობს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა;
- ბაღის პერსონალი იცნობს საკუთარ უფლებებს, მოვალეობებს და იცავს მათ მუშაობის პროცესში;
- ინფორმაცია ბაღში არსებული ვაკანსიის შესახებ საჯაროა;
- ბაღში არსებობს პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბაღის თანამშრომლებს აქვთ ინფორმაცია დისციპლინარული სახდელებისა და სამსახურიდან გათავისუფლების წინაპირობების შესახებ.

თავი მესამე

3. აღსაზრდელის მიღება და მისი განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება

მოცემული თავი განსაზღვრავს ბაგა-ბაღში ბავშვის მიღების პროცედურებსა და აღსაზრდელის სათანადო განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს ბავშვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ჩარიცხვის არადისკრიმინირებულ მიდგომას.

3.1. აღსაზრდელის მიღების არადისკრიმინირებული მიდგომა

ბაგა-ბაღში აღსაზრდელის მიღებისას დისკრიმინაციის დაუშვებლობისათვის ჩვენი მიზანია:

- ბავშვის მიღება ხდებოდეს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის გარეშე;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა ბაგა-ბაღის შიდა დოკუმენტებში აისახოს.

მიზნის მიღწევის გზები

- ბავშვის ბაგა-ბაღში მიღება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რაიმე ვითარების გარეშე უნდა ხდებოდეს. დაწესებულება ვალდებულია, მიღების პროცედურების დაცვის შესაბამისად ნებისმიერი ბავშვი ჩარიცხოს ბაგა-ბაღში.
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა ბაგა-ბაღის შიდა დოკუმენტაციაში წერილობით უნდა იყოს მითითებული. მაგალითად, შინაგანაწესში ან წესდებაში.

3.2. აღსაზრდელის ბაგა-ბაღში მიღება

ოჯახების ინტერესთა დასაცავად ჩვენი მიზანია:

- განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომელთა შვილებიც ბაგა-ბაღში ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ;
- განისაზღვროს ბაგა-ბაღში ბავშვთა მიღების პროცედურა.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღში ჩარიცხვის უფლებით სარგებლობენ: ა) საქართველოს მოქალაქეთა შვილები; ბ) ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალა-

ქეობის არმქონე პირთა შვილები.

- ბავშვთა რეგისტრაციის პროცესი სპეციალური პროგრამით, ინტერნეტ რეჟიმში მიმდინარეობს ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს ვებ გვერდზე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მოქალაქეებს, ვისთვისაც ინტერნეტი ხელმიუწვდომელია, რეგისტრაციის გავლაში დაეხმარებათ ბაგა-ბაღის დირექცია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში, პრიორიტეტი ენიჭებათ მათ, ვის მშობელსაც გავლილი აქვს რეგისტრაცია. გამონაკლისის შემთხვევაში, როდესაც მშობელმა, ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის გამო, გვიან მიიღო გადაწყვეტილება ბავშვის ბაღში მიყვანის თაობაზე, შესაძლებელია, დაიშვას გამონაკლისი და, ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით, ბაგა-ბაღის ჯგუფს დაემატოს ერთი ბავშვი.

3.3. აღსაზრდელის ბაგა-ბაღში ჩარიცხვა და საჭირო დოკუმენტაცია

აღსაზრდელის ბაგა-ბაღში ჩარიცხვისა და მის შესახებ საჭირო დოკუმენტაციის არსებობისათვის, ჩვენი მიზანია:

- მშობელმა ყველა საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს ბაგა-ბაღს აღსაზრდელის შესახებ;
- გაფორმდეს ხელშეკრულება მშობელსა და ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას შორის.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღში რეგისტრაციის შემდეგ, სასწავლო წლის დაწყებამდე, მშობელმა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას უნდა მიაწოდოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია ბავშვის შესახებ:

    - √ ბავშვის დაბადების მოწმობის დედანი და ასლი (დედანი მოგვიანებით მშობელს უბრუნდება);
    - √ ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;
    - √ მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;
    - √ ორი ფოტოსურათი (3X4);
    - √ სოციალურად დაუცველის მოწმობა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი სოციალურად დაუცველია.
    - √ შეზზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შემთხვევაში ფორმა № -/V-100/, ან ფორმა № - 50 და სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული შეფასების რეკომენდაცია საბავშვო ბაგა-ბაღის ჩართვის თაობაზე.

- ბაგა-ბაღის ადმინისტრაციასა და მშობელს შორის უნდა გაფორმდეს ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც დაწესებულების დირექტორისა და მშობლის მიერ იქნება ხელმოწერილი.

3.4. აღსაზრდელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები

აღსაზრდელის მიღებაზე კანონიერი უარის თქმის შემთხვევაში, ჩვენი მიზანია, განისაზღვროს:

- უარის თქმის საფუძვლები;
- ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა სიიდან ბავშვის ამორიცხვის საფუძვლები.

მიზნის მიღწევის გზები

- განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ:

  √ ბაგა-ბაღის ყველა ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა (25 ბავშვი – ბაგა, 35 ბავშვი – ბაღი) ფიქსირდება. ინტერნეტით დარეგისტრირების შემთხვევაში, ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობის მიღწევისას რეგისტრაცია ავტომატურად შეწყდება;

  √ თუ მშობელი რეგისტრაციის გავლიდან ერთი თვის ვადაში არ წარმოადგეს ბავშვის ჩარიცხვისათვის აუცილებელ დოკუმენტებს.

  √ აღსაზრდელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან შეიძლება გაირიცხოს იმ შემთხვევაში, თუ:

  √ მშობელსა და ბაღს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მშობელი არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

3.5. აღსაზრდელების ჯგუფებში გადანაწილების სისტემა

ბაგა-ბაღში ჯგუფებში აღსაზრდელების თანაბარი და ასაკის შესაბამისი გადანაწილებისათვის ჩვენი მიზანია:

- ჯგუფების სტრუქტურირება ასაკის შესაბამისად;
- ჯგუფებში აღსაზრდელების თანაბარი გადანაწილება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 6-დან 7 წლამდე ბავშვების ბაგა-ბაღის ჯგუფებში ჩართვა.

მიზნის მიღწევის გზები

- ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულების სამიზნე ჯგუფში შედიან 2 წლიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვები. ბაგა-ბაღში ჯგუფები აღსაზრდელთა ასაკის მიხედვით არის დაკომპლექტებული. ბაგის ჯგუფი – 2-3 წელი, ბაღის ჯგუფები: უმცროსი –3-4 წელი, საშუალო – 4-5 წელი, უფროსი – 5-6 წელი.
- ბაგის ჯგუფში აღსაზრდელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25-ს, ხოლო ბაღის ჯგუფებში – 35 ბავშვს. ჯგუფებში აღსაზრდელების დამატებასთან დაკავშირებით ბაგა-ბაღის მართვის სააგენტო გადაწყვეტილებას იღებს ბაღის ინდივიდუალური

შეფასების შემდგომ.

- მშობლის მოთხოვნისა და სპეციალისტთა შეფასების შემთხვევაში ბაგა-ბაღში მიღებას ან დარჩენას ექვემდებარებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 7 წლამდე ბავშები.

3.6. ბაგა-ბაღში ბავშვის სათანადო განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაცია

ბაგა-ბაღში აღსაზრდელის განვითარებისათვის საჭიროა:

- არსებობდეს ინდივიდუალური განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაცია;
- იწარმოებოდეს ჯანმრთელობის დაცვისა და მისი უსაფრთხოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღი თითოეულ ბავშვზე უნდა აწარმოებდეს ბავშვის განვითარების პორტფოლიოს, სადაც იქნება ინფორმაცია თვის განმავლობაში გავლილი თემების, აღსაზრდელის მიღწევებისა და სირთულეების შესახებ. პორტფოლიოში ჩაკრული იქნება აღსაზრდელის ნამუშევრები (დანართი # 3.1.). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში პორტფოლიოსთან ერთად საჭიროების შემთხვევაში განვითარების ინდივიდუალური გეგმა, სადაც ასახული იქნება აღსაზრდელის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მიზნის მიღწევის აქტივობები და ა.შ. (დანართი # 3.2.)
- ბაგა-ბაღში ინდივიდუალურად ყველა ბავშვზე უნდა არსებობდეს საინფორმაციო პაკეტი (დანართი # 3.3.), რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან: ა) სარეგისტრაციო ბარათი, სადაც მოცემულია ინფორმაცია მშობლების შესახებ, ბაღიდან ბავშვის მოყვანა/გაყვანაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, ასევე ინფორმაცია ბავშვის ჯგუფის, აღმზრდელის და ბავშვის ბაღში ჩარიცხვის შესახებ; ბ) ჯანმრთელობის ბარათი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ალერგიისა და არაჰოსპიტალიზირებული ტრავმების შესახებ; გ) სამედიცინო ჩარევის ბარათი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ბავშვის ბაღში ყოფნის პერიოდში ნებისმიერი სამედიცინო ჩარევის შესახებ; დ) მშობლის კითხვარი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებზე, რესურსებზე, მშობლის მოლოდინებზე და ა.შ. ე) ნებართვის ფურცელი, სადაც მშობელი ხელმოწერით ადასტურებს აღსაზრდელთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, მაგალითად ნებართვას აძლევს ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას აღსაზრდელის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ ან გარეშე პირის მიერ (მაგ. ჟურნალისტი) აღსაზრდელის ფოტო-ვიდეო გადაღებაზე იძლევა უფლებას.

3.7. ინფორმაციის კონფიდენციალურობა აღსაზრდელის შესახებ

აღსაზრდელის უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის დაცვისათვის ჩვენი მიზანია:

- დაცული იყოს ინფორმაცია აღსაზრდელის შესახებ;
- განისაზღვროს ინფორმაციის გაცემის პროცედურები აღსაზრდელის შესახებ.

მიზნის მიღწევის საშუალებები

- სააღმზრდელო დაწესებულება აწარმოებს ინდივიდუალურ დოკუმენტაციას თითოეულ აღსაზრდელზე და კონფიდენციალურად ინახავს მას დაწესებულებაში. კონფიდენციალურობის შესახებ ინფორმაციას ფლობს ბაღის პერსონალი;
- ინფორმაცია აღსაზრდელის შესახებ მხოლოდ იმ პირებისათვის შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი, რომელსაც ის ბავშვის მოვლისათვის ან პროფესიული მოვალეობების აღსრულებისათვის სჭირდება. დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ბავშვის აღმზრდელისთვის, მშობლის ან ოფიციალური წარმომადგენლისათვის, ასევე ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთვის. აღსაზრდელის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის გაცემის შესახებ (მათ შორის სხვა სააღმზრდელო თუ ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებისთვის) უნდა არსებობდეს მშობლის წინასწარი წერილობითი თანხმობა. ბავშვის ფოტოგრაფირება და ვიდეოგადაღება გარეშე პირის მიერ (მაგ. ჟურნალისტი) მხოლოდ მშობლების თანხმობის მიღების შემდეგ შეიძლება. ბაღის დასრულების ან ბაღიდან ბავშვის გაყვანის შემთხვევაში ოჯახს გააქვს ბავშვის დოკუმენტაცია.

მიზნის აღსრულების მაჩვენებელი

- ბაგა-ბაღის შიდა დოკუმენტაციაში განსაზღვრულია ბავშვის მიღების არადისკრიმინირებული მიდგომა;
- ბაგა-ბაღში აღსაზრდელის მიღება მიმდინარეობს განსაზღვრული პროცედურების დაცვით;
- ინფორმაცია ბავშვის ბაღში მიღების პროცესის შესახებ საჯაროა;
- ბაგა-ბაღში არსებობს ბავშვის ჩარიცხვისა და განვითარებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია;
- ბაგა-ბაღის ჯგუფებში დაცულია აღსაზრდელთა განსაზღვრული რაოდენობა;
- ბაგა-ბაღის ადმინისტრაციასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება;
- დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალურობა ბავშვის შესახებ.

თავი მეოთხე

4. კვება

მოცემული თავი ბაგა-ბაღში ჯანსაღი, მრავალფეროვანი კვებისა და საკვების უსაფრთხოების პროცედურებს განსაზღვრავს. ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალურ განვითარებაში კვებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მრავალფეროვანი და ვიტამინებით გამდიდრებული საკვები ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას განსაზღვრავს. კვების პროცესი, როგორც მნიშვნელოვანი კომპლექსური აქტივობა, ბავშვებში მოტორული და სოციალური უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. აღსაზრდელები დამოუკიდებელ კვებას, თვითმომსახურებას, საკვების შეთავაზებასა და კუმუნიკაციას სწავლობენ.

4.1. ჯანსაღი და მრავალფეროვანი კვება

ბაგა-ბაღში აღსაზრდელის ჯანსაღი და მრავალფეროვანი კვების უზრუნველყოფისათვის ჩვენი მიზანია:

- ბავშვებს მიეწოდებოდეთ კარგად ბალანსირებული საკვები;
- ბავშვები იღებდნენ უსაფრთხო და უვნებელ საკვებს;
- ბავშვის ყოველდღიური მენიუ იყოს მრავალფეროვანი;
- კვების პროცესში გათვალისწინებული იყოს ბავშვების რაოდენობა.

მიზნის მიღწევის გზები

- ბალანსირებული კვება გულისხმობს ყველა ძირითადი საკვები ნივთიერების შემცველობას რაციონში: ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები, წყალი. მენიუს შედგენის დროს მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შეფარდება, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ფორმულას – 1/1/4. საკვები პროდუქტების შემადგენლობაში დაახლოებით 40-60 გრამი ცილა, 40-60 გრამი ცხიმი და 200-250 გრამი ნახშირწყალი უნდა იყოს. ბავშვი ბაღში ყოფნის პერიოდში არ უნდა იღებდეს 1000 კალორიაზე ნაკლებს. ბაგა-ბაღის საკვების შემადგენლობაში უნდა შედიოდეს: რძის ნაწარმი, ხორცი, თევზი, ბოსტნეული, რძემჟავა პროდუქტები, ბურღულეული, განსაზღვრული რაოდენობის ტკბილეული. ყოველდღიურად ბავშვი სადილზე უნდა იღებდეს აკვირაში სამჯერ მაინც ხორცს, შესაძლებელია, საქონლისა, ფრინველის და თევზის ხორცის მონაცვლეობა. პროდუქტების ჩანაცვლებისას დაცული უნდა იყოს პროდუქტების შესაბამისი კალორიულობა. სასურველია, ბავშვი კვირაში სამჯერ ღებულობდეს ცოცხალ ხილს, სეზონისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით (ხილის მიწოდება სადილამდე 1-2 საათით ადრე უნდა ხდებოდეს), ხოლო ყოველდღიურად რძის ნაწარმსა და ბოსტნეულს. ბავშვმა ყოველდღიურად აუცილებლად უნდა მიიღოს სითხე, კომპოტის ან

წყლის სახით.

- ბაგა-ბაღში თევზის გამოყენების შემთხვევაში რეკომენდებულია თევზის ფილე, რათა თავიდან ავიცილოთ ფხის გადაცდენა. ბავშვისათვის კურკოვანი ხილის მიცემის შემთხვევაში აუცილებელია, კურკის გამოცლა და აღსაზრდელისათვის მხოლოდ ამის შემდეგ მიწოდება.
- მენიუს შედგენისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ საკვები პროდუქტების მრავალფეროვნება. ერთ დღეს რა საკვებიც მომზადდება, მეორე დღეს არ უნდა ხდებოდეს იმავე საკვების ან ძალიან მსგავსი პროდუქტების გამეორება. ზამთარსა და ზაფხულში მენიუს შემადგენლობა სეზონური პროდუქტების მიხედვით უნდა იცვლებოდეს.
- ბავშვები, რომლებიც საუზმეს ან სამხარს არ ესწრებიან (ბაღში გარკვეული ინდივიდუალური რეჟიმის გამო) მნიშვნელოვანია, არ იყვნენ გათვალისწინებული საუზმის და სამხრის რაოდენობაში.

4.2. საკვები პროდუქტების უსაფრთხოება

ბაგა-ბაღში საკვები პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ჩვენი მიზანია:

- ბაგა-ბაღში მიტანილი პროდუქტი უვნებელი იყოს ბავშვის ჯანმრთელობისათვის;
- კვების პროდუქტების შენახვისას დაცული იყოს საკვების უსაფრთხოება;
- საკვების მომზადების პროცესში შენარჩუნდეს პროდუქტის კალორიულობა და ვიტამინები;
- კვების პროცესში გამოყენებული ჭურჭელი იყოს უსაფრთხო და ბავშვებისათვის მიმზიდველი.

მიზნის მიღწევის გზები

- საკვები უნდა იყოს უსაფრთხო და უვნებელი. ბაგა-ბაღში მიტანამდე უნდა შემოწმდეს მისი ვარგისიანობა, რისი დამადასტურებელი სერთიფიკატიც საკვები პროდუქტებით მომმარაგებელმა კომპანიამ უნდა წარუდგინოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელობას. პროდუქტების მიღების პროცესში პროდუქტების ვარგისიანობა გარეგნულად მოწმდება ბაგა-ბაღის თანამშრომლის მიერ. საკვების მომზადების შემდეგ ხდება სინჯის აღება, ანუ 50 გრამი საკვების თავდახურულ ჭურჭელში მოთავსება, რომელშიც საკვები 24 საათის განმავლობაში ინახება. ბავშვის მოწამვლის შემთხვევაში, შესაძლებელია შემოწმდეს სინჯით შენახული საკვები, რაც დაადასტურებს ან უარყოფს ბაგა-ბაღში ბავშვის საკვებით მოწამვლას. ბაგა-ბაღში დაკონსერვებული საკვების გამოყენება არ არის რეკომენდებული (დანართი 4.1).
- პროდუქტის თითოეული სახეობა სანიტარული წესების დაცვით უნდა ინახებოდეს. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ადვილად ფუჭებადი საკვების გამოყენების ვადებსა და წესს. ხორცი, თევზი და რძის ნაწარმი მაცივარში უნდა ინახებოდეს.
- გაყინული ხორცის გალღობა მაღალ ტემპერატურაზე ან წყალში არ არის რეკომენ-

დებული, რადგან ამას თან ხორცის წვენის დაკარგვა შეიძლება მოჰყვეს, რაც მის კვებით ღირებულებას აქვეითებს. იმისათვის, რომ ხორცში საკვები ნივთიერებები შენარჩუნდეს, დიდ ნაჭრებად უნდა გაირეცხოს გამდინარე წყალში. წყალში ხორცი არ უნდა გაჩერდეს, რადგან წყალში გადადის მინერალური მარილები და ექსტრაქტული ნივთიერებები, რომლებიც ხორცსა და ბულიონს აძლევს სასიამოვნო გემოს. მცენარეულ პროდუქტებში სასარგებლო ნივთიერებების შენარჩუნება მათი სწორი კულინარიული დამუშავებით შეიძლება. ბოსტნეულის ხარშვისას ქვაბის თავსახური მჭიდროდ უნდა იყოს დახურული, რათა მასში არსებული ვიტამინები და ფერმენტები მაქსიმალურად შენარჩუნდეს. ბოსტნეულის წინასწარ გასუფთავება და წყალში დატოვება არ შეიძლება, რადგან მინერალური მარილები და ვიტამინები ბოსტნეულიდან წყალში გადადის და პროდუქტის კვებითი ღირებულება ეცემა. ასევე არ შეიძლება გასუფთავებული ხილისა და ბოსტნეულის ჰაერზე დატოვება, რადგან ჰაერზე იჟანგება და იშლება. განსაკუთრებული ყურადღება ძირხვენების დამუშავებას უნდა მიექცეს. მომზადების წინ მწვანილი კარგად უნდა გაირჩეს, ძირებისა და ბალახისაგან გაიწმინდოს და 10 წთ-ით ცივი წყლით სავსე დიდ ჭურჭელში ჩაიდოს, რათა მიწის ნაწილაკები მოლბეს. 10 წთ-ის შემდეგ ჭურჭლიდან ფრთხილად ამოღებული მწვანილი თუშფალანგზე უნდა დაიდოს და გამდინარე წყალში გაირეცხოს.

- ჭურჭელი, რომელსაც ბავშვები ხმარობენ, მოსახერხებული უნდა იყოს დამოუკიდებელი კვებისათვის. მსუბუქი და ნაკლებად მსხვრევადი. თეფშები საშუალო ზომის, კოვზი – დესერტის ტიპის, ჩანგალი – საბავშვო, ჭიქა – გამძლე, ფართო ძირით და მოსახერხებელი სახელურით. ყველა ჯგუფს ინდივიდუალური ჭურჭელი უნდა ჰქონდეს. ნაპირებმომტვრეული, პლასტმასის ან ალუმინის ჭურჭლის ხმარება არ არის რეკომენდებული. თუმცა შესაძლებელია პლასტმასის ჭურჭელის გამოყენება მხოლოდ პურის ან კანფეტის დასადებად.
- რეკომენდებულია სამზარეულოში იყოს დანები ცალკე უმი ხორცისთვის და სხვა დანარჩენი პროდუქტებისთვის. მნიშვნელოვანია, უმი ხორცის დანას ჰქონდეს მარკირება. ასევე საჭრელი დაფებიც, რეკომენდებულია, იყოს ცალკე უმი ხორცისთვის და მასაც ჰქონდეს მარკირება. დაფის ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, არ უნდა ჰქონდეს ღარები და ნახეთქები.

4.3. სოციალიზაცია და დამოუკიდებლობის წახალისება

აღსაზრდელის სოციალიზაციისა და დამოუკიდებელი უნარების განვითარებისათვის ჩვენი მიზანია, სააღმზრდელო დაწესებულებაში:

- აღსაზრდელები კვების პროცესში სწავლობდნენ დამოუკიდებლობას;
- კვების პროცესში აღსაზრდელებს განუვითარდეთ სოციალური უნარები;
- კვების პროცესში აღსაზრდელებს განუვითარდეთ საკუთარი აზრის დაფიქსირების უნარი;
- კვების პროცესში გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ბავშვების ინტერესები;

- ბავშვები კვებისას ისხდნენ შესაბამის ავეჯთან.

მიზნის მიღწევის გზები

- კვების პროცესი ბავშვის დამოუკიდებელი, თვითმოვლის უნარების განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. როგორც ბავშვები, ისე აღმზრდელები საკვების ორგანიზების პროცესში – მაგიდების გაწყობა, მაგიდების ალაგება, დასუფთავება – აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული. პედაგოგებს შეუძლიათ შეიმუშაონ ბავშვთა მორიგეობის განრიგი ან ინდივიდუალურად წაახალისონ თითოეული ბავშვი, მიიტანოს მაგიდასთან საკუთარი თეფში, შემდეგ აალაგოს მაგიდა და ა.შ. პედაგოგები აღსაზრდელს კოვზისა და ჩანგლის ხმარებას, ხელსახოცის გამოყენებას ასწავლიან. კვების პროცესში მნიშვნელოვანია, ბავშვებს განუვითარდეთ შემდეგი უნარები: საკუთარი ულუფის განსაზღვრა, საკვების გაზიარება, კვების დროს დახმარების თხოვნა, დამოუკიდებლად საკვების გადმოღება და სხვა. აღნიშნული უნარების განვითარების მიზნით 4-დან 6 წლამდე ბავშვებისათვის მეორე თავი საკვების (პიურე, წიწიბურა, კატლეტი და სხვა) ულუფებად მიწოდება არ უნდა ხდებოდეს. მნიშვნელოვანია, ამ პროცესში საკვები მოთავსდეს მაგიდის შუაში და პედაგოგები ფიზიკური თუ ვერბალური მინიშნებებით ხელს უწყობდნენ ბავშვებში დამოუკიდებელი უნარების განვითარებას. ასევე შესაძლებელია ვიზუალური მინიშნებების გამოყენება (დანართი 4.6.).
- კვების დროს, სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აღმზრდელები მაგიდასთან აღსაზრდელებთან ერთად სხედან. უფროსები კვების პროცესში სოციალური და კომუნიკაციური უნარების განვითარებას უწყობენ ხელს. მაგალითად, საუბარს სხვადასხვა სასიამოვნო საგანზე: დღის გამოცდილება, მოსალოდნელი აქტივობები, ფერები, საკვები, რომელსაც მივირთმევთ და მისი თვისებები.
- კვების დროს ბავშვის ინტერესის გათვალისწინება და მათი ჩართულობა საკვების შერჩევისას ძალიან მნიშვნელოვანია, რითიც ისინი მათთვის მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას საკუთარი შეხედულებების დაფიქსირებას სწავლობენ. ამისათვის, მინიმუმ კვირაში ერთხელ, აღმზრდელი ბავშვებს მარტივი საკვების ორ ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს. მაგალითად, ვაფლი ან პეჩენია. ამ შემთხვევაში ბავშვს საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება ეძლევა და იმავე დღეს სამხარსა თუ საუზმეზე მიირთმევს მისთვის სასურველ საკვებს. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი უარს ამბობს საკვების მიღებაზე, მის აზრს პატივი უნდა ვცეთ. აღმზრდელები საკვებს არ აძალებენ, ექიმით, ნემსით ან ზღაპრის ბოროტი გმირებით არ აშინებენ. აღმზრდელი მხოლოდ ორგანიზმისთვის საკვების მნიშვნელობაზე უმახვილებს ყურადღებას და აღნიშნული საკვების მიღების პროცესს ახალისებს.
- ბავშვებს, რომელთაც დამოუკიდებლად კვების უნარის განვითარებაში ფსიქო-მოტორული შეფერხება უშლით ხელს, აღმზრდელები აქტიურად რთავენ კვების პროცესში, სიტყვიერ და ფიზიკურ (საჭიროების შემთხვევაში) მხარდაჭერას უცხადებენ, წაახალისებენ მათ სოციალურ უნარებს. ბავშვებს, რომლებიც უფრო ნელა ჭამენ, ეთმობათ

დამატებითი დრო. სამედიცინო საჭიროებით განპირობებული კვებითი დიეტის დროს, თუ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ბავშვისათვის შესაბამის კვებას, აღსაზრდელის ოჯახი ბავშვს საკვებს სახლიდან ატანს. ამისათვის აღსაზრდელის მშობელი დაწესებულებაში შესაბამის განაცხადს წარმოადგენს, სადაც მითითებული იქნება როგორც დიეტის მიზანი, ისე შეზღუდული საკვების სახეობისა და დოზების ჩამონათვალი. სახლიდან მოტანილ საკვებს შემდეგი სახის ჩანაწერი უნდა მოჰყვებოდეს: ბავშვის სახელი და გვარი, დამზადების თარიღი და საკვების ტიპი, მისი შენახვის პირობები (მაგ. საჭიროა თუ არა მაცივარში მოთავსება). სახლიდან მოტანილი საკვების სხვა ბავშვებზე განაწილება დაუშვებელია.

- კვებისას მაგიდა ბავშვის წელის გასწვრივ, მკერდის ქვედა ზღვარზე უნდა იყოს განთავსებული. ბავშვის ფეხები იატაკს ან სხვა მყარ საყრდენს უნდა ეყრდნობოდეს. სკამი იმდენად მაღალი არ უნდა იყოს, რომ ბავშვს ფეხები ჰაერში რჩებოდეს. ავეჯის ამგვარი ზომები აუცილებლია ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობისა და დამოუკიდებელი ჭამის უნარების განვითარებისათვის.

მიზნების აღსრულების მაჩვენებლები

- ბაგა-ბაღში არსებობს გაწერილი მენიუ, სადაც დაცულია ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების თანაფარდობა და კერძების მრავალფეროვნება;
- მენიუ მშობლებისათვის თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული;
- ბაგა-ბაღი ფლობს სერთიფიკატს მიღებულ პროდუქტებზე;
- ბაგა-ბაღში ადვილად ფუჭებადი პროდუქტები მაცივარში ინახება;
- ბაგა-ბაღში არ ინახება ვადაგასული პროდუქტები;
- სამზარეულოში საკვებზე სინჯის აღება ხდება ყოველდღიურად;
- სამზარეულოში ხორცის დანა და საჭრელი დაფა მარკირებულია;
- ბავშვები მონაწილეობენ მაგიდების გაწყობასა და ალაგებაში;
- პედაგოგები კვების დროს ბავშვებთან ერთად სხედან მაგიდებთან;
- 4-6 წლიანთა ჯგუფებში საკვები (არა წვნიანი) მაგიდებზე ულუფებად არ დევს;
- 3-6 წლიანი ასაკის ბავშვები კვების დროს კოვზსა და ჩანგალს ხმარობენ;
- სახლიდან მოტანილ საკვების კონტეინერს ბავშვის სახელი და გვარი, საკვების სახეობა, დამზადების თარიღი და შენახვის პირობები აწერია;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები კვების პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი;
- სკამები და მაგიდები ბავშვების ფიზიკურ განვითარებას შეესაბამება;
- ყველა ჯგუფს ინდივიდუალური ჭურჭელი აქვს.

თავი მეხუთე

5. ჰიგიენა

მოცემული თავი ბაგა-ბაღებში ჰიგიენის პროცედურებს განსაზღვრავს.

სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ჰიგიენური ნორმების დაცვა მნიშვნელოვანია აღსაზრდელებისა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და პრევენციისათვის.

5.1. ბაგა-ბაღის დასუფთავება

ბაგა-ბაღში სისუფთავის დაცვის უზრუნველსაყოფად, ჩვენი მიზანია:

- საპირფარეშოები დღეში რამდენჯერმე ლაგდებოდეს;
- სამზარეულო დღის განმავლობაში ინტენსიურად სუფთავდებოდეს;
- ბაგა-ბაღის შენობის მთლიანი ტერიტორია და ეზო დალაგდეს დღის ბოლოს;
- პირსახოცები და თეთრეული კვირის ბოლოს ირეცხებოდეს;
- სათამაშოების დასუფთავება რეგულარულად ხდებოდეს;
- დასუფთავების პროცესში გამოიყენებოდეს არასახიფათო სადეზინფექციო საშუალებები.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღის საპირფარეშო დღის განმავლობაში ოთჯერ უნდა ლაგდებოდეს სველი წესით. საპირფარეშოს კარებზე დალაგების აღრიცხვის ფურცელი უნდა იყოს გაკრული, სადაც დამლაგებელი დასუფთავების შემდეგ მონიშვნით და ხელმოწერით დაადასტურებს შესრულებულ სამუშაოს (დანართი # 5.1.). საპირფარეშოს დალაგებაში შედის: ნაგვის გადაყრა, უნიტაზის, ნიჟარის, სახელურების და იატაკის გაწმენდა. დალაგების პროცესში რეკომენდებულია ისეთი სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება, რომლებსაც მძაფრი სუნი არ აქვს. ასევე ხელის დასაბანად, სასურველია, თხევადი საპნის გამოყენება. დამლაგებელი საპნისა და ტუალეტის ქაღალდის მარაგს უნდა ამოწმებდეს და საჭიროების შემთხვევაში ამატებდეს. იმ შემთხვევაში, თუ ბაგა-ბაღში რამდენიმე ფლიგელია და ერთზე მეტი სართული აქვს, დირექციამ დამლაგებელთა რაოდენობის გაზრდაზე უნდა იზრუნოს, რომ შესაძლებელი იყოს ყველა საპირფარეშოს დალაგება ორ საათში ერთხელ.
- სამზარეულოს მიმდინარე დალაგება მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ხდება. დღის ბოლოს ის სველი წესით სუფთავდება. ამ დროს ჭურჭელი და პროდუქტები დახურულ კარადებში უნდა იყოს მოთავსებული. იატაკი ყოველდღიურად ცხელი წყლით, კვირაში ერთხელ კი სპეციალური სამზარეულოს იატაკის ქლორის შემცველი ხსნარით ირეცხება. სამზარეულოს კედლები და რაფები ყოველდღიურად სვე-

ლი ნაჭრით სუფთავდება. მტვერი ჭერიდან, კარნიზებიდან კვირაში ერთხელ სველი ნაჭრით ან მტვერსასრუტით იწმინდება. ნარჩენების რეზერვუარი ყოველდღიურად ირეცხება. ყველა სათავსო სუფთა უნდა იყოს და სველი წესით რეგულარულად დალაგდეს. იმისათვის, რომ საკვები პროდუქტების დაბინძურება თავიდან ავიცილოთ, ტარა (კასრები, ყუთები, ბიდონები) საწყობში შეტანამდე უნდა გასუფთავდეს. საწყობში პროდუქტები სუფთა მუშამბაზე ან ტარაში იწონება. ტომარა, მეტალის და ხის ყუთები, ბიდონები ყოველი ხმარების შემდეგ სუფთავდება.

- დღის ბოლოს უნდა დალაგდეს ბაგა-ბაღის მთლიანი ტერიტორია. ჯგუფის ოთახები ისეთ დროს უნდა დასუფთავდეს (გამოგვა, მტვრის გადაწმენდა, მტვერსასრუტით გასუფთავება), როცა ოთახში ბავშვები არ იქნებიან. ჯგუფის ფარდაგები და ნოხები ყოველდღიურად მტვერსასრუტით უნდა იწმინდებოდეს და სასურველია, შემდგომ სველი წესით მუშავდებოდეს, თვეში ორ-სამჯერ კი ჰაერზე უნდა იბერტყებოდეს. ჯგუფის იატაკი სველი წესით უნდა გასუფთავდეს. შედარებით მსუბუქი ავეჯი იატაკის გაწმენდის პროცესში უნდა გადაადგილდეს. კარადები, მაგიდები და სკამები სველი ტილოთი უნდა გაიწმინდოს. ასევე უნდა გაიწმინდოს კარების სახელურები. ყველა ოთახში უნდა იყოს გამოკრული დალაგების აღრიცხვის ფურცელი და დალაგების დასრულებას დამლაგებელი ხელმოწერით უნდა ადასტურებდეს (დანართი # 5.2). ბაღის დერეფნები ყოველდღიურად უნდა იწმინდებოდეს სველი წესით, ეზო ლაგდებოდეს, სათამაშო ქვიშის ყუთი სუფთავდებოდეს. ეზოს დალაგების პროცესში დამლაგებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ეზოში შუშის ან რაიმე უსაფრთხო ნივთის ნატეხების არსებობას, რამაც შეიძლება ბავშვის დაზიანება გამოიწვიოს (იხ.დანართი # 5.3).
- ყველა ბავშვს ინდივიდუალური პირსახოცი უნდა ჰქონდეს, რომელზეც იქნება მინიშნება, რათა აღსაზრდელს თავისი პირსახოცი სხვისაში არ აერიოს. ბავშვების პირსახოცები და ბაგის ბავშვების თეთრეული მშობლებს გასარეცხად ყოველი კვირის ბოლოს უნდა უბრუნდებოდეს ან, მშობლის სურვილის შემთხვევაში, ბაგა-ბაღის სამრეცხაოში ირეცხებოდეს (დანართი #5.4.).
- აუცილებელია სათამაშოების ხშირი წმენდა და ამისთვის სპეციალური სითხეების გამოყენება. რბილი სათამაშოები თვეში ორჯერ უნდა ირეცხებოდეს, დანარჩენი სათამაშოები კი სველი წესით, არასახიფათო საწმენდი საშუალებებით უნდა იწმინდებოდეს კვირის ბოლოს.
- დალაგების პროცესში მნიშვნელოვანია სადეზინფექციო, ქლორის შემცველი საშუალებების გამოყენება. თუმცა აღნიშნული სადეზინფეციო საშუალებები ბავშვების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო უნდა იყოს. დოზირება ისე უნდა მოხდეს, რომ შენობაში მძაფრ სუნს არ ტოვებდეს. სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს ამ საშუალებების ხარისხს. მავნე ნივთიერება ბავშვის ორგანიზმში სამი გზით შეიძლება მოხვდეს: ჩასუნთქვისას, კანზე შეხებით ან პირის ღრუში მოხვედრისას. სადეზინფექციო საშუალებებს ადამიანებისათვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. ასეთი ქიმიური ნაერთების მიმართ ბავშვები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან. მათთან შეხებამ სასუნთქი გზებისა და ცენტრალური ნერვული

სისტემის სხვადასხვა სახის დაზიანებები შეიძლება გამოიწვიოს. საყოფაცხოვრებო ქიმიურ პროდუქციას ზიანის მიყენება იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ: ზედაპირზე ახალი წასმულია, არასწორად არის გაზავებული, გაუზავებელი გამოიყენება, გაუნიავებელ საცავში ინახება, მძიმე სუნს ტოვებს. ასეთი პროდუქციის შეძენისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ ეტიკეტზე მითითებული ინსტრუქციები:

- √ შეიძინეთ "მწვანე" (მწვანე სამკუთხედი ირგვლივ ყვითელი ხაზებით), ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი;
- √ არ შეიძინოთ ისეთი პროდუქტი, რომელსაც ეტიკეტზე მითითებული აქვს,რომ ნიღბით, ხელთათმანებით და სათვალით უნდა გამოიყენებოდეს, რადგან ეს ნივთიერების მაღალ ტოქსიკურობასა და აქროლადობაზე მიუთითებს;
- √ ყურადღება მიაქციეთ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა:

GAUTION= საშუალო/ზომიერად ტოქსიკური;
WARINING = საშუალოდ ტოქსიკური;
DANGER= ფეთქებადი/ კოროზიული, ძლიერ ტოქსიკური;
POSION= ძალიან ძლიერი შხამი.

5.2. შენობაში ბაქტერიების გავრცელების პრევენცია

ბაგა-ბაღში აღსაზრდელების დაინფიცირების თავიდან აცილებისა და გარედან შემოტანილი ბაქტერიებისაგან თავდასაცავად ჩვენი მიზანია:

- ♦ შენობაში მუდმივად კონტროლდებოდეს ჰაერის სისუფთავე;

- თავიდან ავიცილოთ გარედან შემოტანილი ბაქტერიები.

მიზნის მიღწევის გზები

- ჯგუფის ოთახები დღის განმავლობაში რამდენჯერმე (მინიმუმ 4-ჯერ) უნდა ნიავდებოდეს. შენობაში ჰაერის ხარისხობრივ მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ის ჯანმრთელობაზე, ბავშვებში ყურადღების კონცენტრაციასა და დაღლაზე უშუალო გავლენას ახდენს. შენობაში ჰაერის ხარისხს მრავალი ფაქტორი განაპირობებს: საწმენდი საშუალებების ხარისხი, ვენტილაცია, გათბობა, ხალხის რაოდენობა, სისუფთავე, მოსაპირკეთებელი მასალა, ტენიანობა, რბილი ავეჯი, სათამაშოები და ა.შ. პრობლემები შეიძლება გარკვეულ ოთახს, ზონას ან მთელ შენობას უკავშირდებოდეს. მნიშვნელოვანია, რომ სამზარეულოში იყოს გამწოვი, რომელიც კერძის მომზადების დროს აუცილებლად ჩართული იქნება. სამზარეულო და საჭირო ოთახები დღეში რამდენჯერმე უნდა განიავდეს.
- აღსაზრდელები, აღმზრდელები და სამზარეულოს პერსონალი ბაგა-ბაღის შენობაში შემოსვლისას ფეხსაცმელებს იცვლიან. ყველა ჯგუფში ფეხსაცმელზე ზემოდან ამოსაცმელი ბახილები აწყვია, რომელსაც ყველა სხვა თანამშრომელი, მშობელი ან სტუმარი

იცვამს ჯგუფში შესვლის დროს. კვების ბლოკის შესასვლელში უნდა ეკიდოს ხალათი და ქუდი, რომელსაც სამზარეულოში შესული პირი (დირექტორი, სამეურნეო ნაწილის გამგე, მონიტორინგის თანამშრომელი და სხვა) ჩაიცვამს.

5.3. აღსაზრდელის ჰიგიენა

ბაგა-ბაღში აღსაზრდელის მიერ ჰიგიენური წესების დამოუკიდებელად დაცვის ხელშეწყობისათვის ჩვენი მიზანია:

- აღსაზრდელები ფლობდნენ ინფორმაციას ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ;
- აღსაზრდელებს დამოუკიდებლად შეეძლოთ საპირფარეშოს მოხმარება;
- აღსაზრდელებს დამოუკიდებლად შეეძლოთ ჰიგიენური წესების დაცვა კვების პროცესში.

მიზნის მიღწევის გზები

- პედაგოგებმა ბავშვებს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ჰიგიენის ნორმების შესახებ, აუხსნან ხელების დაბანის, კბილების გახეხვის მნიშვნელობა. ინფორმაციის მიწოდებას გაკვეთილის სახე არ უნდა ჰქონდეს. მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ზღაპრების, მოთხრობების მოყოლა, ინფორმაციის ვიზუალური, დასურათებული მასალით მიწოდება, როლური თამაშების გამოყენება და ა.შ. პედაგოგები ასევე ხელს უწყობენ ბავშვებს, რომ დამოუკიდიებლად ისწავლონ ხელის დაბანა და საპნის მოხმარება (დანართი # 5.5.).
- პედაგოგები აღსაზრდელებს ხელს უწყობენ, რომ დამოუკიდებლად მოიხმარონ საჭირო ოთახი. 2-3 წლის ბავშვებს ქოთნის მოხმარებას ასწავლიან, ხოლო 3-5 წლის ბავშვებს – საპირფარეშოსას. ამისათვის შესძლებელია ვიზუალური მასალის გამოყენება. საპირფარეშოს მოხმარებისათვის საჭირო აქტივობების თანმიმდევრული დასურათება და საპირფარეშოებში გამოკვრა (დანართი # 5.6.).
- აღმზრდელები კვების პროცესში ბავშვებს ჰიგიენური წესების – ჭამის წინ ხელების დაბანას, კვების პროცესში სისუფთავის შენარჩუნებას, ხელსახოცის გამოყენებას ასწავლიან. თუმცა დამოუკიდებლად კვების წახალისების პროცესში შესაძლებელია, ბავშვმა დაისვაროს ტანსაცმელი, რის გამოც პედაგოგმა ბავშვი არ უნდა დასაჯოს. სასურველია, ბავშვის დამოუკიდებლად კვება წავახალისოთ და, ფიზიკური თუ ვერბალური დახმარებით, ტანსაცმლის სისუფთავის შენარჩუნება ვასწავლოთ.

5.4. კვების ბლოკის ჰიგიენა

ბაგა-ბაღში აღსაზრდელებისათვის ჰიგიენურად სუფთა საკვების მიწოდებისათვის ჩვენი მიზანია:

- კვების ბლოკის თანამშრომლები იცავდნენ ჰიგიენურ წესებს;

- კვების ბლოკის თანაშრომლები არ იყვნენ ინფექციური დაავადებების მატარებლები;
- დღის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდეს სამზარეულოს დალაგება;
- ბავშვების ჭურჭელი ჰიგიენური წესების დაცვით ირეცხებოდეს.

მიზნის მიღწევის გზები

- კვების ბლოკის თანამშრომლებმა მკაცრად უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენის წესები. სამუშაოს დაწყების წინ ხელი საპნითა და ჯაგრისით უნდა დაიბანონ, სუფთა სპეციალური ტანსაცმელი ჩაიცვან, თავზე ქუდი ისე დაიფარონ, რომ თმა არ ჩანდეს. ტანსაცმლის საბნევით შეკვრა და ჯიბით წვრილი მეტალის ნივთების ტარება არ შეიძლება, რადგან ისინი შეიძლება საჭმელში მოხვდეს. კვების ბლოკის ყველა თანამშრომელმა ტუალეტში შესვლის წინ აუცილებლად უნდა გაიხადოს სპეციალურ ტანსაცმელი, ხელები უნდა დაიმუშაოს სპეციალური სადიზინფექსიო ხსნარით და შემდგომ დაიბანოს საპნით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვების ბლოკის თანამშრომლების ხელის სისუფთავეს. ფრჩხილები მოკლედ უნდა ჰქონდეთ დაჭრილი, ლაქი არ უნდა ესვათ, ბეჭდები არ უნდა ეკეთოთ, ხელის კანზე ჩირქის გაჩენის შემთხვევაში აუცილებელია სამსახურის შეწყვეტა. სამზარეულოს შესასვლელში მუდმივად უნდა ეკიდოს სუფთა სპეციალური დამატებითი ფორმა გარეშე პირებისათვის (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეურნეო ნაწილის გამგე, მონიტორინგის სამსახური), რომლებიც მას სამზარეულოში შესვლამდე ჩაიცვამენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შესვლა დაუშვებელია.
- სამსახურში არ დაიშვება პირი, რომელიც მწვავე ნაწლავური ან რესპირაციული დაავადებით არის დაავადებული. ბავშვთა დაწესებულებაში ინფექციური დაავადების გავრცელების პროფილაქტიკისათვის კვების ბლოკში მისული თანამშრომელი უნდა გადიოდეს სამედიცინო შემოწმებას და სპეციალური გამოკვლევა უნდა ჩაუტარდეს ჭიების მტარებლობაზე ბაქტერიულ და კანის დაავადებაზე. ამის შემდეგ კვების ბლოკის ყველა თანამშრომელი ყოველწლიურად უნდა გადიოდეს სამედიცინო შემოწმებას.
- სამზარეულო დღის განმავლობაში მუდმივად უნდა ლაგდებოდეს. საჭმლის მოსამზადებლად გამოყენებული ჭურჭელი მზარეულის დამხმარის მიერ უნდა ირეცხებოდეს სპეციალური ჭურჭლის სარეცხი საშუალებებით და ცხელი წყლით. სამზარეულოში რეკომენდებულია ორნაწილიანი სარეცხი ნიჟარა. ერთ ნაწილში ჭურჭელი ირეცხება, ხოლო მეორეში გამდინარე წყლით ივლება. ხორცის საჭრელი მორი ხმარების შემდეგ მაშინვე უნდა გაირეცხოს ცხელი წყლით. ჯაგრისები ჭურჭლის რეცხვის შემდეგ ცხელი წყლით ირეცხება და შრება. ასევე სველი წესით უნდა იწმინდებოდეს: კედლები, მაგიდები, გაზქურა და ა.შ. დღის ბოლოს ირეცხება სამზარეულოს იატაკი.
- ჯგუფების ჭურჭლის გარეცხვა მრეცხავს ევალება. გარეცხვამდე ჭურჭელი უნდა გასუფთავდეს საკვების ნარჩენებისაგან, შემდეგ ცხელ წყალში სპეციალური ჭურჭლის სარეცხი საშუალებით ან საჭმლის სოდით გაირეცხოს და თარო-გისოსზე გაშრეს. ჩაის ჭურჭელი სადილის ჭურჭლისგან განცალკევებით უნდა ირეცხებოდეს.

მიზნის აღსრულების მაჩვენებლები

- ბაგა-ბაღში არსებობს დასუფთავების გრაფიკები დამლაგებლის ხელმოწერით;
- ბაგა-ბაღში გამოიყენება არასახიფათო სადიზინფექციო საშუალებები;
- ბავშვებს ინდივიდუალური პირსახოცები აქვთ, რომელზეც დამაგრებულია ერთმანეთისგან განსხვავებული მინიშნებები;
- ჯგუფებში არსებობს ბავშვებისთვის ჰიგიენური წესების შემსწავლელი მასალა;
- საპირფარეშოებში არსებობს ხელის დაბანის და ტუალეტის დამოუკიდებელი მოხმარებისთვის საჭირო ვიზუალური მინიშნებები;
- 2-3 წლის ასაკის ბავშვებს დამოუკიდებლად შეუძლიათ ქოთნის მოხმარება;
- 4-5 წლის ასაკის ბავშვებს დამოუკიდებლად შეუძლიათ საპირფარეშოს მოხმარება;
- ბავშვებს შეუძლიათ კვების დროს ჰიგიენური წესების დაცვა, ხელსახოცის გამოყენება;
- ჯგუფებში ჰაერი განიავებულია;
- სამზარეულოში დაყენებულია გამწოვი, რომელიც ჩართულია საკვების მომზადებისას;
- აღმზრდელს, აღმზრდელის თანაშემწეს და სამზარეულოს პერსონალს ბაღში ყოფნის დროს ფეხსაცმელი გამოცვლილი აქვთ;
- ჯგუფის შესასვლელებში აწყვია ბახილები;
- სამზარეულოს შესასვლელში ხალათი და ქუდი კიდია;
- სამზარეულოს პერსონალს სუფთა ხალათი აცვია და ქუდი ახურავს;
- სამზარეულოს პერსონალს ფრჩხილები მოკლედ აქვს დაჭრილი და ლაქი არ უსვია. ასევე არ უკეთია ბეჭდები მუშაობის პროცესში;
- კვების ბლოკის თანამშრომლები ყოველწლიურად ანახლებენ ჯანმრთელობის ცნობას, რომელიც ინახება ბაგა-ბაღში.

თავი მეექვსე

6. ჯანმრთელობის დაცვა

მოცემული თავი განსაზღვრავს ბაგა-ბაღში ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და პრევენციისათვის საჭირო პროცედურებს. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვისათვის მნიშვნელოვანია, ბაგა-ბაღის გარემო უზრუნველყოფდეს აღსაზრდელის ჯანმრთელობის გართულების პრევენციას, ასევე ბაღის პერსონალს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ზომები პირველადი დახმარების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში.

6.1. პირველადი დახმარება

ბაგა-ბაღში ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვისათვის ჩვენი მიზანია, სააღმზრდელო დაწესებულება უზრუნველყოფდეს:

- პერსონალს, რომელიც ფლობს ცოდნას პირველადი დახმარების შესახებ;
- პირველადი დახმარებისათვის აუცილებელ სამედიცინო ინვენტარს.

მიზნის მიღწევის გზები

- სააღმზრდელო დაწესებულების სამენეჯმენტო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს ექიმის ან ექთნის ყოლა. ასევე ყველა თანამშრომელი, რომელსაც უშუალო შეხება აქვს ბავშვთან, კერძოდ, აღმზრდელი და მისი დამხმარე, უნდა ფლობდეს ინფორმაციას პირველადი დახმარების შესახებ. მათ უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ, თუ ბავშვს აქვს გულყრა, გარეგანი სისხლდენა, ასთმა და ა.შ. (დანართი# 6.1.) სასურველია, ბაღში მინიმუმ ორ აღმზრდელს ჰქონდეს გავლილი სერტიფიცირებული ტრენინგი პირველად დახმარებაში.
- ბაგა-ბაღში უნდა არსებობდეს პირველადი ჯანდაცვის ყუთი და დადგენილი უნდა იყოს მისი შემოწმების/განახლების ყოველთვიური თარიღი. ყუთი მოთავსებული უნდა იყოს სამედიცინო პერსონალის ოთახში. პირველადი დახმარების ინვენტარის ნებისმიერი სახითა და რაოდენობით გამოყენების შემდეგ ხდება ყუთის რეინვენტარიზაცია და გახარჯული მასალის შევსება. პირველადი დახმარების ნივთები, როგორიც არის ბინტი, ბამბა, სამედიცინო პლასტირი, სპირტი, რეზინის სახვევები, უნდა ინახებოდეს ყველა ჯგუფში, პირველადი დახმარების ნივთები მოთავსებული უნდა იყოს თავდახურულ ყუთში, აღსაზრდელებისათვის მიუწვდომელ ადგილას.
- პირველი დახმარების დროულად აღმოჩენისათვის სააღმზრდელო დაწესებულების სამედიცინო ყუთში მუდმივად უნდა ინახებოდეს:

  √ სამედიცინო ხელთათმანი (რამდენიმე);

- √ პინცეტი;
- √ მაკრატელი;
- √ თერმომეტრი ტემპერატურის გასაზომად (არა მინის);
- √ სამედიცინო პლასტირი;
- √ მზა სტერილური საფენები;
- √ რეზინის სახვევი;
- √ საბავშვო სიცხის დამწევი სიროფები;
- √ ფიზიოლოგიური ხსნარი – თვალის გამოსარეცხად;
- √ სპირტი;
- √ ბამბა;
- √ ბეტადინი ან ბრილიანტის მწვანე;
- √ სხვა სპეციფიკური ნივთი, რომელიც გათვალსწინებულია კონკრეტული ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობით (მითითებული უნდა იყოს ბავშვის სახელი და გვარი, მოხმარების წესი).

6.2. სამედიცინო შემთხვევების მართვა

სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და დახმარების დროულად აღმოჩენის უზრუნველსაყოფად ჩვენი მიზანია:

- პერსონალი ინფორმირებული იყოს ბავშვის ჯანმრთელობის საჭიროებების შესახებ;
- პერსონალი ინფორმირებული იყოს ბავშვისათვის მედიკამენტის მიცემის წესების შესახებ;
- პერსონალს შეეძლოს გადაუდებელი დახმარების საჭიროების ამოცნობა.

მიზნის მიღწევის გზები

- ყველა ბავშვის ფაილში, ვისაც სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს, უნდა ინახებოდეს მშობლისა და ექიმის მიერ ხელმოწერილი ფურცელი, რომლის საშუალებითაც განსაზღვრული იქნება აღსაზრდელის ჯანმრთელობის მართვისათვის საჭირო პროცედურები. აღსაზრდელის წარმომადგენლის მიერ ნებისმიერი მედიკამენტის (ექიმის დანიშნული) სააღმზრდელო დაწესებულებაში მოტანის შემთხვევაში, მედიკამენტი უნდა ინახებოდეს სპეციალურ კოლოფში. მასზე აღნიშნული უნდა იყოს მოტანის თარიღი რეცეპტის ასლთან ერთად, სადაც მითითებული იქნება: ბავშვის სახელი და გვარი, რეცეპტის გაცემის თარიღი, რეცეპტის გამცემი ჯანდაცვის სპეციალისტის რეკვიზიტები, მედიკამენტის მიღების წესი, შენახვის წესი, მედიკამენტის სახელი (გარკვევით) და დანიშნულება. ასევე, იმ პირის სახელი, ვინც აღსაზრდელის ბაგა-ბაღში ყოფნის პერიოდში პასუხისმგებელი იქნება მედიკამენტის მიცემაზე. ყველა მედიკამენტი ინახება მითითებულ ტემპერატურაზე, აღსაზრდელებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას.
- სააღმზრდელო დაწესებულებაში აღსაზრდელებისათვის მედიკამენტების მიცემა შე-

მოიფარგლება:

- √ ექიმის მიერ კონკრეტული ბავშვისათის დანიშნული მედიკამენტით, რომელსაც თან ახლავს მშობლის ან ოფიციალური მეურვის წერილობითი თანხმობა;
- √ მედიკამენტით, რომელიც გაიცემა რეცეპტის გარეშე და რომლის გამოყენებაც შეიძლება ყველა ბავშვისათვის, თუკი არის ამის განსაკუთრებული სამედიცინო საჭირობა (აწეული ტემპერატურა) – მხოლოდ მშობლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. მედიკამენტების ჩამონათვალს, რომელიც ბაგა-ბაღის სამედიცინო ყუთში ინახება, აუცილებლად უნდა იცნობდეს მშობელი. სანამ სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელი აღსაზრდელს მისცემს რაიმე მედიკამენტს, იგი უნდა დარწმუნდეს მისი გამოყენების აუცილებლობასა და მართებულობაში. მედიკამენტის მისაცემად საკმარისი არ არის მხოლოდ მშობლის თანხმობა. ასევე საჭიროა ექიმის დასკვნა/რეკომენდაცია. ხშირად მშობლები ხვდებიან საკუთარი კეთილი ნებისა და სარეკლამო კამპანიების მსხვერპლნი. დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა ან ადმინისტრაციამ შესაძლებელია, შეადგინოს რეგულაცია ბაღის სამედიცინო ყუთში არსებული ზოგადი სპექტრის მედიკამენტების დაწესებულებაში გამოყენების შესახებ. მაგალითად, შემდეგი შინაარსის: ბაგა-ბაღში მყოფ ყველა ექვს წლამდე ასაკის აღსაზრდელს დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში სხეულის ტემპერატურის 38.5 გრადუსამდე აწევისას, მშობლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, მიეცემა X მედიკამენტი X დოზით. აღნიშნულ რეგულაციას უნდა იცნობდეს მშობელი და თანხმობის შემთვევაში ადასტურებდეს ხელმოწერით. მიუხედავად წერილობითი თანხმობისა, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი მედიკამენტის მიცემის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდოს მშობელს. სასურველია, წინასწარი გაფრთხილება მედიკამენტის მიცემამდე, მაგრამ, თუ ეს ვერ ხერხდება, აღსაზრდელის ჯანმრთელობის მდგომარეობის სწრაფი გაუარესების გამო (მაგ. ალერგიული რეაქცია), შესაძლებლია – პოსტფაქტუმ. ასევე მისაღებია მშობლის რწმუნებული ჯანდაცვის სპეციალისტისაგან (რასაც წერილობით ადასტურებს) სატელეფონო კონსულტაციის მიღებაც, თუ მშობელი ამას საჭიროდ ჩათვლის.

- მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა იცოდნენ იმ სიტუაციების ამოცნობა, როდესაც აუცილებელია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახება. დაუკავშირდით და გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება, თუ:

  - √ მიიჩნევთ, რომ ბავშვის სიცოცხლე საფრთხეშია;
  - √ ბავშვი იქცევა უცნაურად: მოდუნებულია, მნიშვნელოვნად დაქვეითებულია მისი სიფხიზლის დონე, „თითქოს აქ არ არის“;
  - √ ბავშვს უჭირს სუნთქვა ან არ შეუძლია ლაპარაკი;
  - √ ბავშვის კანი ან ტუჩები გალურჯდა, მიიღო ნაცრისფერი ან არაბუნებრივად

მეწამული წითელი ფერი;

- √ ბავშვი რიტმულად იქნევს მხრებს და ფეხებს და კარგავს ცნობიერებას (გულყრა);
- √ ბავშვი არის უგონოდ;
- √ ბავშვი ნელ-ნელა ამცირებს გარემოზე რეაგირებას;
- √ თავის დარტყმის შემდეგ ბავშვს აქვს შემდეგი სიმპტომები: დაუქვეითდა სიფხიზლე, დაბნეულია, დეზორიენტირებულია, აქვს თავის ტკივილი, აქვს ღებინება, გაღიზიანებულია, უჭირს სიარული;
- √ ბავშვს აქვს პროგრესირებადი, მწვავე ტკივილი;
- √ ბავშვს აქვს ჭრილობა ან დამწვრობა, რომელიც მოიცავს ვრცელ ფართობს, არის ღრმა ან არ ჩერდება სისხლდენა;
- √ ბავშვი აღებინებს სისხლს;
- √ ბავშვს აქვს გაშეშებული (უჭირს მოძრაობა) კისერი, თავის ტკივილი და მაღალი ტემპერატურა;
- √ ბავშვს აღენიშნება გაუწყლოება: ჩავარდნილი თვალები, არ ტირის, არ შარდავს.

სასწრაფო დახმარების ნომრები უნდა გამოიკრას ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

მას შემდეგ, რაც გამოიძახებთ სასწრაფო დახმარების სამსახურს, დაუკავშირდით ბავშვის ოფიციალურ მეურვეს. ხელმისაწვდომი უნდა იყოს აღსაზრდელის მშობლის ან მეურვის ტელეფონის ნომრები.

კომენტარი: მთელ რიგ სიტუაციებში შესაძლებელია, არ იყოს აუცილებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება, მაგრამ საჭიროა ექიმთან ვიზიტი უახლოეს საათებში. ასეთ სიტუაციებში აუცილებელია სასწრაფოდ დაუკავშირდეთ ბავშვის ოფიციალურ წარმომადგენელს. თუ თქვენ ან ბავშვის წარმომადგენელი ვერ ახერხებთ ექიმთან კონსულტაციის გავლას უახლოესი ერთი საათის განმავლობაში, ბავშვი დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანონ საავადმყოფოში. ამგვარი სიტუაციებია:

1. მაღალი ტემპერატურა;
2. სწრაფად გავრცელებადი მოწითალო გამონაყარი ტანზე;
3. სისხლი განავალში ან შარდში;
4. სხვა სპეციფიკური სამედიცინო მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს მშობლის ინფორმირებას.

მიზნის აღსრულების მაჩვენებლები

- ♦ ბაგა-ბაღში არის ექიმი ან ექთანი;
- ♦ ყველა აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე ფლობს ინფორმაციას პირველადი დახმარების შესახებ;
- ♦ ბაღში მინიმუმ ორ აღმზრდელს აქვს გავლილი სერტიფიცირებული ტრენინგი

პირველად დახმარებაში;

- ბაგა-ბაღში არის პირველადი ჯანდაცვის ყუთი;
- სამედიცინო ყუთში ინახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტი;
- ჯგუფებში არსებობს პირველადი დახმარების ნივთები;
- ბაღში არსებობს რეგულაცია სამედიცინო ყუთში არსებული მედიკამენტების მიღების შესახებ, რომელსაც იცნობს მშობელი და ადასტურებს ხელმოწერით;
- ბაღში არსებობს გაწერილი პროცედურა ოჯახიდან მოტანილი პრეპარატების მიღების შესახებ;
- ყველა ბავშვის ფაილში არსებობს სრული სამედიცინო მონაცემები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- ბავშვის მშობლების ან მეურვის კონტაქტები გამოკრულია ჯგუფებში;
- სასწრაფო დახმარების ნომრები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე;
- ყველა სამედიცინო დახმარების გაწევის საჭიროება აღწერილი და შეტანილია აღსაზრდელის დოკუმენტაციაში.

თავი მეშვიდე

7. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ინკლუზია

მოცემული თავი ბაგა-ბაღში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიღების და პროგრამაში ჩართვის პროცედურებს განსაზღვრავს. აღნიშნული საკითხები უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლებლობის მქონე ბავშვის წარმატებულ ჩართვას სააღმზრდელო დაწესებულებაში, რაც როგორც თითოეული ბავშვის, ისე ყველა აღსაზრდელის ჰარმონიულ განვითარებასა და პიროვნებაზე ორიენტირებული ღირებულებების დამკვიდრებას უწყობს ხელს.

7.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიღება

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ბაგა-ბაღებში მიიღებიან ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების საფუძველზე – N 24.46.1021 „ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში ინკლუზიური განათლების საჭიროების მქონე სამიზნე ჯგუფის განსაზღვრის შესახებ."

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ბაგა-ბაღში მიღებისათვის ჩვენი მიზანია, სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებობდეს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ბაგა-ბაღში ინტეგრაციის ხელშემწყობი პოლიტიკა;
- ბავშვის პირველადი შეფასება და სპეციალისტების რეკომენდაცია ბაგა-ბაღში ჩარიცხვის შესახებ.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღის ადმინისტაციამ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიღების არადისკრიმინირებული მიდგომა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ბავშვის მიღების წესების შესაბამისად. თუმცა ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელი არ არის ყოველთვის მზად, რომ შვილი ბაგა-ბაღში მიიყვანოს. ზოგიერთ მშობელს ძალიან უჭირს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, მშობელი ბაგა-ბაღმა უნდა წაახალისოს. ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას გამონაკლისის დაშვების უფლება აქვს ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით და მიღების დასრულების შემდგომ შეუძლია, ჯგუფის მაქსიმალურ რაოდენობას (ბაღი – 35, ბაგა – 25) ერთი ბავშვი დაამატოს.

- მშობელმა ბავშვის ბაღში მიყვანისას აუცილებლად უნდა წარადგინოს ბავშვის მიღებისათვის საჭირო ყველა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია, მათ შორის ფორმა N IV-100/, ან ფორმა N 50 და დამატებით კვალიფიცირებული სპეციალისტების მიერ განხორციელებული ბავშვის პირველადი შეფასება (კოგნიტური, ფიზიკური და ა.შ. უნარების). პირველად შეფასებას თან უნდა ახლდეს რეკომენდაცია ბავშვის საჯარო ბაღში ჩარიცხვის შესახებ. პირველად შეფასებაზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს ის გარემო, რომელიც უმჯობესია ბავშვის განვითარებისათვის. იმავე სპეციალისტთა გუნდმა უნდა მოამზადოს რეკომენდაცია, სადაც იქნება აღნიშნული, რომ ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მისი ჩარიცხვა საჯარო ბაღში.

7.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სააღმზრდელო პროცესში ინტეგრირება

ბავშვის სააღმზრდელო პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობისათვის ჩვენი მიზანია, ბაგა-ბაღი უზრუნველყოფდეს:

- ბაგისა და ბაღის ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესაბამის რაოდენობას;
- ბაგა-ბაღის გარემოსთან მიმართებაში ბავშვის საჭიროებების შეფასებას;
- ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და განხორციელებას;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის საჭიროებების შესახებ ბაგა-ბაღის პერსონალისა და ბავშვების ინფორმირებულობას;
- ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე ერთი წლით ბაგა-ბაღში ყოფნის გახანგრძლივებას.

მიზნის მიღწევის გზები

- საჯარო ბაგა-ბაღების რესურსებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ბაგის ჯგუფში ორი, ხოლო ბაღის ჯგუფში სამი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ჩართვა.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ბაგა-ბაღში მიღების შემდგომ უნდა შეფასდეს ბავშვის საჭიროებები ბაგა-ბაღის გარემოში, რაც იქნება განვითარების ინდივიდუალური გეგმის მომზადების საფუძველი. საჭიროების შემთხვევაში ბაღმა უნდა დაიქირაოს სპეციალური პედაგოგი, რომელიც განვითარების ინდივიდუალური გეგმის დაგეგმვასა და განხორციელებაში მიიღებს მონაწილეობას. ადმინისტრაცია განსაკუთრებულ მოქნილობას უნდა იჩენდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ბაგა-ბაღში ჩართვის პროცესში. საჭიროების შემთხვევაში უნდა შემუშავდეს ბავშვის დასწრებისა თუ კვების ინდივიდუალური გრაფიკი. ადმინისტრაციამ, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, უნდა გაცვალოს ჯგუფების ადგილმდებარეობა. ბაგა-ბაღის გარემოში ბავშვის შეფასების შედეგად შესაძლებელია, გამოიკვეთოს სპეციფიკური

საჭიროებები, როგორიც არის სპეციალური სკამი, მაგიდა, ასევე ბავშვისთვის ცალკე დამხმარე. ოჯახს აქვს უფლება, თავად უზრუნველყოს აღნიშნული საჭიროება ბაგა-ბაღის გარემოში. მაგალითად, მოიყვანოს ძიძა ბაღში.

შენიშვნა: მშობელსა და ბაღს შორის არსებული გაუგებრობის/კონფლიქტის შემთხვევაში საკითხი უნდა დარეგულირდეს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსთან და კვალიფიციურ პირთან რეკომენდაციის გავლის გზით.

- განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ასევე ბაღის რესურსები, რაც შესაძლებელია ბავშვისთვის ბაღში ჩართვის ინდივიდუალური გრაფიკის შემუშავების საფუძველი გახდეს. მაგალითად, კვირაში არა ხუთდღიანი, არამედ სამდღიანი დასწრების გრაფიკი ან ყოველდღიურად დასწრება კონრეტულ ინდივიდუალურ საათებში და ა.შ. განვითარების ინდივიდუალური გეგმა ხანგრძლივ და ხანმოკლე მიზნებსა და მათ მისაღწევად დაგეგმილ კონკრეტულ აქტივობებსა და აქტივობების განხორციელების სტრატეგიებს უნდა მოიცავდეს. განვითარების ინდივიდუალური გეგმა დაწესებულების ზოგად პროგრამაშია ინტეგრირებული, თუმცა შესაძლებელია, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთან დამატებით მუშაობას გულისხმობდეს. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვისათვის შერჩეული პროგრამა მშობლების ზრუნვის რეჟიმსა და ბავშვის საჭიროებებს (რომელსაც ისინი დაწესებულების გარეთ ახორციელებენ) შეესაბამებოდეს. პროგრამის შედგენისას ასევე ის გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი სასწავლო-სააღმზრდელო მიზნები და სწავლების სტრატეგიები უნდა იყოს გათვალისწინებული, რომლებსაც ბავშვი ამა თუ იმ სპეციალისტის (კერძო ან რომელიმე დღის სარეაბილიტაციო ცენტრის) მომსახურების ფარგლებში იღებდა ან იღებს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის გეგმაში მოცემული მიზნები კარგად ფორმულირებული, რეალისტური, კონკრეტული და გაზომვადი უნდა იყოს. აღნიშნული მიზნები არა აბსტრაქტულად სხვადასხვა უნარების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული (მაგ. ზოგადად მეტყველების გაუმჯობესება), არამედ ბავშვის მიერ კონკრეტული საქმიანობის ან აქტივობის განხორციელებასთან (მაგ. მისალმება – შეუძლია მარტივი წინადადებით მიესალმოს მეგობრებს). მიზნების დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, რომ მათი შესრულება არა სერვისის მიწოდების კრიტერიუმით გაიზომოს (მაგ. რამდენი სეანსი ჩაუტარა სპეციალურმა პედაგოგმა), არამედ საბოლოო შედეგის მიხედვით. რეკომენდებულია ხორციელდებოდეს განვითარების ინდივიდუალური გეგმის შუალედური (მაგ. ყოველ სამ თვეში) შეფასება და, გარდა ამისა, მისი წლიური/მასშტაბური გადაფასება, რაც წლის განმავლობაში აღსაზრდელთან მიღწეულ შედეგებს აჯამებს.
- ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს. გუნდის წევრები არიან: აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, სასწავლო პროგრამების კოორდინატორი (მეთოდისტი), მშობელი, საჭიროებისამებრ: სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ოკუპაციური თერაპევტი. გეგმის მიზნები მულტიდისციპლინარული გუნდის ყველა სპეციალისტისთვის საერთოა. თუმ-

ცა თითოეულ მათგანს მათ მიღწევაში თავისი პროფესიული მიმართულებით შეაქვს წვლილი (მაგალითად, იმისათვის, რომ ბავშვმა თანატოლებთან ურთიერთობა გააუმჯობესოს, ფსიქოლოგი სოციალურ უნარებზე მუშაობს, ხოლო მეტყველების თერაპევტი ვერბალურ ან არავერბალურ კომუნიკაციას ასწავლის). გუნდის შეხვედრებზე შედეგებისა და სამომავლო გეგმასთან დაკავშირებული შეთანხმების დოკუმენტაციაში ასახვა ხდება, რომლის ასლიც აღსაზრდელის ოჯახს გადაეცემა. ინფორმაცია ამგვარი შეხვედრის, მასში მონაწილე პირებისა და განხილული საკითხების შესახებ აისახება აღსაზრდელის დოკუმენტაციაში, რომელიც სააღმზრდელო დაწესებულებაში ინახება. მიღწეული მიზნების გადამოწმება მულტიდისციპლინარული გუნდის საერთო შეხვედრაზე ხდება, სადაც თითოეული სპეციალისტი მის მიერ მიღწეულ შედეგს წარადგენს და იგეგმება მიზნები მუშაობის შემდგომი პერიოდისთვის. ბაგა-ბაღში მულტიდისციპლინარული გუნდის წევრებს შორის კოორდინაციას კონკრეტული ბავშვისათვის გამოყოფილი ქეის-მენეჯერი/კოორდინატორი უზრუნველყოფს (შესაძლებელია იგი სასწავლო პრორაგმების კოორდიანტორი, სპეციალური პედაგოგი ან ფსიქოლოგი იყოს), რომელიც თვალს ადევნებს გეგმის განხორციელების მიმდინარეობას და პერიოდულად მულტიდისციპლინარულ გუნდს კრებს. გუნდის ხელმძღვანელის მოვალეობაა ასევე ნებისმიერი სხვა დაწესებულებიდან აღსაზრდელის რეაბილიტაციის, სოციალური ინკლუზიის თუ სხვა აქტივობის შესახებ ინფორმაციის მიღება. განვითარების ინდივიდუალური გეგმა, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვს თავისუფალი დასწრების საშუალებას უნდა აძლევდეს.

- ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის (ვისაც ბავშვთან შეხება აქვს) ინფორმირებულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროების შესახებ. სპეციალურმა პედაგოგმა და განათლების პროგრამების კოორდინატორმა უნდა მოამზადონ აღმზრდელები და თანაშემწეები, რომლებსაც ბავშვთან უშუალო შეხება აქვთ. შესაძლებელია, ჩაუტარონ ტრენინგი სპეციფიკურ სინდრომზე, განვითარების ინდივიდუალური გეგმაზე, განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესში პედაგოგის როლზე და ა.შ. სასწავლო პროცესში შეზღდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ჩართვამდე ძალიან მნიშვნელოვანია აღსაზრდელთა ჯგუფის მომზადება. მათ როგორც ერთმანეთის, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიმართ, მაქსიმალურად მეგობრული და მხარდამჭერი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ (ოღონდ არა სიბრალულისა და დანარჩენი ბავშვებისათვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრების ხარჯზე). სასურველია, რომ აღმზრდელმა დანარჩენ ბავშვებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელი წინასწარ გააცნოს, უამბოს მისი ძლიერი მხარეების შესახებ (მაგ. დათუნას უყვარს ხატვა და მუსიკის მოსმენა) და უთხრას ბავშვებს, რა ვითარებაში დასჭირდება მას დახმარება (მაგ. დათუნას ჩვენი დახმარება დასჭირდება კიბეზე ჩასვლისას და ჭამისას. ანდა თაკომ იცის რამდენიმე სიტყვა (ჩამოთვალეთ ეს სიტყვები), სხვა რაღაცებს კი მინიშნებით გვაგებინებს. მოდით, ერთად ვისწავლოთ, რას გამოხატავს მისი მინიშნებები). ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მშობლებთან სრულფასოვანი კომუნიკაციის და საინფორ-

მაციო შეხვედრების გამართვა, რაც აუცილებელია მშობლის მხარდაჭერისა და მისი როლის გაძლიერებისათვის, ბავშვის განვითარებისა და მისი ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის.

- 5-6 წლის ასაკში ბაგა-ბაღის მულტიდისციპლინარულმა გუნდმა უნდა შეაფასოს სკოლისათვის ბავშვის მზაობა. ამ დროს აუცილებელია მშობლის მოსაზრების გათვალისწინება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუ შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვი სკოლისათვის მზად არ არის, ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ ბავშვს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ყოფნა უნდა გაუხანგრძლივოს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს შვიდ წლამდე აქვს უფლება, რომ საჭიროების შემთხვევაში ბაგა-ბაღის მომსახურებით ისარგებლოს.

მიზნის აღსრულების მაჩვენებლები

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ბაგა-ბაღში მიღება ინსტრუქციის შესაბამისად ხდება;
- ბაგა-ბაღში არსებობს განვითარების ინდივიდუალური გეგმა;
- საჭიროების შემთხვევაში ბაგა-ბაღში არის სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი ან სხვა სპეციალისტი;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ინდივიდუალური დასწრებისა და კვების სისტემა;
- სააღმზრდელო დაწესებულების ყველა თანამშრომელი (ვისაც ბავშვთან შეხება აქვს) ინფორმირებულია თითოეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შესახებ;
- თითოეული ბავშვი შეძლებისდაგვარად არის ჩართული დღის აქტივობებში;
- საჭიროების შემთხვევაში ბავშვი შვიდ წლამდე რჩება ბაგა-ბაღში.

თავი მერვე

8. სოციალური და სააღმზრდელო გარემო

ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ინტერესებზე ორიენტირებულ სოციალურ გარემოს.

მოცემული თავი განსაზღვრავს ბაგა-ბაღის სოციალურ და სააღმზრდელო გარემოს, რომელიც აღსაზრდელების პიროვნული ღირებულებების, ემოციების, კოგნიტური და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაზეა ორიენტირებული.

8.1. პოზიტიური სოციალური გარემო

ბაგა-ბაღში აღსაზრდელების განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნისა და მათი უფლებების დაცვისათვის ჩვენი მიზანია:

- პერსონალი იცნობდეს ბავშვის უფლებების ძირითად პრინციპებს და იცავდეს მათ აღსაზრდელებთან ურთიერთობისას;
- პერსონალი იცნობდეს ქცევის პოზიტიური მართვის პრინციპებს და იყენებდეს მათ სააღმზრდელო პროცესში;
- აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არსებობდეს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღის თანამშრომლები, განსაკუთრებით აღმზრდელები და თანაშემწეები, უნდა იცნობდნენ ბავშვის უფლებათა კონვენციას. არ უნდა ხდებოდეს ბავშვების განსხვავება შესაძლებლობების, გარეგნული თავისებურებების, ეროვნების, სოციალური მდგომარეობის და ა.შ. მიხედვით. აღმზრდელები ხელს უნდა უწყობდნენ აღსაზრდელებს, რომ მათ თავიანთი აზრი გამოხატონ და დამოუკიდებელი არჩევანი გააკეთონ. აღმზრდელები პატივს უნდა სცემდნენ ბავშვის შეხედულებებს, უსმენდნენ, ყურადღებას უთმობდნენ და ცდილობდნენ მათი აზრის გათვალისწინებას თამაშის, კვებისა თუ სხვა აქტივობების დროს. ბავშვების კითხვები (ნებისმიერ საკითხზე) არ უნდა რჩებოდეს აღმზრდელის თუ ბაღის სხვა თანამშრომლის მიერ უგულებელყოფილი. ბაგა-ბაღის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან ბავშვის ინფორმაციის კონფიდენციალობა. ბავშვების თანდასწრებით პედაგოგების მიერ ამა თუ იმ ბავშვის მშობელზე საუბარი და ბავშვის ოჯახური პრობლემების საჯაროდ განხილვა დაუშვებელია.
- ბაგა-ბაღის სოციალურ გარემოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის პრობლემური ქცევის მართვის პროცესში. თითოეულმა თანამშრომელმა, განსაკუთრებით აღმზრდელებმა და აღმზრდელის თანაშემწეებმა უნდა იცოდნენ, რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს ბავშვის პრობლემურ ქცევას. ბავშვები ხშირად პრობლემური ქცევით (თმების მოქაჩვა,

ნივთების ძირს დაყრა და ა.შ.) ყურადღების მიპრობას, კომუნიკაციის დამყარებას, სასურველი მიზნის მიღწევას და ა.შ. ცდილობენ. ბაგა-ბაღის განათლების პროგრამა, სტრუქტურირებული გარემო, ბავშვის ინეტრესებზე მორგებული აქტივობები, აღმზრდელის მხრიდან პოზიტიური რეაგირება, ორიენტირებულობა ბავშვის რესურსებზე და არა სირთულეებზე, ხშირ შემთხვევაში თავისთავად ახდენს ბავშვებში პრობლემური ქცევის მართვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმზრდელის მხრიდან ბავშვის დადებითი ქცევის ხშირი წახალისება. გასათვალისწინებელია ამკრძალავი სიტყვების შემცირება ბავშვთან საუბრის დროს. აუცილებელია, რომ ბავშვს ვუთხრათ ის, თუ რა უნდა გააკეთოს, და არა ის, რა არ უნდა გააკეთოს. მაგალითად: „ნუ დარბიხარ!" ჩაანაცვლეთ: „იარე, ფეხები სიარულისთვის გამოიყენე, ეს ადგილი სიარულისთვის არის, ძალიან მომწონს როგორ დადიხარ, მადლობ, რომ დადიხარ". „ნუ თამაშობ საჭმლით!" ჩაანაცვლეთ: „საჭმელი იდება ჯერ კოვზზე და მერე პირში, როცა დაამთავრებ ჭამას თქვი, დავამთავრე, ძალიან კარგია შენს კოვზს რომ იყენებ, ყოჩაღ, დამოუკდებლად რომ ჭამე, ახლა შეგიძლია სათამაშოდ წასვლა". მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელები ბავშვებს მარტივ ინსტრუქციებს აძლევდნენ და მოდელირებით ან მოქმედების გამომხატველი ნახატებით უჩვენებდნენ მაგალითებს.

- დაუშვებელია ბავშვისათვის ვერბალურად თუ ფიზიკურად შეურაცხყოფის მიყენება.
- სააღმზრდელო დაწესებულების პროგრამის წარმატებული განხორციელების წინაპირობა თითოეული აღსაზრდელთან ნდობის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაა,[1] რაც ბავშვს შინაურებთან დაცილებით გამოწვეულ სტრესს უმცირებს და ემოციურ განვითარებაში ეხმარება. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვთან კომუნიკაციაში სულ მცირე ერთი პიროვნება მაინც შედიოდეს (ერთი ერთზე) და ბავშვთან დღის გამოცდილებებთან და მის ემოციებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ცვლიდეს (არ იგულისხმება ერთი ერთზე შენიშვნის მისაცემად გასაუბრება). მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელებმა უზრუნველყონ ეს პროცესი და თავადაც დარწმუნდნენ იმაში, რომ მოზარდმა საკმარისი ემოციური კავშირი მიიღოდა თავის მხრივ არა მხოლოდ ემოცია გასცა, არამედ ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ გრძნობს თავს, რამე ხომ არ აწუხებს, რამდენად მოსწონს აქტივობები და ა.შ. ეს უზრუნველყოფს, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩეს შესაბამისი ზრუნვის გარეშე, მუდმივად მიმდინარეობდეს ემოციური და კომუნიკაციური უნარების განვითარება. აღმზრდელები ხელში იყვანენ (საჭიროების და ასაკის გათვალისწინებით) და ამშვიდებენ ბავშვებს, რომლებიც რაიმე სახით ამჟღავნებენ შფოთვას ან წუხილს. ასეთ აღსაზრდელებთან ღიმილით, მშვიდი საუბრით, შეხებით, სიმღერით და კვებისას (საჭიროების და ასაკის გათვალისწინებით) დახმარებით ურთიერთობენ. ბავშვებს აგრძნობინებენ, რომ მათი პარტნიორები და დამცველები არიან. ბავშვის გრძნობებსა და ემოციებს გულდამისთ ეკიდებიან და შესაფერის უკუკავშირს აძლევენ.

---

1 ნდობით დამოკიდებულება იმგვარი ურთიერთობაა, როდესაც აღმზრდელი და აღსაზრდელი არიან ერთმანეთის მიმართ გულწრფელი. პატივს სცემენ ერთმანეთის შეხედულებებს. ენდობიან ერთმანეთს და სჯერათ, რომ ერთმანეთს არ მოატყუებენ, დაამცირებენ, დასცინებენ და ა.შ

შენიშვნა: ზოგადად ბავშვთან კონტაქტი კოცნის, ჩახუტების, ხელში ტარების სახით მისაღებია, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელმა ზედმიწევნით გაითვალისწინოს ბავშვის სურვილი. ბავშვთან, რომელიც გამოხატავს უსიამოვნებას ახლო კონტაქტის შემთხვევაში (კოცნის, ჩახუტების, ხელში ტარების), ამგვარი ქცევის განხორციელება მიუღებელია.

8.2. აღსაზრდელის უმტკივნეულო დაშორება მშობლებთან

აღსაზრდელის მშობელთან უმტკივნეულო დაშორებისათვის ჩვენი მიზანია:

- ბავშვის მშობელთან დაცილებას ეტაპობრივი და პოზიტიური ხასიათი ჰქონდეს;
- მშობელთან დაშორებისას ბავშვი არ მოატყუონ და არ დააშინონ.

მიზნის მიღწევის გზები

- იმისათვის, რომ ბავშვმა მშობელთან დაცილება ნაკლებად მტკივნეულად განიცადოს, მნიშვნელოვანია, ბაგა-ბაღის პერსონალმა მშობელს საშუალება მისცეს, გარკვეული დრო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში გაატაროს და მიმდინარე აქტივობებს დაესწროს. წაახალისოს ბავშვი, რათა სახლიდან ისეთი ნივთები მოიტანოს, რომლებიც მას მონატრების დაძლევაში დაეხმარება და თავს მარტო (ოჯახიდან მოწყვეტილი) არ იგრძნობს. ეს შეიძლება იყოს სათამაშო ან ფოტო. სასურველია, ბაგა-ბაღის აღმზრდელმა ისეთი აქტივობებით და სცენური თამაშებით გაართოს, ან ისეთი მოთხრობები წაუკითხოს, რომლებშიც ოჯახის წევრთან დაცილების და შემდეგ ხელახალი შეხვედრის სცენაა გადმოცემული. დაწესებულება ხშირად ცვლის ინფორმაციას მშობელსა და ბაგა-ბაღის თანამშრომლებს შორის იმის თაობაზე, რა აქტივობებში იყო ჩართული მოზარდი და როგორი იყო მისი დღის განრიგი. ბაგა-ბაღის მთელი პერსონალი ინფორმირებული და კოორდინირებულია იმის თაობაზე, როგორ დაეხმარონ კონკრეტულ ბავშვს ოჯახთან დაშორების ემოციური ტვირთის დაძლევაში. შესაბამისად კოორდინირებულია მათი ქმედებებიც (სიტყვიერი თუ ჟესტური გამხნევების, აქტივობების ჩათვლით). მშობელთან პირველი ხანგრძლივი (რამდენიმე საათით) განშორება, შესაძლებელია, ბავშვისათვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდეს. ამ უკანსასკნელმა, შესაძლებელია, ხელი ქცევითი დარღვევების ჩამოყალიბებასაც კი შეუწყოს.
- მნიშვნელოვანია, რომ აღსაზრდელებთან დამყარდეს ღირსებაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა. ბავშვების მოტყუება ფრაზით: „დედიკო მალე მოვა", მიუღებელია. უმჯობესია, აღსაზრდელს მშობლის მოსვლასთან დაკავშირებით რეალური ინფორმაცია ჰქონდეს (იცოდეს რამდენ საათში, რომელი აქტივობის შემდეგ) და ამ დროის საინტერესოდ გატარებაში დავეხმაროთ. მშობლის ე.წ. „გაპარება" სააღმზრდელო დაწესებულებიდან მიუღებელია. ამით ბავშვის გრძნობებს შეურაცხვყოფთ და მათ მიმართ ქცევის ადეკვატური ფორმების შემუშავებას ვუშლით ხელს. მნიშვნელოვანია, ბავშვის ქცევის გასაკონტროლებლად არ იყოს გამოყენებული მუქარის შემცველი ფრაზები. მაგალითად: „ნუ ტირი, თორემ ექიმი მოვა და ნემსს გაგიკეთებს",

„ნუ ტირი, თორემ დაგცინებენ“, „ნუ ტირი, თორემ არავინ გეთამაშება“, რადგან ეს ფრაზები ემოციური ძალადობის ნიმუშია. რეკომენდებულია, მშობლისა და შვილის დაცილების სტრესის პრევენციისათვის ბაგა-ბაღში მშობლისა და ბავშვის წინასწარი სტუმრობა, რათა გარემოსა და პერსონალის გაცნობა სასწავლო წლის დაწყებამდე, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ დროში მოხდეს.

8.3. ბაგა-ბაღის მეთოდოლოგია

აღსაზრდელთა ჰოლისტური განვითარებისათვის ჩვენი მიზანია:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ხელმძღვანელობდეს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიით;
- ბავშვები ყოველდღიურად გადიოდნენ ეზოში;
- საგანმანათლებლო პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვების დადებითი დამოკიდებულების განვითარებაზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ;
- ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროცესი მუდმივ განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღს მეთოდოლოგია გაწერილი უნდა ჰქონდეს. მნიშვნელოვანია, რომ არსებული მეთოდოლოგია შემუშავებული იყოს კვალიფიციური სპეციალისტების მიერ და მასზე რეკომენდაცია ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ჰქონდეს გაცემული. სააღმზრდელო გეგმა სტრუქტურირებული უნდა იყოს თემებად და ერთი კონკრეტული თემის დაფარვა მრავალფეროვანი აქტივობებით უნდა ხდებოდეს. აღმზრდელი მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს, რომ საგანმანათლებლო პროცესი ბავშვებისათვის სახალისო და პრაქტიკული იყოს. სასურველია, რომ მუსიკის გაკვეთილი არსებულ საგანმანათლებლო თემებთან იყოს ინტეგრირებული. წლიდან წლამდე პროგრამის იმგვარად აწყობა, რომ ის საახალწლო და საზაფხულო ზეიმებისათვის მომზადებად იქცეს, არ არის სასურველი. მნიშვნელოვანია, რომ ზეიმები ორიენტირებული იყოს ბავშვის უნარების განვითარებასა და მათ ჰარმონიულ, ნაკლებად სტრესულ ვითარებაში გამოვლენაზე. ზეიმი არ უნდა იქცეს ასპარეზად, სადაც მასწავლებელი ხშირად ბავშვების გაუცნობიერებელი დასტრესვისა და გადაღლის ხარჯზე თავის ღვაწლს წარმოაჩენს. მნიშვნელოვანია, ყველა ბავშვს მისი შესაძლებლობებისა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენის საშუალება მიეცეს. ზეიმისათვის მზადება სახალისო, ბავშვებისათვის საინტერესო გარემოში უნდა მიმდინარეობდეს და იგი დღის აქტივობების მხოლოდ ერთი, შედარებით მცირე ნაწილი უნდა იყოს. აუცილებელია, ბავშვებს დღის განმავლობაში ჰქონდეთ თავისუფალი თამაშის დრო.
- ბავშვები ყოველდღე, მინიმუმ ერთი საათი თამაშობენ შენობის გარეთ, თუ ამინდი ამის

საშუალებას იძლევა (ბავშვები გარეთ არ გადიან მხოლოდ ძლიერი წვიმის, ძლიერი ქარის და ძლიერი ყინვის დროს). ეზოში თამაშისას ბავშვები დაცული უნდა იყვნენ მზის ულტრაიისფერი სხივებისაგან. ცხელ ამინდში ბავშვები შუადღისას მზის ქვეშ არ უნდა თამაშობდნენ და სასურველია, ეზოში ყოფნისას მზისგან დამცავი ქუდები ეხუროთ. გრილ ამინდში ბავშვებს შესაბამისად უნდა ეცვათ.

- ბაგა-ბაღის თანამშრომლები ზრუნავენ, რომ აღსაზრდელებს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიმართ დადებითი დამოკიდებულება განუვითარონ. აღმზრდელები ცდილობენ, საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ბავშვის საჭიროებები გაითვალისწინონ და გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებების მაქსიმალურად მოარგონ. აღმზრდელები ბავშვებს ამ საჭიროებებს პოზიტიურად აცნობენ და განსხვავებულ კულტურალურ და პიროვნულ თავისებურებებს უხსნიან. მაგალითად: აღმზრდელი სხვადასხვა კულტურული ჯგუფების დღესასწაულებზე საუბრობს, საგანმანათლებლო პროგრამა განმსჭვალულია მასალით, რომელიც განსხვავებულობას ასახავს და ბავშვს მათთან დაკავშირებით დადებით ემოციას აღუძრავს. მაგალითად: ზღაპრები სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანებზე, დასურათებული მასალა, სხვადასხვა ეთნიკური/რასობრივი წარმომავლობისთვის დამახასიათებელი გარეგნობის მქონე თოჯინები, თოჯინები ეტლით, სათვალით და ა.შ.
- მნიშვნელოვანია, ბაგა-ბაღის პერსონალმა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამების საკითხებზე დამატებითი ტრენინგები გაიაროს. სასურველია, რომ ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავდეს იმ ლიტერატურისა და მასალის განახლებაზე, რომლებიც სკოლამდელი დაწესებულების მეთოდოლოგიურ საკითხებს ეხება. საჭიროა, აღმზრდელები მუდმივად იკრიბებოდნენ, ერთმანეთს სიახლეებს უზიარებდნენ, კონფიდენციალურობის დაცვის გათვალისწინებით, ერთად განიხილავდნენ რთულ საკითხებს და ზრუნავდნენ აღნიშნული საკითხების მოგვარებაზე.

8.4. ძალადობის ამოცნობა და რეაგირება

ბაგა-ბაღში აღსაზრდელთა ძალადობისაგან დაცვისათვის ჩვენი მიზანია:

- აღმზრდელებს შეეძლოთ ძალადობის ნიშნების ამოცნობა;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დასახმარებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება შეეძლოთ.

მიზნის მიღწევის გზები

- აღმზრდელები ვალდებულები არიან, რომ თითოეულ ბავშვს დაუთმონ ყურადღება, ყველა ბავშვთან ყოველდღიურად შევიდნენ კონტაქტში და შეძლონ ძალადობის ნიშნების ამოცნობა. ბავშვზე ძალადობის ნიშანი შეიძლება იყოს: ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა (სილურჯეები, ახალი ჭრილობები, ახალი ნაკაწრები, ახალი იარები, გაძნელებული სიარული, შეშუპებული სხეულის ნაწილები, მოტეხილო-

ბები); ბ)ბავშვის საეჭვო ქცევა (ბავშვი აგღზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, მოუვლელია, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი, აქვს სექსის შესახებ ასაკთან შეუფერებელი ცოდნა, ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს).

- ძალადობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, აღმზრდელი უნდა ეცადოს, რომ ბავშვს ტრავმა არ მიაყენოს და სიტუაცია არ გაუმწვავოს, არ დაიწყოს მისი დაკითხვა ბავშვების თანდასწრებით. მნიშვნელოვანია, რომ ბაგა-ბაღის თანამშრომლებმა ამ შემთხვევაში კომპეტენტურ სპეციალისტებთან ითანამშრომლონ, რომელთაც ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ. აღნიშნული სპეციალისტები ბაგა-ბაღის თანამშრომლებს აწვდიან ინფორმაციას, როგორ უნდა მოხდეს ძალადობის ნიშნების ამოცნობა, საფუძვლიანი ეჭვის ჩამოყალიბება, გარემოებები, რომლებიც შესაძლოა ძალადობაზე მიგვანიშნებდნენ და ა.შ. ბაღის თანამშრომლები უნდა იცნობდნენ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით – N152/ნ-N496 -N45/ნ. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები სპეციალიზებულ დახმარებას უნდა ღებულობდნენ როგორც აღმზრდელებისგან, ისე (საჭიროების შემთხვევაში) საზოგადოებაში არსებული სხვა რესურსებიდან. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები აღმზრდელებისგან, სხვა ბავშვებთან შედარებით, მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვენ.

მიზნის აღსრულების მაჩვენებლები

- ბაგა-ბაღის პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებების კონვენციას, პატივისცემით ეკიდება ბავშვის აზრსა და არჩევანს;
- აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე იცნობენ ბავშვის ქცევის მართვის პოზიტიურ მიდგომებს;
- აღმზრდელები და თანაშემწეები დღეში რამდენჯერმე ბავშვებს პოზიტიურ ქცევებზე დადებით უკუკავშირს აძლევენ;
- აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე ბავშვებთან ურთიერთობისას მინიმალურად იყენებენ ამკრძალავ სიტყვებს;
- აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე ინდივიდუალურად უთმობენ ყურადღებას თითოეულ ბავშვს;
- ბაღის გარემო სტრუქტურირებულია და აქტივობები ბავშვის ინტერესებზეა მორგებული;
- მშობლებთან ბავშვის დაშორება უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. ბაგა-ბაღში მშობლის ბაღის გარემოში ჩართულობის უზრუნველყოფისათვის სპეციალური განრიგი არსებობს;
- ბაგა-ბაღის გარემოში ბავშვის მოტყუება არ ხდება;
- მშობელსა და აღმზრდელს შორის მუდმივად ხდება ინფორმაციის გაცვლა ბავშვის შესახებ;

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს;
- ბავშვებს თავისუფალი თამაშის დრო ყოველდღიურად ეძლევათ;
- ბავშვები ამინდის გათვალისწინებით ყოველდღიურად გადიან ეზოში;
- ღონისძიებებისთვის მზადება ბავშვებისთვის სახალისო პროცესია;
- პროგრამაში გათვალისწინებულია ბავშვების სხვადასხვა შესაძლებლობები და საჭიროებები;
- აღმზრდელები იცნობენ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის/რეფერირების პროცედურებს;
- ძალადობის ყველა შემთხვევის შესახებ უნდა ეცნობოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, პოლიციას ან ბავშვის უფლებების დამცავ სხვა ორგანოებს;
- ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან.

თავი მეცხრე

9. ფიზიკური გარემო, უსაფრთხოება და ევაკუაცია

მოცემული თავი ბაგა-ბაღში აღსაზრდელის სათანადო განვითარებისათვის აუცილებელი ფიზიკური გარემოს ძირითად მახასიათებლებს, უსაფრთხოების პრინციპებსა და ევაკუაციასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს.

ბავშვის ადრეულ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ გარემოს. შენობის ფართი, ოთახების განლაგება, კარგად ორგანიზებული სათამაშო, საკვები და მოსასვენებელი ადგილები, ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული ეზო ბავშვის მოტორული, კოგნიტური, სოციალური უნარებისა და ემოციური განვითარებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

9.1. ფიზიკური გარემოს მოწყობა

ბაგა-ბაღში სტრუქტურირებადი და ადვილად ორიენტირებადი გარემოს არსებობისათვის ჩვენი მიზანია:

- ოთახი დაყოფილი იყოს სივრცეებად მათი დანიშნულების მიხედვით;
- შენობაში არსებობდეს სიმბოლური მინიშნებები;
- ეზოს დაყოფისას გათვალისწინებული იყოს ბავშვების მიერ მისი სრული ათვისების შესაძლებლობა.

მიზნის მიღწევის გზები

- მნიშვნელოვანია, რომ სააღმზრდელო დაწესებულების სივრცე დაიყოს რამდენიმე ნაწილად:

  √ შემოსასვლელი ზონა, სადაც ბავშვი იცვლის ფეხზე და იხდის ქურთუკს. სასურველია, შემოსასვლელ ზონაში იდგას ბავშვისათვის შესაბამისი ზომის დასაჯდომი სკამები, საკიდებით და ფეხსაცმელების შესალაგებელი კარადით.

  √ ჯგუფის ოთახი, სადაც ბავშვები თამაშობენ, სწავლობენ, ზოგიერთ შემთხვევაში მიირთმევენ საჭმელსა და ატარებენ დროის უმეტეს ნაწილს. ოთახის სივრცე საქმიანობების/თამაშის სახეობების მიხედვით უნდა იყოს დაყოფილი. მაგალითად: მაგიდის თამაშები, ნოხზე სათამაშო ადგილი, წასაკითხი კუთხე, სახატავი კუთხე და ა.შ.

  √ ბაგა-ბაღში ყველა ჯგუფისთვის არასაკმარისი წიგნებისა და სათამაშოების გამო შესაძლებელია, არსებობდეს ერთი ოთახი – ბიბლიოთეკა, სადაც სხვადასხვა მასალები იქნება შენახული და ჯგუფის პედაგოგს დაგეგმილი აქტივობის შესაბამისად შეეძლება გამოიტანოს წიგნები და შესაბამისი სა-

თამაშოები. ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვებს პედაგოგებმა ბიბლიოთეკის გამოყენება და ნივთების მოვლა-პატრონობა ასწავლონ.

- √ სანიტარულ ზონაში შედის საპირფარეშოები, ხელსაბანები და ჭურჭლის სარეცხი ოთახი. სასურველია, რომ სანიტარულ ზონაში გასვლა ჯგუფის ოთახებიდან ხდებოდეს და ყველა ჯგუფს სათითაო საპირფარეშო ჰქონდეს. საპირფარეშოები ერთმანეთისაგან გამოყოფილი უნდა იყოს. თუმცა, არასაკმარისი ფართის გამო, შესაძლებელია, რამდენიმე ჯგუფი იყოფდეს ერთ საპირფარეშოს.
- √ სასურველია, რომ სამზარეულო და პროდუქტების შესანახი ოთახი ძირითადი შენობის გარეთ იყოს. თუმცა, არასაკმარისი ფართის გამო, შესაძლებელია, მათი ბაგა-ბაღის ძირითად შენობაში განთავსება. ამ შემთხვევაში სასურველია, რომ ისინი ჯგუფის ოთახებიდან მოშორებით იყოს.
- √ ადმინისტრაციული პერსონალის ოთახები, რომელშიც შედის დირექტორის, ექიმის, სასწავლო პროგრამების კოორდინატორის ოთახი. ფართის სიმცირის გამო, შეიძლება, ერთად იყოს გაერთიანებული რამდენიმე ადმინისტრაციული თანამშრომლის ოთახი.

- სასურველია, ბაგა-ბაღში რაც შეიძლება მეტი სიმბოლური მინიშნება არსებობდეს. ეს ბავშვის აღქმასა და ორიენტაციას აადვილებს. ამისათვის შეგვიძლია მარტივი, აღსაზრდელის ასაკის შესაფერისი ნახატი-სიმბოლოები გამოვიყენოთ. სასურველია, საპირფარეშოებს, სამზარეულოსა და ჯგუფის ოთახებს მინიშნებები ჰქონდეთ. ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვების მასალების ყუთები შესაფერისი ნახატი-სიმბოლოებით აღინიშნოს, რათა ბავშვი ადვილად მიხვდეს, რა არის მასში და საჭიროების შემთხვევაში სწრაფად მიაგნოს. გარდა ამისა, კარადებზე, სადაც სხვადასხვა სამუშაო ან სასწავლო მასალაა შენახული, სასურველია, გაკეთდეს მინიშნება-სიმბოლოები. ბავშვების ტანსაცმლის კარადებზე მათი ფოტოები იყოს, ბავშვის პირასახოცებზე იყოს მინიშნებები, რათა ბავშვებმა ამოიცნონ საკუთარი პირსახოცები, საპირფარეშოებზე იყოს მინიშნებები. მნიშვნელოვანია, რომ საპირფარეშო, სადაც ერთზე მეტი უნიტაზი დგას, ტიხრით იყოს დაყოფილი. სასურველია, გაუკეთდეს კარები და უაცილებელია, მიეთითოს სქესის აღმნიშვნელი სიმბოლო. ასევე მნიშვნელოვანია, აქტივობების თანმიმდევრული განხორციელების ვიზუალური მასალა არსებობდეს. მაგალითად, ხელსაბანთან საპირფარეშოში იყოს თანმიმდევრულად გამოკრული ხელის დაბანის პროცესი. დღის აქტივობების ცხრილი ვიზუალური მინიშნებებით უნდა იყოს თანმიმდევრულად გაკეთებული და ჯგუფის ოთახებში გამოკრული, რათა ბავშვებს დღის განრიგის აღქმა გაუადვილდეთ და აქტივობებს თანამიმდევრულად მიჰყვნენ. ასეთი სახის მინიშნებები ბავშვის გარემოში ორიენტაციას აადვილებს და ბავშვს მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს.
- ბაგა-ბაღის ეზო კარგად სტრუქტურირებული და სრულად ათვისებული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ ეზოს მთლიან ტერიტორიას იყენებდნენ ბავშვები. ეზოს დაყოფის პროცესში შესაძლებელია, გამოიყოს შემდეგი ზონები: ეზოში შემოსასველელი

ტერიტორია, საქანელებსა და სასრიალოებზე სათამაშო ადგილები, ადგილი სპორტული აქტივობების/შეჯიბრებებისათვის, ქვიშაში სათამაშო ადგილი, მცენარეების ბაღი.

9.2. ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა

ბავშვზე ორიენტირებული ფიზიკური გარემოს ფორმირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად მისაწვდომია ესა თუ ის ნივთი. ამის უზრუნველსაყოფად ჩვენი მიზანია:

- ბავშვს მისთვის განკუთვნილ ყველა ნივთზე მიუწვდებოდეს ხელი;
- საპირფარეშოებში უნიტაზები და ხელსაბანები ბავშვის სიმაღლეს შეესაბამებოდეს;
- ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დროს დაცული იყოს აღსაზრდელების უსაფრთხოება.

მიზნის მიღწევის გზები

- ბავშვს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს ბავშვისათვის განკუთვნილი ყველა ნივთის მოპოვება. სასწავლო და სათამაშო მასალები (ქაღალდები, ფურცლები, ფანქრები) მარტივ კონტეინერებში უნდა იყოს მოთავსებული, რომლებიც აღსაზრდელებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას იქნება განთავსებული და მათ ამის შესახებ ეცოდინებათ. ავეჯი, რომელსაც ბავშვი გამოიყენებს, მსუბუქი უნდა იყოს, რომ აღსაზრდელს შეეძლოს მისი გადაადგილება. სურათები ისეთ დონეზე უნდა ეკიდოს, რომ ბავშვს მათი დათვალიერების საშუალება მიეცეს.
- საპირფარეშოებში საპონი, ქაღალდი, პირსახოცი ისეთ სიმაღლეზე უნდა იდოს, რომ ბავშვს მისი აღება დამოუკიდებლად შეეძლოს. უნიტაზები ისეთი ზომის უნდა იყოს, რომ ბავშვს მისი დამოუკიდებლად მოხმარება შეეძლოს, უნიტაზზე ჯდომისას ბავშვის ფეხები იატაკს უნდა სწვდებოდეს. ხელსაბანი ისეთ სიმაღლე უნდა იყოს, რომ აღსაზრდელს დამოუკიდებლად შეეძლოს ხელების დაბანა.
- ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს აღსაზრდელების უსაფრთხოება. ის ავეჯი, რომელიც ბავშვისათვის არ არის განკუთვნილი, კედელზე მიდგმული და დამაგრებული უნდა იყოს ისე, რომ თავიდან ავირიდოთ მისი დაცემა. საპირფარეშოებში ნივთები, რომელიც ბავშვებისთვის არ არის განკუთვნილი, ჩაკეტილ კარადებში უნდა ინახებოდეს: დაუშვებელია, საპირფარეშოების საწმენდი საშუალებების ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას დადება.

9.3. ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული ფიზიკური გარემო

ბაგა-ბაღში გარემოს მოწყობისას აღსაზრდელების ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის ჩვენი მიზანია:

- ბაგა-ბაღის შენობა სათანადოდ იყოს განიავებული და განათებული;

- ბაგა-ბაღში იყოს სათანადო ტემპერატურა;
- ავეჯი და ოთახის მოწყობილობა შეესაბამებოდეს აღსაზრდელების განვითარების თავისებურებებს;
- ბაგა-ბაღის ინვენტარში გათვალისწინებული იყოს ბავშვების მოსასვენებელი ადგილები;
- ბაგა-ბაღის ფიზიკური გარემო ხელს უწყობდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ჩართულობას.

მიზნის მიღწევის გზები

- სასურველია, რომ ჯგუფის სათამაშო და საძინებელ ოთახებში უზრუნველყოფილი იყოს ორპირი ან კუთხური განიავება. ბავშვების ეზოში გაყვანისას ოთახები ორპირით უნდა ნიავდებოდეს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ორპირი განიავება დღის ბოლოს, ოთახების დალაგებისას. კარგია, რომ ოთახები მზიანი იყოს და ბუნებრივი განათება ჰქონდეს. თუმცა ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ ხელოვნური განათების დამატებისას მაღალვატიანი ნათურები უნდა გამოიყენოს და ოთახების მაქსიმალურ განათებას შეუწყოს ხელი. ასევე მნიშვნელოვანია ოთახის ფერი, მკვეთრი ფერებით ოთახის შეღებვა არ არის რეკომენდებული.
- მნიშვნელოვანია ბაგა-ბაღში ტემპერატურის კონტროლი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ბავშვების ჯგუფების ოთახებში, დერეფნებში, სასადილოში და სხვა ოთახებში უნდა იყოს თანაბარი ტემპერატურა, მინიმუმ 18 და მაქსიმუმ 24 გრადუსი. იმ ოთახში, სადაც ბავშვებს უწევთ ვარჯიში, ცეკვა და სხვა ფიზიკური აქტივობები, შესაძლებელია, მინიმალური ტემპერატურა 15 გრადუსი იყოს, ბავშვების საძინებელ ოთახებში კი – 16-18 გრადუსი.
- სააღმზრდელო სივრცე კონკრეტული კლასის საჭიროებებისა და ბავშვის თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა მოეწყოს. ბავშვების მაგიდებისა და სკამების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი სიმაღლე: ბავშვის სიმაღლე – 112-127 სმ, მაგიდის სიმაღლე – 52 სმ, სკამის სიმაღლე – 30 სმ; უფრო დიდი, 127-142 სმ სიმაღლის ბავშვებისთვის: მაგიდის სიმაღლე – 58 სმ, სკამის სიმაღლე – 34 სმ. ამ ზომებზე მცირე მაგიდებისა და სკამების დადგმა არ არის მიზანშეწონილი, რადგან ბავშვები ძალიან სწრაფად იზრდებიან და პატარა სკამზე ჯდომა ხერხემლისა და კუნთებისათვის უფრო მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე ოდნავ დიდზე. დიდი სკამის ინდივიდუალურად ბავშვზე მორგება შესაძლებელია, მაგალითად: ტერფების ქვეშ დასადების (პატარა სკამის) დადება და დასაჯდომ ადგილას ბალიშის მოთავსება. ახალი სკამებისა და მაგიდების შეძენისას სასურველია, ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ სიმაღლის მარეგულირებლის არსებობა გაითვალისწინოს, რაც გააადვილებს მათ მორგებას თითოეულ ბავშვზე.
- სივრცე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ბავშვებს სხვადასხვა პოზებში თამაშის საშუალება მიეცეთ და მთელი დღე სკამებზე არ ისხდნენ, რაც მათი განვითარებისათვის ძალიან საზიანოა. ამისათვის ისეთი ავეჯი შეიძლება გამოვიყენოთ, რომელზეც ბავშვები წამოწვებიან, სხვა პოზაში დაჯდებიან, მაგალითად: ლეიბები, ხალიჩები. აღჭურვილობა

და ოთახის სივრცე იმის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, რომ თამაშებისათვის და აქტიური, მოძრავი სასწავლო აქტივობებისათვის ავეჯის გაწევა და სივრცის გათავისუფლება მოხერხდეს.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ბაგა-ბაღის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ბაგა- ბაღის ადმინისტრაციამ კარის ზომები და პანდუსები გაითვალისწინოს, რათა ეტლის მომხმარებელ ბავშვს ან მშობელს ბაგა-ბაღის შენობაში დამოუკიდებლად შესვლა და გადაადგილება შეეძლოს (დანართი # 9.1). ერთზე მეტსართულიან ბაღებში სასურველია, იყოს ლიფტი ან ის ჯგუფები, სადაც ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვები არიან, ბაღის ადმინისტრაციამ განათავსოს პირველ სართულზე. შენობის არც ერთ საჭირო სათავსოსთან არ უნდა იყოს ისეთი საფეხურები, რომლებიც ეტლის გადაადგილებას შეუშლის ხელს. დონეების სხვაობა ძირითადად პანდუსების საშუალებით უნდა რეგულირდებოდეს და არა საფეხურებით.

9.4. ბავშვის განვითარებისათვის საჭირო სათამაშოები და მასალა

აღსაზრდელის სენსორული, კოგნიტური, მოტორული და კრეატიული უნარების განვითარებისათვის ჩვენი მიზანია:

- ბაგა-ბაღში იყოს ისეთი სათამაშო მასალა, რომელიც ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას უწყობს ხელს;
- ბაგა- ბაღის ეზოც ასევე ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის განვითარებას.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღის გარემო ბავშვს ისეთ ნივთებსა და მასალას უნდა სთავაზობდეს, რომლებიც ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშემწყობია. ბავშვის კოგნიტური უნარების განვითარებისათვის სასურველია, ბაღში არსებობდეს: ფაზელები, კუბიკები, ასაწყობი პირამიდები, სხვადასხვა ფორმის, ფერის ფიგურები და სხვა. ბავშვების მსხვილი მოტორიკის განვითარებისათვის ბაგა-ბაღში უნდა იყოს: სხვადასხვა ზომის ბურთები, სახტუნაოები, სასრიალოები, ლაბირინთები, ველოსიპედი და ა.შ. წვრილი მოტორიკისა და წერის წინარე უნარების განვითარებისათვის სასურველია, ბაგა-ბაღს ჰქონდეს: ხელის საღებავები, პლასტელინი, თიხა, ცარცები, ფანქრები, ფუნჯები და ა.შ. წვრილი მოტირიკის განმავითარებელი სათამაშოები, როგორიც არის მოზაიკა, ბისერები, შესაძლებელია, გამოვიყენოთ 4-5 წლიანებში, თუმცა აღმზრდელმა და აღმზრდელის თანაშემწემ ბავშვებს დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ, რომ შემთხვევით აღსაზრდელმა პირში არ ჩაიდოს სათამაშო და არ გადასცდეს. სენსორული უნარების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტაქტილური (შეხებითი) სათამაშოები, როგორებიც არის მაგალითად, გლუვი, სრიალა, ხაოიანი ზედაპირის მქონე სათამაშოები. გრძელბეწვიანი სათამაშოები ამოღებული უნდა იყოს ხმარებიდან, რადგან ბაქტერიების წყაროა და ამასთან, შესაძლებელია, ბავშვს ბეწვი გადაეყ-

ლაპოს. ვიზუალური შეგრძნებების სტიმულირებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ფერადი, ბრჭყვიალა, მანათობელი სათამაშოები უნდა გამოვიყენოთ, ხოლო სმენითი შეგრძნებების სტიმულირებისათვის – მუსიკალური სათამაშოები. პროპრიოცეპტული და ვესტიბულარული შეგრძნებების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საქანელები, ჰამაკი, სასრიალო, ველოსიპედი, ბურთების აუზი, ბატუტი, აიწონა-დაიწონა და ა.შ. ბავშვების კრეატიული უნარების სტიმულირებისათვის სასურველია, გამოვიყენოთ ბუნებრივი მასალა: ხე, ქვა, ბარდა, გირჩები, ფოთლები, ნაჭრები, ფერადი ფურცლები, ჟატის ქაღალდები და სხვა. ბავშვების სოციალური უნარების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თოჯინები, საბავშვო სამზარეულოს ნივთები, მანქანები და ა.შ.

- ბავშვის განვითარებისათვის ბაგა-ბაღის ეზოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეზოში არსებულ სხვადასხვა მასალებთან – ქვიშა, მიწა, ხე, ქვა, ფოთოლი – შეხებით ბავშვი მრავალფეროვანი შეგრძნებების გამოცდილებას იძენს. აღსაზრდელის სხვადასხვა შეგრძნებებისა და მსხვილი მოტორიკის განვითარებისათვის ეზოში ბავშვის სპეციფიკური სათამაშოებით მოწყობილი სათამაშო მოედნები უნდა იყოს. მაგალითად, ქვიშის ტერიტორია, სადაც ვედროები და ნიჩბები იქნება. ასევე, სასრიალო, აიწონა-დაიწონა, ბატუტი, საქანელები, საძრომიალო ლაბირინთები, ველოსიპედი, ურიკა, სატრიალო რგოლები, რომლებიც ბავშვის სირბილის, ხტუნვის, ბალანსის, სივრცეში ორიენტაციის და სხვა უნარების განვითარებას უწყობენ ხელს. სასურველია, ეზოში სპორტული თამაშებისთვის იყოს სივრცე, რაც ასევე ბავშვის მსხვილი მოტორიკის განვითარებას უწყობს ხელს.

9.5.უსაფრთხო ეზო

ბაგა-ბაღში ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ჩვენი მიზანია:

- ბაგა-ბაღის ეზოს დაგეგმვისას დაცული იყოს უსაფრთხოების მოთხოვნები;
- ეზოს საფარი იყოს უსაფრთხო და ემსახურებოდეს ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებას;
- საქანელების შერჩევისას და მისი მოვლისას ყურადღება ექცეოდეს უსაფრთოხების წესებს;
- განსაზღვრული იყოს ეზოში სისუფთავისა და სათამაშოების/საქანელების უსაფრთოხების შემოწმების გრაფიკი;
- განსაზღვრული იყოს იმ მცენარეთა სახეობები, რომელთა დარგვაც შესაძლებელია ბაგა-ბაღში.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღის ეზოში არ უნდა შედიოდნენ პირდაპირ საავტომობილო მაგისტრალიდან. მთავარი შესასვლელი სატრანსპორტო გზიდან ხელოვნური ბარიერებით უნდა იყოს მოშორებული ან გამოყოფილი. ეზოში გათვალისწინებული უნდა იყოს სახანძრო მან-

ქანის შემოსასვლელი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გარე ტერიტორიაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათამაშო ან სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილ მოედანს. აღსანიშანვია, რომ ასეთი მოედნების დაგეგმვისას ბავშვის განვითარების თავისებურებები (მაგ. ასაკი) და უსაფრთხოების პირობები უნდა იყოს გათვალისწინებული. უსაფრთხო ეზოს ფორმირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოედნის ზედაპირს, სათამაშო დანადგარების დიზიანს, დანადგარებს შორის დაშორებებს და დანადგარების რეგულარულ შემოწმებასა და მოვლა-პატრონობას.

- მოედნის ზედაპირის მასალა ტრავმების თავიდან აცილებისა და ტრავმატულობის შემცირების უმთავრესი ფაქტორია. სათამაშო მოედანზე არსებული დანადგარების ქვეშ ზედაპირი საკმარისად რბილი და მსხვილი უნდა იყოს, რომ ბავშვის ვარდნა შეარბილოს. გასათვალისწინებელია, რომ ბეტონი, ასფალტი და ხრეში სახიფათო და მიუღებელი ზედაპირებია. ბალახი, რბილი ნიადაგი და დატკეპნილი მიწაც სახიფათო და მიუღებელია, რადგან ბავშვის ვარდნას ვერ არბილებს. ზედაპირი დაფარული შეიძლება იყოს: ხის წვრილი ნაფოტებით, ქვიშით, ბარდისებრი გრაველით, მოთიბული ბალახით ან დაქუცმაცებული რეზინის მასალით. რეზინის საფენებიანი და ხის ნაფოტებიანი მოედნები ეტლის მომხმარებლებისათვის ყველაზე უფრო მოსახერხებელია. მნიშვნელოვანია, რომ საფარი მასალა ფხვიერი იყოს, რადგან დატკეპნისას მისი ვარდნის ეფექტის შემცირების თვისებები იკლებს. სათამაშო მოედანზე წყალი არ უნდა გუბდებოდეს და სამშენებლო ან სხვა უხეში ნარჩენები (დიდი ქვები, ხის გადანაჭრები და ხის ფესვები) არ უნდა გვხვდებოდეს, რადგან შეიძლება, ბავშვმა ფეხი წამოკრას და წაიქცეს.
- ამაღლებულ სათამაშო დანადგარებზე მოაჯირები და დამცავები უნდა იყოს. საქანელები და მოძრავი ნაწილების მქონე სხვა დანადგარები დანარჩენი სათამაშო მოედნისგან მოშორებით უნდა იყოს დამონტაჟებული. ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე რეკომენდებულია საბურავებისგან დამზადებული დაბალი საქანელების გაკეთება. სათამაშო დანადგარებს შორის დატოვებული უნდა იყოს განსაზღვრული მანძილი. მაგალითად: სათამაშო დანადგარები, რომელთა სიმაღლე აღემატება 76 სანტიმეტრს, სულ მცირე, 2,7 მეტრით უნდა იყოს ერთმანეთისგან დაშორებული, საქანელების დასაჯდომები კი 60 სმ-ით უნდა დაშორდეს ერთმანეთს. სათამაშო დანადგარების ნაწილებს შორის ისეთი სივრცე არ უნდა იყოს, რომ ბავშვს სხეულის რომელიმე ნაწილი გაეჭედოს. საქანაო თოკების დამონტაჟება სახიფადოდ ითვლება, რადგან შეიძლება, გაცვდეს, ქანაობისას გაიკეთოს მარყუჟი, ან ჩამოწყდეს და ბავშვის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოს.
- სათამაშო მოედნის მოვლა და შემოწმება მნიშვნელოვანია ბავშვის უსაფრთხოებისთვის. ყოველდღე ეზოს დალაგების დროს დამლაგებელი ყურადღებას უნდა აქცევდეს, რომ ეზოს ტერიტორიაზე სახიფათო ნივთები არ ეყაროს, მაგალითად: შუშის ნატეხები, წვეტიანი ხის ნაფოტები და ა.შ. ეზოში არსებული მცენარეების შემოწმება აუცილებელია. ხეებზე ან სხვა მცენარეებზე ბავშვის სიმაღლეზე გამოშვერილი წვეტიანი

ტოტები არ უნდა იყოს. აღნიშნულმა შეიძლება ბავშვი დააზიანოს. განსაკუთრებული ყურადღება ქვიშის სათამაშო ყუთს უნდა მიექცეს, რომელიც ყოველდღიურად უნდა მოწმდებოდეს, ხომ არ არის მასში მინის ნატეხები, ბასრი ჯოხები ან მეტალის ნაჭრები, მწერები და ხოჭოები. დღის ბოლოს ქვიშის ყუთებს რამე უნდა გადაეფაროს, რომ ქვიშა არ დაბინძურდეს. ყოველდღიურად დარაჯი უნდა ამოწმებდეს ღობის, სათამაშოების, საფარის უსაფრთხოებას, ხოლო კვირის ბოლოს სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი საფუძვლიანად უნდა ათვალიერებდეს ყველა სათამაშო დანადგარს, საფარს, ღობეს. ჭანჭიკები არ უნდა იყოს მოშვებული ან გატეხილი, დანადგარების ზედაპირი დაზიანებული, ბზარები და გამოშვერილები კი – დაჟანგებული. საფარმა არ უნდა დაკარგოს ფხვიერება, ღობე კი არ დაზიანდეს და ა.შ. (დანართი # 9.2.)

- ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე მცენარეების დარგვისას დირექციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მცენარეებმა ბავშვებში ალერგია და ან სხვა სახის დაზიანება არ გამოიწვიოს. ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე არ არის რეკომენდებული მსუსხავი, წვეტიანი მცენარეების დარგვა.

9.6. უსაფრთხოება შენობაში

ბაგა-ბაღის შენობაში უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის ჩვენი მიზანია:

- შენობის იატაკი, კედლები, კიბეები და პანდუსები ბავშვებისათვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს;
- ელექტროგაყვანილობის სისტემა მიუწვდომელი უნდა იყოს ბავშვებისათვის;
- ბაგა-ბაღის სპორტული დარბაზის მოწყობისას დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები;
- სამზარეულოს მოწყობისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი ნორმები და უსაფრთხოების წესები.

მიზნის მიღწევის გზები

- ბავშვების თავშეყრის ადგილებში სასურველია, მოცურებისაგან დამცავი ზედაპირი იყოს დაგებული, რომელიც უსაფრთხოებას სველ მდგომარეობაშიც შეინარჩუნებს. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ხაოიანი ზედაპირის მქონე მეტლახი. ბაგა-ბაღში არ არის სასურველი შემდეგი ზედაპირის გამოყენება: პოლირებული ქვის ფილები, ბეტონი და მახვილკიდეებიანი ფილები. ცალკეული საფეხურები, რომლებიც აუცილებლობას წარმოადგენს, თვალსაჩინოდ უნდა იყოს განთავსებული. საფეხურების თვალსაჩინოებისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს: კონტრასტული ფერები, მასალის განსხვავებული სტრუქტურები და საფეხურის განათებები. დერეფნებში იატაკის დონის უმნიშვნელო სხვაობა პანდუსით უნდა რეგულირდებოდეს და არა საფეხურით. იატაკზე ფეხის წამოსაკრავი არც ერთი ელემენტი არ უნდა არსებობდეს. იატაკის დაბინძურებისა და დასველებისაგან თავის არიდების მიზნით, შენობის შესასვლელში, მთელ სიგრძეზე, აუცილებელია ფეხის საწმენდი მოწყობილობების დამონტაჟება.

კიბეები და პანდუსები არ უნდა იყოს სახიფათო გადაადგილებისათვის. საფეხურებს, რომლებიც პრიალა მასალისაგან არის დამზადებული, არ უნდა ქონდეს ბასრი კიდეები და მოცურებისაგან დამცავი სარტყელები უნდა ჰქონდეს გარშემო. კიბეებს ორივე მხრიდან უწყვეტი მოაჯირი უნდა მიჰყვებოდეს. თავშეყრის ადგილებში კედლებს, 2 მეტრის სიმაღლემდე, არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და სახიფათო დეტალები.

- ელექტროგაყვანილობის სადენები ბავშვებისათვის ხელმიუწვდომელი უნდა იყოს. ბავშვი ვერ უნდა წვდებოდეს ჩამრთველებს. გარდა ამისა, ჩამრთველები აუცილებლად უნდა იყოს დაცული.
- სპორტული დარბაზის იატაკი უნდა დამზადდეს ისეთი მასალისგან, რომელიც არ იქნება სახიფათო, მაგალითად: დამუშავებული ხე, კაუჩუკი, რეზინის შემცველი ხელოვნური საფარი. სპორტული დარბაზის კედლები იატაკიდან 2 მეტრის სიმაღლემდე არ უნდა მოპირკეთდეს უხეში ზედაპირით. სპორტული დარბაზის მინები და ხელოვნური განათების ობიექტები უსაფრთხო უნდა იყოს და იოლად არ დაზიანდეს.
- სასურველია, რომ სამზარეულოს ოთახი ნათელი იყოს და ადვილად განიავდეს. კედლები უნდა იყოს ღია ფერის და ისეთი მასალით (მაგალითად, კაფელის ფილებით ან ნესტგამძლე სპეციალური საღებავით) მოპირკეთებული, რომ იოლად გაირეცხოს. იატაკი ისეთი მასალით უნდა დაიფაროს, რომელიც გლუვიც იქნება და იოლადაც მოიწმინდება. ქურას სამზარეულოს შუაში აყენებენ. ქურის თავზე სავენტილაციო გამწოვი მაგრდება. სამზარეულოში უნდა მოდიოდეს როგორც ცივი, ასევე ცხელი წყალი. სამზარეულოში მუშაობის დასრულების შემდგომ უნდა შემოწმდეს გაზი, ელექტროენერგია და წყალი.

9.7. ევაკუაცია

ბაგა-ბაღში აღსაზრდელების უსაფრთხოების დაცვისათვის ჩვენი მიზანია:

- წინასწარ განისაზღვროს ევაკუაციის გეგმა;
- შენობას ჰქონდეს საევაკუაციო გასასვლელები.

მიზნის მიღწევის საშუალებები

- ბაგა-ბაღში უნდა არსებობდეს საევაკუაციო გეგმა, რომელსაც მთელი პერსონალი იცნობს. საევაკუაციო გეგმა, სახანძრო სანსახურისა და კომუნალური მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების ნომრების სქემა უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.
- ყველა იმ ოთახის კარი, სადაც ბევრი ბავშვი იყრის თავს, იმ მიმართულებით უნდა იღებოდეს, საითაც ევაკუაციის შემთხვევაში აღსაზრდელებს გაიყვანენ. საევაკუაციო გზაზე დაუშვებელია მბრუნავი ან იმგვარი კარის განთავსება, რომელიც ორივე მიმართულებით იღება. შენობას სხვადასხვა წერტილში რამდენიმე საევაკუაციო გასასვლელი უნდა ჰქონდეს. ისინი ისეთ ადგილებში უნდა იყოს, რომ აღსაზრდელებმა

იოლად და სწრაფად მიაგნონ (სასურველია ფერადი ნიშნულების – ისრების – გაკვრა). ოთახებს, სადაც ხანძრის რისკი დიდია (მაგ. სამზარეულო), მინიმუმ ორი გასასვლელი უნდა ჰქონდეს. კარი გარე მიმართულებით უნდა იღებოდეს და მათი შიგნიდან გაღება ნებისმიერ დროს იყოს შესაძლებელი.

მიზნის აღსრულების მაჩვენებლები

- ბაგა-ბაღის შენობა შემოსასვლელ, სამყოფ, სანიტარულ, სამზარეულო და ადმინისტრაციულ სივრცეებად არის დაყოფილი;
- ჯგუფის ოთახები საქმიანობების მიხედვით იყოფა;
- ჯგუფის შესასვლელებში ბავშვებისთვის არის კარადები;
- ბაგა-ბაღში არის: ვიზუალური მინიშნებები საპირფარეშოებზე, ასევე სქესის განმასხვავებელი ნიშნები, კონტეინერებზე/კარადებზე, სადაც ბავშვების სათამაშოები ინახება, კარადებზე, სადაც ბავშვის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ინახება, ბავშვის ინდივიდუალ პირსახოცებთან;
- ჯგუფებში არსებობს ვიზუალური ცხრილები;
- ბაგა-ბაღის ეზო ბავშვების განვითარებისათვის სრულად არის ათვისებული;
- ეზოში გამოყოფილია ადგილები ქვიშის ყუთების, საქანელების, სასრიალოების, მცენარეებისა და სპორტული აქტივობებისათვის;
- ბავშვის სასწავლო, სათამაშო და ყოველდღიური მოხმარების ნივთები ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას არის განთავსებული;
- ავეჯი, რომლის ჩამოვარდნის ან დაცემის შემთხვევაში ბავშვის უსაფრთხოება არ არის დაცული, კედელზე მყარად არის მიმაგრებული;
- სადიზინფექციო საშუალებები ინახება საპირფარეშოების ჩაკეტილ კარადებში;
- უნიტაზები და ხელსაბანები ბავშვის სიმაღლეს შეესაბამება;
- შენობა ხშირად უნდა განიავდეს;
- სკამები და მაგიდები ბავშვის სიმაღლეს შეესაბამება;
- ჯგუფებში არის ხალიჩები და ლეიბები;
- შენობაში არის პანდუსები;
- თუ სააღმზრდელო დაწესებულება მთავარ მაგისტრალთან მდებარეობს, სატრანსპორტო გზიდან ხელოვნური ბარიერების ან სხვა გამომყოფი საშუალებით გამოიყოფა;
- სათამაშო მოედნებზე დაცულია უსაფრთხოების წესები;
- ჯგუფებში არის ბავშვის განვითარებისათვის საჭირო სათამაშოები და მასალა;
- ეზოში გვხვდება სათამაშო დანადგარები და ქვიშის ყუთები;
- მოწმდება დანადგარების უსაფრთხოება და არსებობს შემოწმების ხელმოწერილი ფურცლები;
- ქვიშის ყუთები ღამით თავდახურულია;
- არსებობს ეზოს დალაგების განრიგი და დალაგების აღრიცხვის ხელმოწერილი ფურცლები;
- ეზოში ბავშვისთვის სახიფათო ნივთები და მცენარეები არ არის;

- შენობის იატაკი, კედლები და მოაჯირები უსაფრთხოა;
- იატაკზე არ არის არც ერთი დეტალი, რომელსაც შესაძლოა, ბავშვმა ფეხი წამოკრას;
- შენობის შესასვლელში მთელ სიგრძეზე დამონტაჟებულია ფეხის საწმენდი;
- სპორტულ დარბაზში იატაკი და კედლები უსაფრთხო მასალით არის დაფარული;
- შენობას საევაკუაციო გასასვლელი აქვს;
- ბაგა-ბაღში არსებობს ევაკუაციის სქემა და ინსტრუქციები, რომელსაც მთელი პერსონალი იცნობს.

თავი მეათე

10. ოჯახის მონაწილეობა ბავშვის სააღმზრდელო - საგანმანათლებლო პროცესში

მოცემული თავი ბაგა-ბაღებში მშობლებისა თუ მეურვეების სააღმზრდელო პროგრამაში ჩართვის პროცედურებს განსაზღვრავს.

ბავშვის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ჩართულობას ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროცესში. მშობლისა და აღმზრდელის თანამშრომლობა ბავშვის მიმართ ჰოლისტური მიდგომის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. აღსაზრდელი დღის უმეტეს ნაწილს ბაგა-ბაღის გარემოში ატარებს, მისი ემოციური, სოციალური თუ ფიზიკური შესაძლებლობების გამომჟღავნება სწორედ ამ გარემოში ხდება. ბავშვის ოჯახს ხშირად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მის უნარებზე, ასევე იმ სირთულეებზე, რომლებსაც აღსაზრდელი განვითარების პროცესში აწყდება.

10.1. მშობლის მიერ ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის ინფორმირებულობა

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვისა და უსაფრთხოების დაცვისათვის ჩვენი მიზანია:

- მშობელი დაწვრილებით აწვდიდეს ინფორმაციას ბავშვის შესახებ ბაგა-ბაღის პერსონალს;
- მშობელი წინასწარ განსაზღვრავდეს ბავშვის ბაგა-ბაღში მოყვანისა და გაყვანის საათებს;
- ბაგა-ბაღში მოყვანისას მშობელი ბავშვს აბარებს აღმზრდელს;
- ბავშვის შესახებ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს მშობელი თანხმობას წერილობით ადასტურებდეს;
- მშობელი წერილობით ადასტურებდეს იმ პირის ვინაობას, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის ბაგა-ბაღიდან გაყვანაზე.

მიზნის მიღწევის გზები:

- ბავშვის ბაგა-ბაღში ჩარიცხვის შემდეგ მშობელი ვალდებულია, ადმინისტრაციას მიაწოდოს სრული ინფორმაცია ბავშვის შესახებ. დროულად მიიტანოს ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც ბავშვის ბაგა-ბაღში მიღების პროცედურებშია განსაზღვრული. მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა გულისყურით შეავსოს მშობლის კითხვარი და აღნიშნოს ყველა გასათვალისწინებელი ინფორმაცია ბავშვის შესახებ.
- თუ მშობელს, გარკვეული მიზეზების გამო, ბავშვი ბაგა-ბაღში სისტემატურად მოყავს

ადრე ან გვიან, ვალდებულია, რომ დაწეროს განცხადება და მიუთითოს ბავშვის მოყვანის და გაყვანის საათები. ასეთ შემთხვევაში ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას ევალება, რომ გაითვალისწინოს კონკრეტული აღსაზრდელის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მოყვანისა და გაყვანის დრო. თუ აღსაზრდელის დაგვიანებით მოყვანასა და ადრე გაყვანას სისტემატური ხასიათი არ აქვს და მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევას ექნება ადგილი, მშობელს ევალება, რომ დილით დაურეკოს აღმზრდელს და აღნიშნულის თაობაზე გააფრთხილოს. მშობელი ვალდებულია, რომ ბავშვის ბაგა-ბაღში მოყვანისას აღსაზრდელი ჯგუფში შეიყვანოს და აღმზრდელს ჩააბაროს.

- მშობელი ვალდებულია ბავშვის ბაღში მიყვანისას აუცილებლად ჩააბაროს ის ჯგუფის აღმზრდელს ან აღმზრდელის თანაშემწეს.
- იმ შემთხვევაში, თუ მშობელს ბავშვის გასვლით ღონისძიებებში ჩართვის სურვილი აქვს, ვალდებულია, ამის შესახებ წერილობითი თანხმობა გადასცეს ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას. ასევე, თუ მშობელი თანახმაა, რომ მისმა შვილმა გარეშე პირების მიერ, როგორიც არის მაგალითად ჟურნალისტი, ფოტო თუ ვიდეო გადაღებებში მიიღოს მონაწილეობა, თანხმობის ფურცელს უნდა მოაწეროს ხელი.
- ბავშვის შესახებ დოკუმენტაციის შევსებისას მშობელი ვალდებულია, იმ პირის სახელი და გვარი მიუთითოს, ვინც ბავშვი ბაგა-ბაღიდან უნდა გაიყვანოს. თუ გამონაკლის შემთხვევას აქვს ადგილი და აღსაზრდელი სხვა პირს გაყავს, მშობელი ვალდებულია, რომ დარეკოს ბაგა-ბაღში და აღმზრდელი გააფრთხილოს. თუ ამ ფაქტმა სისტემატური ხასიათი მიიღო, მშობელმა ცალკე ნებართვის ფურცელი უნდა დაწეროს და იმ ადამიანის სახელი და გვარი მიუთითოს, ვინც პასუხისმგებელია ბავშვის ბაგა-ბაღიდან გაყვანაზე.
- ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში (გაციება, ხველა, საბავშვო დაავადებები და ა.შ.) მშობელი ვალდებულია, რომ ბავშვი ბაგა-ბაღში არ წაიყვანოს და ადმინისტრაცია გააფრთხილოს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ბავშვის ავად გახდომის შემთხვევაში ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია ვალდებულია, რომ მშობელს ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს, ხოლო მშობელი პასუხისმგებელია, ბავშვს დროულად მიაკითხოს.

10.2. მშობლისა და აღმზრდელის რეგულარული კონტაქტი

ბაგა-ბაღში აღსაზრდელის დამოუკიდებელი უნარების, ახალ გარემოსთან ადაპტაციისა და ბავშვის განვითარების ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მშობელთან ერთად გადაწყვეტისათვის ჩვენი მიზანია:

- მშობელსა და აღმზრდელს შორის მუდმივი კონტაქტი არსებობდეს;
- აღმზრდელმა და ბაგა-ბაღის ადმინისტრაციამ წაახალისონ მშობელი.

მიზნის მიღწევის გზები

- ბავშვის ბაგა-ბაღში ჩარიცხვის მომენტიდან მშობელსა და აღმზრდელს შორის მჭიდ-

რო კონტაქტი უნდა არსებობდეს. სასწავლო წლის დაწყებისთანავე აღმზრდელი მშობელს სამუშაო გეგმას უნდა აცნობდეს, მშობლის მოსაზრებას ისმენდეს, ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებზე ინფორმაციას იღებდეს და მუშაობის პროცესში ითვალისწინებდეს. აღმზრდელს მშობლებთან მინიმუმ სამ თვეში ერთხელ როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური დაგეგმილი შეხვედრები უნდა ჰქონდეს. აღმზრდელი მშობელს ბავშვის განვითარების პორტფოლიოს შესახებ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს, რომელიც მშობლისათვის ნებისმიერ დროს იქნება ხელმისაწვდომი. აღმზრდელი და მშობელი მუდმივად უნდა განიხილავდნენ აღსაზრდელის განვითარებასა და სააღმზრდელო დაწესებულებასთან ბავშვის ადაპტაციას, არაძალადობრივ და პოზიტიურ ქცევის მართვის პრინციპებს, აღსაზრდელის რესურსებს, ჯანმრთელობის საკითხებს, ქცევის პრობლემებს, სპეციალურ საჭიროებებს, კვების და ძილის საკითხებს. ყოველდიური ან ყოველკვირეული მუშაობის ცხრილი, ასევე კვების მენიუ მშობლებისათვის თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული, რათა მშობლები ყოველდღიურად ფლობდნენ ინფორმაციას მიმდინარე აქტივობების შესახებ.

- შესაძლებელია, მშობლების ნაწილს ბავშვის განვითარების პროცესში აქტიურად ჩართვის სურვილი არ ჰქონდეს ან ამისათვის დროს ვერ ანაწილებდეს. ასეთ შემთხვევებში აღმზრდელი მშობლის წახალისებას უნდა ცდილობდეს, ინდივიდუალურად უნდა შეხვდეს, ტელეფონით გაესაუბროს, აუხსნას, რამდენად მნიშვნელოვანია მისი ჩართვა ბავშვის განვითარების პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას აღნიშნული საკითხისადმი სისტემური მიდგომა და მშობლის ფასილიტაციის პროცესში აქტიური როლი ჰქოდეს.

10.3. მშობლის მიერ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოზე დაკვირვება

ბაგა-ბაღის გარემოს მიმართ მშობლის ნდობის გამყარების თვალსაზრისით ჩვენი მიზანია:

- მშობელს ბაგა-ბაღში საკუთარი შვილის მონახულებისა და გარემოზე დაკვირვებისას დაბრკოლება არ შეექმნას;
- განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლის დროსაც მშობელს შეიძლება ჯგუფში შესვლაზე უარი ეთქვას.

მიზნის მიღწევის გზები

- აღსაზრდელის მშობელი უფლებამოსილია, ბაგა-ბაღის შენობა და ტერიტორია (მხოლოდ სამუშაო საათებში) დაათვალიეროს. მას წინასწარი გაფრთხილების გარეშე უნდა შეეძლოს ბაგა-ბაღში მისვლა. იგი უფლებამოსილია, რომ იმ ჯგუფის საქმიანობას დაესწროს და დააკვირდეს, სადაც მისი შვილი იმყოფება. იმ შემთხვევაში, თუ მშობელს რამდენიმე დღის განმავლობაში ბავშვის ქცევაზე დაკვირვების სურვილი აქვს, ამის

შესახებ წინასწარ უნდა დაწეროს განცხადება და ადმინისტრაცია გააფრთხილოს.

- მშობელს ჯგუფში შესვლაზე შესაძლებელია უარი ეთქვას, თუ ამ კონკრეტულ ჯგუფში უკვე არის ერთზე მეტი მშობელი და მისი შესვლა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში ქაოსს გამოიწვევს. მშობელს ბაგა-ბაღის გარემოს დაკვირვებაზე უარი შეიძლება ეთქვას მაშინაც, თუ მას აქვს ინფექციური დაავადება, ვირუსი ან ნასვამ მდგომარეობაშია.

10.4. მშობლის მიერ საკუთარი აზრის დაფიქსირება

ბაგა-ბაღის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საკითხების შესახებ მშობლის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვისათვის ჩვენი მიზანია:

- მშობელს მიეცეს საშუალება, რომ თავისი შენიშვნა როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი ფორმით გამოთქვას;
- ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის მიერ სიტუაციის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მიმართოს ზემდგომ ორგანოს.

მიზნის მიღწევის გზები

- მშობელი უფლებამოსილია, გამოთქვას როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი მოსაზრება (შენიშვნა, საყვედური) ბაგა-ბაღში მიმდინარე ნებისმიერ საკითხზე. მშობელმა აღნიშნული მოსაზრება შეიძლება ღიად დააფიქსიროს კონკრეტულად იმ პირთან, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ეხება, ან წერილობით მიმართოს დირექციას. მას შეუძლია წერილი ვინაობის გაუმჟღავნებლად, ბაგა-ბაღში არსებული ანონიმური წერილების ყუთში მოათავსოს. მშობელი არ არის უფლებამოსილი, რომ თავისი შვილის განსაკუთრებულ (პრივილეგირებულ) პირობებში ჩაყენება მოითხოვოს. მაგალითად: გადაჭარბებული ყურადღება, ღონისძიების დროს კონკრეტული როლის მიცემა და ა.შ.
- სავალდებულოა მშობლის მიერ გამოთქმულ პრეტენზიაზე რეაგირება. ანონიმურად დაფიქსირებულ მოსაზრებაზე რეაგირება უნდა მოხდეს მაქსიმუმ ორ კვირაში (ყოველი კვირის ბოლოს ანონიმური წერილების ყუთი იხსნება). ადმინისტრაციამ განხორციელებული ღონისძიებები უნდა აღწეროს ანგარიშის სახით, რომელიც ნებისმიერი მშობლისთვის ხელმისაწვდომი იქნება. მშობლის ღია წერილის სახით დაფიქსირებულ მოსაზრებაზე წერილობითი რეაგირება არაუგვიანეს ერთი კვირის ვადაში უნდა მოხდეს. თუ მშობელი მიიჩნევს, რომ პრობლემა კვლავ არ დარეგულირდა ან მიღებული პასუხით არ არის კმაყოფილი, უფლება აქვს, რომ ზემდგომ ორგანოს, ამ შემთხვევაში ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს მიმართოს.

შენიშვნა: მნიშვნელოვანია ბაგა-ბაღის ადმინისტრაციის დადებითი დამოკიდებულება მშობლის ყველა სახის შენიშვნასა თუ პრეტენზიისადმი, ასევე საკითხისადმი პროფესიონალური მიდგომა. მშობლის შენიშვნა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აისახოს ბავშვთან დამოკიდებულებაზე.

მიზნის აღსრულების მაჩვენებლები

- საინფორმაციო პაკეტში არსებობს სრული ინფორმაცია თითოეულ ბავშვზე;
- მშობლის კითხვარი შევსებულია;
- მშობლის ხელშეკრულებაში მითითებულია ბავშვის ბაგა-ბაღში მოყვანის და გაყვანის საათები;
- ბაგა-ბაღში ყველა გასვლით ღონისძიებასა და იმ საკითხებზე, რომელიც აღსაზრდელის ბაგა-ბაღში მიღებისას გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ შედის, არსებობს მშობლის წერილობითი თანხმობა;
- ბავშვის ბაგა-ბაღიდან გაყვანაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ არსებობს მშობლის წერილობითი თანხმობა;
- ბაგა-ბაღში არსებობს მშობლებთან შეხვედრების გეგმა;
- მშობელთან შეხვედრები ბავშვის პორტფოლიოში ფიქსირდება;
- მშობელი დაბრკოლების გარეშე შედის ბაგა-ბაღში და გარემოსა თუ ბავშვის ქცევას აკვირდება;
- ბაგა-ბაღში არსებობს ანონიმური წერილების ყუთი;
- ბაგა-ბაღში პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში არსებობს რეაგირების ამსახველი დოკუმენტაცია.

თავი მეთერთმეტე

11. მართვის სტრატეგია პრაქტიკაში

მეთერთმეტე თავი მოცემული დოკუმენტის დამატებაა, რომელიც ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის პრაქტიკაში ეტაპობრივი განხორიელების გეგმას გვთავაზობს.

11.1. ბაგა-ბაღის პერსონალის გადამზადება

ბაგა-ბაღის პერსონალის გადამზადების მიზანია:

- ქ. თბილისის ყველა ბაღის პერსონალმა გაიაროს ტრენინგი ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიის შესახებ.

მიზნის მიღწევის გზები

- აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით მომზადდებიან ტრენერები და ტრენერების ასისტენტები, რომლებიც თითოეულ ბაღში ინდივიდუალურად ჩაატარებენ ტრენინგებს სამი დღის განმავლობაში. ბაღის ნებისმიერ პერსონალს ექნება შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს გადამზადების პროცესში. ტრენინგის საკითხები ძირითადად მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც ბაგა-ბაღის სტრატეგიით არის განსაზღვრული, ტრენინგს ექნება პრეზენტაცის, დისკუსიის, პრაქტიკულ უნარებზე მუშაობის სახე.

11.2. რაიონული კოორდინატორების მხარდაჭერა

ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს რაიონული კოორდინატორების მხარდაჭერის მიზანია:

- შეფასდეს თითოეული ბაღის საჭიროება ბაგა-ბაღის სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად;
- განისაზღვროს თითოეული ბაღის პრიორიტეტები;
- დაიგეგმოს პრიორიტეტული საკითხების განხორციელების გზები და დროში გაწერილი მიზნები;
- შეფასდეს დაგეგმილი მიზნების აღსრულება.

მიზნის მიღწევის გზები

- ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს რაიონული კოორდინატორები ყოველდღიურად მიდიან ბაღებში. შესაბამის შეფასების ინსტრუმენტზე დაყრდნობით დირექტორთან ერთად აფასებენ ყველა იმ საკითხს, რომელიც ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიით

არის განსაზღვრული.

- შეფასების შედეგებს რაიონული კოორდინატორები ბაგა-ბაღის დირექტორთან ერთად განიხილავენ და გამოყოფენ პრიორიტეტულ საკითხებს.
- რაიონული კოორდინატორები ბაგა-ბაღის დირექტორთან ერთად პრიორიტეტულ საკითხებზე დაყრდნობით სახავენ სტრატეგიის დაძლევის ეტაპობრივ გეგმას. გეგმაში კონკრეტულად არის ასახული დროში გაწერილი, სპეციფიკური მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, აქტივობები და პასუხისმგებელი პირები.
- თითოეული ბაღის სტრატეგიის დაძლევის გეგმის შეფასება ხდება მოკლევადიანი მიზნების ვადებთან მიმართებაში.
- სტრატეგიის დაძლევის გეგმაში არსებული გრძელვადიანი მიზნის მიღწევისას იწერება ანგარიში და ისახება ახალი მიზანი.

მიზნების აღსრულების მაჩვენებლები:

- ქ. თბილისის 158 ბაღის ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს ტრენინგი ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიის შესახებ;
- არსებობს თითოეული ბაღის შეფასების ამსახველი მასალა;
- თითოეულ ბაღში არსებობს სტრატეგიის დაძლევის გეგმა;
- არსებობს სტრატეგიის დაძლევის გეგმის შეფასების ანგარიშები.

დანართები

1.1. ძირითადი დოკუმენტაციის ჩამონათვალი

ადმინისტრაციული

- წესდება;
- შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან;
- ხელშეკრულება მშობელთან;
- ბავშვის ჩარიცხვის აქტი (ყველა ჩარიცხული ბავშვისთვის საერთო);
- ბავშვის ბაგა-ბაღიდან გაშვების ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი;
- შეხვედრების ოქმები;
- დირექტორის ბრძანებები;
- მიღება-ჩაბარების აქტი;
- ხელფასების უწყისები;
- შესყიდვებზე ზედნადებები;
- მოთხოვნის ფურცელი;
- ყოველთვიური საბანკო ამონაწერი;
- ბავშვების დასწრების აღრიცხვა;
- დალაგების აღრიცხვის ფურცლები;
- ეზოს სათამაშოების უსაფრთხოების შემოწმების აღრიცხვის ფურცლები;
- ანგარიშები (წელიწადში ორჯერ – ნოემბრისა და აპრილის ბოლოს);
- ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

თანამშრომლების დოკუმენტაცია

- CV(ავტობიოგრაფია);
- სკოლის დამთავრების მოწმობა (ატესტატი);
- უმაღლესი და საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პირადობის მოწმობა (ასლი);
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
- ჯანმრთელობის ცნობა (ბაგა-ბაღში დაუშვებელია ტუბერკულიოზის ღია ფორმა BK დადებითის მატარებელი პირის ყოფნა);
- სარეკომენდაციო წერილი.

ბავშვის დოკუმენტაცია

1. ბავშვის დაბადების მოწმობა (ინახებოდეს მოწმობის ასლი);
2. ბავშვის ორი ფოტოსურათი (3X4);
3. მშობლის პირადობის მოწმობის ასლები;
4. ჯანმრთელობის ცნობა;
5. სოციალურად დაუცველის მოწმობა, იმ შემთხვევაში თუ ოჯახი სოციალურად დაუცველია;
6. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შემთხვევაში ფორმა N IV-100/, ან ფორმა N 50 და სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული შეფასება/რეკომენდაცია ბაგა-ბაღში ჩართვის თაობაზე
7. ბავშვის საინფორმაციო პაკეტი;

ა) სარეგისტრაციო ბარათი;

ბ) ჯანმრთელობის ბარათი;

ა) ბაღში სამედიცინო ჩარევის აღრიცხვის ფურცელი;

ვ) მშობლის კითხვარი;

ზ) ნებართვის ფურცელი;

8) ბავშვის განვითარების პორტფოლიო;

9) ინდივიდუალური განვითარების ამსახველი დოკუმენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის.

2.1. პერსონალის კვალიფიკაცია

დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება მუშაობდეს პირი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. აქვს მენეჯმენტსა და განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება. იგი უნდა ფლობდეს ბავშვის ადრეული განვითარების, განათლების, პოზიტიური ქცევის და მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებს. ასევე იცნობდეს ბავშვის უფლებების კონვენციას, მოტივირებული იყოს საკუთარი ცოდნის განვითარებაზე, ფლობდეს კომუნიკაციისა და ჯგუფში მუშაობის უნარებს.

დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. სასურველია, ჰქონდეს მენეჯმენტის და განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება. იგი უნდა ფლობდეს ბავშვის ადრეული განვითარების, განათლების, პოზიტიური ქცევის და კლასის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებს. ასევე იცნობდეს ბავშვის უფლებების კონვენციას, მოტივირებული იყოს, აიმაღლოს კვალიფიკაცია, ფლობდეს კომუნიკაციისა და ჯგუფში მუშაობის უნარებს.

საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ბავშვის სკოლამდელი აღზრდის, განათლების ან განვითარების სფეროში. აქვს ბავშვებთან მუშაობის არანაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟი და მეთოდოლოგიური კოორდინაციის გამოცდილება. იცნობს ბავშვის

ქცევის პოზიტიური მართვის პრინციპებს, დაკვირვების მეთოდებსა და პროგრამის შედგენის სტრატეგიებს. მოტივირებულია, აიმაღლოს კვალიფიკაცია, ფლობს დამოუკიდებლად მუშაობის, კომუნიკაციის და ჯგუფში მუშაობის უნარებს.

ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის (ექიმი/ექთანის) თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ფლობს ექიმის ან ექთნის უმაღლეს ან საშუალო პროფესიულ განათლებას. სასურველია, ჰქონდეს პედიატრიული განხრით მუშაობის გამოცდილება. იცნობს ბავშვის უფლებებსა და ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის პრინციპებს. სასურველია, ჰქონდეს კოორდინაციის, მენეჯმენტის გამოცდილება.

სამეურნეო ნაწილის კოორდინატორად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ფლობს უმაღლეს განათლებას, სასურველია, ჰქონდეს სამეურნეო განხრით მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება. აქვს კომუნიკაციისა და ჯგუფური მუშაობის უნარი. სასურველია, ჰქონდეს კოორდინაციის, მენეჯმენტის გამოცდილება.

აღმზრდელის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ფლობს უმაღლეს განათლებას. თუ კანდიდატის განათლების სფერო ეხება ბავშვის სკოლამდელ განათლებას და კანდიდატს აქვს მუშაობის გამოცდილება, თავისუფლად შეიძლება დაინიშნოს აღმზრდელის თანამდებობაზე. თუ კადიდატს არ აქვს მუშაობის გამოცდილება, სასურველია, 3 თვის გამოსაცდელი ვადით დაინიშნოს თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის განათლების სფერო არ ეხება ბავშვის სკოლამდელ განათლებას და ბავშვის განვითარების სოციალურ მეცნიერებებს, მაშინ აუცილებელია მას ჰქონდეს გავლილი სერტიფიცირებული ტრენინგი სკოლამდელი განათლების საკითხებზე და მინიმუმ 6-თვიანი მუშაობის გამოცდილება (შესაძლებელია აღმზრდელის თანაშემწედ აყვანა და შემდგომ აღმზრდელის თანამდებობაზე გადაყვანა). აღმზრდელის თანამდებობის კანდიდატი უნდა იცნობდეს ბავშვის განვითარების თავისებურებებს, ბავშვებთან ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის საგანმანათლებლო პრინციპებს, ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის მიდგომასა და ბავშვის უფლებების კონვენციას. უნდა იყოს კომუნიკაბელური და შეეძლოს კარგი ურთიერთობის დამყარება როგორც ბავშვთან, ასევე მშობელთან. უნდა იყოს გაწონასწორებული და კრიზისულ სიტუაციებში შეეძლოს თავის მართვა.

აღმზრდელის თანაშემწის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი ან საშუალო პროფესიული განათლება. თუ მისი განათლების სფერო არ ეხება ბავშვის სკოლამდელ განათლებას და ბავშვის განვითარების სოციალურ მეცნიერებებს, მაშინ აუცილებელია, კანდიდატს ჰქონდეს გავლილი სერტიფიცირებული ტრენინგი სკოლამდელი განათლების საკითხებზე. იგი უნდა იცნობდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას და ქცევის პოზიტიური მართვის პრინციპებს. ასევე მნიშვნელოვანია, იყოს კომუნიკაბელური.

თუ აღმზრდელის თანაშემწე მინიმუმ ორი წლის განმავლობაში მუშაობს ბავშვებთან და კარგად ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასების საფუძველზე, შესაძლოა, დაწინაურდეს და დაინიშნოს აღმზრდელის თანამდებობაზე.

მუსიკის პედაგოგის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ფლობს

უმაღლეს ან საშუალო პროფესიულ მუსიკალურ განათლებას. აქვს ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას და ფლობს ბავშვის ქცევის პოზიტიური მართვის მეთოდებს.

მზარეულის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც ფლობს მზარეულის საშუალო პროფესიულ განათლებას, გავლილი აქვს მზარეულის ტრენინგი ან აქვს მზარეულის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება. ასევე უნდა იცნობდეს ჰიგიენურ ნორმებს, რომლებიც აუცილებლად უნდა დაიცვას სამზარეულოში მუშაობისას.

მზარეულის დამხმარედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც დამთავრებული აქვს უმაღლესი, საშუალო პროფესიული სასწავლებელი ან საშუალო სკოლა. მას უნდა ჰქონდეს მუშაობის გამოცდილება და იცნობდეს სამზარეულოს ჰიგიენის ნორმებს.

დარაჯის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც დამთავრებული აქვს უმაღლესი, საშუალო პროფესიული სასწავლებელი ან საშუალო სკოლა. უნდა ჰქონდეს დარაჯის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება და ან უნდა იცნობდეს სკოლამდელი დაწესებულების უსაფრთხოების საკითხებს.

დამლაგებლის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი პროფესიული თუ საშუალო განათლების გარეშე. სასურველია, ჰქონდეს დამლაგებლის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება. უნდა იცნობდეს ჰიგიენის და უსაფრთხოების საკითხებს.

მრეცხავის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი პროფესიული თუ საშუალო განათლების გარეშე. სასურველია, ჰქონდეს მრეცხავის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება. უნდა იცნობდეს სკოლამდელი დაწესებულების ჰიგიენის და უსაფრთხოების საკითხებს.

შენიშვნა: თუ ბაგა-ბაღში მუშაობას იწყებს ახალი კადრი (ნებისმიერ თანამდებობაზე), რომელსაც არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება, აუცილებლად უნდა გაიაროს სტაჟირება სუპერვიზიის პირობებში ბაღში და ბაღმა (ან თავად ინდივიდმა) უნდა იზრუნოს სპეციფიკურ ტრენინგზე.

დამატებითი პერსონალი

საქმისმწარმოებლის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. სასურველია, ჰქონდეს გამოცდილება სამენეჯმენტო სფეროში, ფლობდეს კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს.

სპეციალური პედაგოგის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება სპეციალური პედაგოგიკის სფეროში. აქვს ბავშვებისათვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება, იცნობს ბავშვის უფლებებს. აქვს კარგი კომუნიკაციის უნარი, როგორც ბავშვებთან, ასევე მშობლებთან.

ფსიქოლოგის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში. სასურველია, იყოს ბავშვის განვითარების ფსიქოლოგი. აქვს ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, იცნობს ქცევის ანალიზის სტრატეგიებს, ქცევის პოზიტიური მართვის მიდგომას, ბავშვის უფლებათა კონვენციას. აქვს კარგი კომუნიკა-

ციის უნარი, როგორც ბავშვებთან, ასევე მშობლებთან.

ლოგოპედის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ლოგოპედი უმაღლესი განათლებით, რომელსაც აქვს ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, იცნობს ბგერების სწორად წარმოთქმის სავარჯიშოებს, ბავშვის ქცევის პოზიტიურ მართვას, ბავშვის უფლებათა კონვენციას. აქვს კარგი კომუნიკაციის უნარი, როგორც ბავშვებთან, ასევე მშობლებთან.

მუშის თანამდებობაზე შესაძლებელია დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს საშუალო პროფესიული განათლება ან გავლილი გადამზადება და აქვს მუშაობის გამოცდილება.

მებაღედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს საშუალო პროფესიული განათლება, აქვს მებაღედ მუშაობის გამოცდილება.

შენიშვნა: ბაღის ადმინისტრაციის მიერ დამატებითი პერსონალის დასაქმების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ბაღის ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება ამა თუ იმ სპეციალისტის შესაბამის კვალიფიკაციას და გამოცდილებას.

დანართი 2.2

2.2 პერსონალის უფლება-მოვალეობები

დირექტორის უფლება-მოვალეობები

ხელმძღვანელობს ბაგა-ბაღს, მოქმედებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობისას. გასცემს მინდობილობებს და დებს გარიგებებს;

ანგარიშვალდებულია ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წინაშე;

ყოველი თვის ბოლოს მართავს შეხვედრებს საკოორდინაციო ჯგუფთან, ისმენს მოხსენებებს და იძლევა რეკომენდაციებს;

პასუხისმგებელია ბაგა-ბაღების მართვის სააგნეტოს მიერ დამტკიცებული ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიის განხორციელებაზე;

პასუხისმგებელია ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიის დანერგვაზე;

ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვების ჩარიცხვის არადისკრიმინაციული მიდგომა;

ვალდებულია, დაიცვას აღსაზრდელის ყველა ის უფლება, რომელიც მას ბავშვის უფლებათა კონვენციით აქვს მინიჭებული;

ბავშვის ბაგა-ბაღში მიღებისას მშობელს მომსახურების პირობებს განუმარტავს;

აღსაზრდელის ჩარიცხვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს გამოსცემს;

ქმნის ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის და განვითრებისათვის შესაბამის პირობებს და მონიტორინგს უწევს მის განხორციელებას;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ბაგა-ბაღის გარემოში სრულყოფილ

მონაწილეობას უწევს მონიტორინგს;

ხელმძღვანელობს ქცევის პოზიტიური მართვის პოლიტიკის გატარებას;

ზედამხედველობას უწევს ბაგა-ბაღის საქმიანობაში მშობლის ჩართულობის უზრუნველყოფას;

მეთვალყურეობას უწევს საკოორდინაციო, პრაქტიკოსთა და სამეურნეო ჯგუფის საქმიანობას;

სახავს და ახორციელებს ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიით განსაზღვრული ფიზიკური გარემოს მოთხოვნების შესრულების გეგმას;

ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის საგენტოს რაიონულ კოორდინატორთან ერთად ბაგა-ბაღის მართვის პოლიტიკის განხორციელების პრიორიტეტულ გეგმას ადგენს და მის შესრულებას უზრუნველყოფს;

ბაგა-ბაღის შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს ხელძღვანელობს;

ბაგა-ბაღის კონტიგენტის ასათვისებლად იღებს ზომებს;

იღებს გადაწყვეტილებას სამუშაო დღის შეცვლასთან დაკავშირებით;

აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ სამსახურეობრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას, ზრუნავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შესაბამისი ტრენინგების/სპონსორების მოძიებაზე და საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლების დაფინანსებაზე;

უზრუნველყოფს თანამშრომელთა დატვირთვის პერიოდულ შეფასებას;

განიხილავს თანამშრომელთა მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ საჩივრებს;

ხელს უწყობს თანამშრომელთა შორის საქმიან და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობების გაღრმავებას;

შესაძლებელია, შრომის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით, განსაზღვროს თანამშრომლისათვის ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკი;

ამტკიცებს საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს, მასწავლებლებთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებს, უზრუნველყოფს ხელფასის დროულად გაცემას;

ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს რაონულ კოოდინატორს წარუდგენს ანგარიშს დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების შესახებ;

პასუხისმგებელია სახსრების სწორ ხარჯვაზე, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვისა და ფულადი სახსრების, მატერიალური ქონებისა და პროდუქტების ხარჯვის ანგარიშების სწორად წარმოებაზე, რემონტის ჩატარებასა და სათბობით უზრუნველყოფაზე;

ვალდებულია, ყოველთვიურად გააცნოს მშობლებს ბაგა-ბაღში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ვალდებულია, ხელს უწყობდეს მოხალისეობის სისტემის განვითარებას. ამისათვის ცდილობს უნივერსიტეტებთან დაკავშირებას;

ვალდებულია, ბაგა-ბაღის საქმიანობაში წელიწადში მინიმუმ ერთი სხვადასხვა ფაკულტეტის (სამხატვრო, თეატრალური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური, და სხვა) სტუდენტი ჩართოს;

ვალდებულია, მოითხოვოს მოხალისისგან მოტივაციის წერილი, რეკომენდაცია ფა-

კულტეტიდან და რეზიუმე (CV). გადამწყვეტი მნიშვნელობა მოტივაციის წერილსა და რეკომენდატორს ენიჭება;

ვალდებულია, დაიცვას აღსაზრდელის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

უფლებამოსილია, წაახალისოს თანამშრომელი ხარისხიანად შესრულებული სამუშაოსათვის.

დირექტორის მოადგილის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება ბაგა-ბაღის დირექტორს;

დირექტორის მოვალეობას ასრულებს, თუ დირექტორს უფლებამოსილება დროებით შეუჩერდა შრომისუუნარობის ან სხვა მიზეზის გამო;

დირექტორთან ერთად ახორციელებს ბაგა-ბაღის შიდა მონიტორინგს;

დირექტორთან შეთანხმებით აწარმოებს საქმიან მოლაპარაკებებს, ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაციული და სხვა ტექნიკური საკითხების მოგვარებას;

ვალდებულია, დაესწროს თანამშრომელთა შეკრებებს, თუ საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს დასწრებას, ამის შესხებ ხელმძღვანელს წინასწარ, ერთი დღით ადრე უნდა შეატყობინოს. სამჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელი თანამშრომელს შენიშვნას აძლევს.

საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი

ექვემდებარება ბაგა-ბაღის დირექტორს;

კოორდინაციას უწევს აღმზრდელის, აღმზრდელის თანაშემწის, მუსიკის პედაგოგის, სპეციალური პედაგოგის, ფსიქოლოგისა და ლოგოპედის მუშაობას;

ვალდებულია, განახორციელოს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია;

ვალდებულია, დანერგოს ბავშვის პოზიტიური ქცევის მართვის პრინციპები;

ვალდებულია, რეკომენდაციები მისცეს აღმზრდელებს მუშაობის პროცესში;

ვალდებულია, სააღმზრდელო მეთოდოლოგიის განხორციელების პროცესში თითოეულ ჯგუფში იყოს აქტიურად ჩართული;

თითოეული აღსაზრდელის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს რაიონულ კოორდინატორთან თანამშრომლობს;

მეთვალყურეობას უწევს, რომ ყველა აღსაზრდელი განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაციას ფლობდეს;

დირექტორს აწვდის ინფორმაციას ფიზიკური გარემოს თითოეული აღსაზრდელის ინდივიდუალური საჭიროებიების შესაბამისად მოწყობის შესახებ;

უზრუნველყოფს ოთახების სივრცეებად დაყოფასა და ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე სხვადასხვა მინიშნება-სიმბოლოების განთავსებას;

პედაგოგიურ პერსონალს სისტემატურად ამოწმებს ჯგუფებში დასწრებით, აფასებს მათი მუშაობის ხარისხს და აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს;

ჩართულია მშობლებთან შეხვედრების პროცესში;

სისტემატუად ახდენს საგანმანათლებლო ღონისძიებების საჭიროებისათვის აუცილებელი სათამაშოებისა და სხვა ინვენტარის შემოწმებას და მათ მოკლე დროში განახლებას უწევს კოორდინაციას;

ხელს უწყობს პედაგოგიური პერსონალის პროფესიული თვალსაზრისით გაზრდას, აცნობს მათ ახალ, თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდოლოგიას. ითხოვს რომელიმე ან მთელი პედაგოგიური პერსონალის დამატებით ტრენინგებს;

ყოველი თვის ბოლოს დირექტორის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე წარადგენს ზეპირ ანგარიშს მისი და მასზე დაქვემდებარებული პირების საქმიანობის შესახებ;

ვალდებულია, მოხალისეს ხელმძღვანელობა გაუწიოს და ყოველი თვის ბოლოს შეაფასოს;

ვალდებულია, აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ კონფიდენციალურობა დაიცვას;

ვალდებულია, ყოველთვიურად იმ სათამაშოების ჩამონათვალი განსაზღვროს, რომლებიც აღსაზრდელების სენსორული, კოგნიტური, მოტორული და კრეატიული უნარების განვითარებისათვის არის საჭირო და ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ბაგა-ბაღის დირექტორს;

ვალდებულია, წელიწადში ორჯერ ბავშვების განვითარების პორტფოლიოზე დაყრდნობით მოამზადოს წერილობითი ანგარიშები ბავშვების მიღწევების, სირთულეების, სამომავლო მიზნების და ა.შ. შესახებ.

ვალდებულია, თანამშრომელთა შეკრებებს დაესწროს, თუ საპატიო მიზეზით დასწრებას ვერ ახერხებს, ამის შესახებ ხელმძღვანელს წინასწარ, ერთი დღით ადრე უნდა შეატყობინოს. სამჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელი თანამშრომელს შენიშვნას აძლევს.

სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება დირექტორს;

დირექტორის ხელმძღვანელობით მუშაობს და პასუხს აგებს საბავშვო ბაღის ფინანსური დოკუმენტაციის წარმოებაზე;

უზრუნველყოფს საჭირო ფინანსური ოპერაციების განხორციელებასა და ბუღალტრული აღრიცხვიანობის წარმოებას;

ზედამხედველობს ბაგა-ბაღის დარაჯის, მუშის, მებაღის და ა.შ. მუშაობას;

ბაგა-ბაღის ქონების ინვენტარიზაციას ახდენს;

დირექტორთან ერთად შესყიდვების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობს;

მენიუს ფინანსურ დაგეგმვაში იღებს მონაწილეობას;

ბაგა-ბაღის საწყობებში (სამეურნეო, საკანცელარიო, კვების, თეთრეულის) არსებული მარაგების მოძრაობას აღრიცხავს და აკონტროლებს და ყოველი თვის ბოლოს შესყიდვების აუცილებელ ნუსხას დირექტორს წარუდგენს;

პასუხისმგებელია პროდუქტების დროულად მომარაგებაზე;

პასუხისმგებლია პორდუქტების გაცემაზე სამზარეულოში;

ყოველდღიურად აწარმოებს პროდუქტების ნაშთის აღრიცხვიანობას;

აკონტოლებს გაცემული პროდუქტების რაოდენობას;

პასუხისმგებელია, გააკეთოს ყოველდღიური მენიუს ფაქტურა, ბავშვების რაოდენობის (საუზმე, სამხარი, სადილი) მითითებით;

პასუხისმგებელია ბაგა-ბაღის სამეურნეო ქონებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-დაცვაზე;

პასუხისმგებელია ეზოს უსაფრთხოებაზე და ყოველ ორშაბათს დღის დასაწყისში ამოწმებს ეზოს უსაფრთხოებას (შესაძლებელია დარაჯთან ერთად);

ვალდებულია, ყოველი თვის ბოლოს დირექტორის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე წარადგინოს გასული თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ზეპირი ან წერილობითი ანგარიში, რომელიც მის მიერ განხორციელებულ საქმიანობას, აგრეთვე საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებებსა და შესაბამისი ცვლილებების აღწერასა და საქმის წარმოების ყველა დეტალს შეცავს.

ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი (ექიმი/ექთანი)

ექვემდებარება დირექტორს;

უწევს ზედამხედველობას მრეცხავის, დამლაგებლის, მზარეულის და მზარეულის თანაშემწის საქმიანობას სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვის თვალსაზრისით;

აკონტროლებს ბავშვის ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას;

ბაგა-ბაღში ჯანმრთელობის უეცარი გაუარესების შემთხვევაში ბავშვს პირველად დახმარებას უწევს;

ბავშვისთვის სახლიდან მოტანილი პრეპარატის მიღებას აკონტროლებს;

ბავშვისთვის საჭირო ნებისმიერ სამედიცინო პროცედურას აღრიცხავს სამედიცინო ინტერვენციის ფურცელში;

ბაგა-ბაღში არსებულ სამდიცინო ყუთს ამოწმებს და უზრუნველყოფს ყველა საჭირო სამედიცინო პრეპარატის და ნივთის არსებობას;

მეთვალყურეობას უწევს აღსაზრდელის პირად ჰიგიენას: ფრჩხილებისა და კანის სისუფთავეს, კანზე გამონაყარის არსებობას, თავის თმიანი ნაწილის შემოწმებას დატილიანებაზე ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ბავშვის ინტერესებს;

აუცილებლობის შემთხვევაში პირველად დახმარებას უწევს ბაგა-ბაღის თანამშრომლებს და შესაბამისად, აღრიცხავს ყველა პროცედურას მათთვის გამოყოფილ სპეციალურ ჟურნალში;

აწარმოებს სამედიცინო დოკუმენტაციას როგორც აღსაზრდელების, ასევე თანამშრომლების შესახებ;

მეთვალყურეობას უწევს ბაგა-ბაღის მთლიან შენობას, განსაკუთრებით ჯგუფის ოთახების, სამზარეულოს, საპირფარეშოების, სამრეცხაოს, ეზოს სანიტარულ მდგომარეობას.

საკვების მომზადების შემდეგ თითოეული მათგანიდან იღებს სინჯს უსაფრთხოების მიზნით;

საჭიროების შემთხვევაში იძლევა კონსულტაციებს მენიუს შესადგენად;

მეთვალყურეობას უწევს უსაფრთხო გარემოს არსებობას, მედიკამენტების უსაფრთხოდ შენახვას და ა. შ.

მეთვალყურეობას უწევს შენობაში ჰაერის განიავებას;

ვალდებულია, სისტემატურად იმაღლებდეს კვალიფიკაციას;

ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურობა აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ;

ვალდებულია, ყოველი თვის ბოლოს დაესწროს დირექტორის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს და წარადგინოს ზეპირი ანგარიში განხორციელებული სამუშაოს შესახებ. ხოლო წელიწადში ორჯერ ვალდებულია, წარადგინოს წერილობითი ანგარიში.

აღმზრდელის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს;

ვალდებულია, განახორციელოს საკუთარ ჯგუფში ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია;

მონაწილეობს მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობაში;

ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ჯგუფში ჩართულობას;

თანამშრომლობს მშობლებთან აქტიურად. ახორციელებს მათთან ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ შეხვედრებს;

ორიენტირებულია ბავშვის დამოუკიდებელი უნარების წახალისებაზე;

თვალყურს ადევნებს თავისი ჯგუფის ბავშვების დასწრებას;

ასრულებს ბაღის სამედიცინო პერსონალის მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასთან;

აკვირდება ბავშვის მდგომარეობას დღის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგს ან ექთანს აწვდის ინფორმაციას;

ვალდებულია, განათლების კოორდინატორს ყოველი თვის ბოლოს გადასცეს შემდეგი თვის მუშაობისათვის საჭირო სათამაშოებისა და მასალების ჩამონათვალი;

აღსაზრდელებს აწვდის ინფორმაციას ჰიგიენური წესების დაცვის შესახებ და მეთვალყურეობას უწევს მათ შესრულებას;

კვების პროცესში ახალისებს ბავშვების დამოუკიდებელი უნარების განვითარებას;

თუკი აღმზრდელის თანაშემწეს, ობიექტური მიზეზის გამო, არ შეუძლია პამპერსის გამოცვლა, ვალდებულია, თავად გაასუფთაოს ბავშვი და გამოუცვალოს პამპერსი;

თითოეულ აღსაზრდელთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მის პიროვნულ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ და ენობრივ თავისებურებებს; ყოველდღიურ პრაქტიკაში იცავს თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპებს, ახორციელებს ანტიდისკრიმინაციულ მიდგომებს ყველა აღსაზრდელის მიმართ;

ყოველი კვირის ბოლოს ავსებს ბავშვების განვითარების პორტფოლიოს;

ითვალისწინებს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს, პრაქტიკაში ნერ-

გავს ტრენინგებით მიღებულ ცოდნას;

პირადად აგებს პასუხს თავისი ჯგუფის თითოეული ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე;

პასუხს აგებს ჯგუფის კუთვნილ სათამაშოებზე, სასწავლო მასალებზე, წიგნებსა და საერთოდ, ჯგუფის მთელი ქონების დაცვა-შენახვაზე;

ვალდებულია, ორგანიზებულად გადასცეს ბავშვები მის შემცვლელ აღმზრდელს ბავშვის აღრიცხვიანობის მითითებით;

ბავშვის წაყვანის უფლება უნდა მისცეს მხოლოდ მშობელს და სარეგისტრაციო ბარათში მითითებულ პიროვნებას;

ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურობა აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ;

ვალდებულია, დღის საათებში რამდენჯერმე გაანიავოს ოთახი;

ვალდებულია, მზრუნველობით მოეკიდოს თითოეული ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს, მისცეს მას საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება ყველა იმ საკითხზე, რომელიც უშუალოდ ეხება ბავშვს;

ვალდებულია ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ყოლის შემთხვევაში ითანამშრომლოს სპეციალურ პედეგოგთან;

ვალდებულია, ერკვეოდეს ბავშვისათვის ბავშვის უფლებათა კონვენციით გარანტირებულ უფლებებში და ხელს უწყობდეს მათ შესრულებას;

ვალდებულია, უზრუნველყოს აღსაზრდელებს შორის არადისკრიმინაციული მიდგომა;

ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უსაფრთხოებისათვის საჭირო წესები;

ვალდებულია, ბავშვებთან ურთიერთობისას დაიცვას ბალანსი და ყველა აღსაზრდელს თანაბარი დრო და ყურადღება დაუთმოს;

ვალდებულია, შეხვედრებს დაესწროს და წარადგინოს ზეპირი ანგარიში განხორციელებული სამუშაოს შესახებ.

აღმზრდელის თანაშემწის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება აღმზრდელს;

ხელს უწყობს მეთოდოლოგიის განხორციელებას აღმზრდელთან თანამშრომლობით; აღმზრდელებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს სასწავლო და სააღმზრდელო პროცესში, რათა საჭიროების შემთხვევაში შეეძლოს აღმზრდელის შეცვლა;

მონაწილეობს მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობაში;

ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაციას სააღმზრდელო აქტივობებში;

ბავშვს კვების წინ ეხმარება მაგიდის გაშლაში, საჭიროების მიხედვით, ულაგებს საკვებს ულუფებად, ან დგამს საკვებს მაგიდის შუაში, კვების დროს ზის გვერდით მაგიდასთან, ეხმარება მათ დამოუკიდებელი და სოციალური უნარების განვითარებაში;

ვალდებულია, ზუსტად დაიცვას სანიტარული წესები და თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენა, ასწავლიდეს მათ ჰიგიენური მოვლის წესებს;

ვალდებულია, ბაგის ბავშვებს საჭიროებისამებრ გამოუცვალოს პამპერსი და გამოცვლამდე ბავშვი გაასუფთაოს (დაბანოს ან გაწმინდოს სპეციალური საბავშვო სველი ხელსახოცებით);

ვალდებულია, ყოველდღიურად ზრუნავდეს სათამაშოების მილაგებაზე და კვირაში ერთხელ სველი წესით გაწმენდაზე;

თანამშრომლობს აღსაზრდელის მშობლებთან;

ორიენტირებულია ბავშვის დამოუკიდებელი უნარების წახალისებაზე;

იცნობს სათამაშოების დანიშნულებას, ფუნქციას, გამოყენების წესებს და ალაგებს მათ ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას;

თითოეულ აღსაზრდელთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მის პიროვნულ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ და ენობრივ თავისებურებებს; ყოველდღიურ პრაქტიკაში იცავს თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპებს, ახორციელებს ანტიდისკრიმინაციულ მიდგომებს ყველა აღსაზრდელის მიმართ;

მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდება თავისი ჯგუფის თითოეული ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს;

ასრულებს ბაღის სამედიცინო პერსონალის მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებასთან;

ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უსაფრთხოებისათვის საჭირო წესები;

ვალდებულია, ბავშვებთან ურთიერთობისას დაიცვას ბალანსი და ყველა აღსაზრდელს თანაბარი დრო და ყურადღება დაუთმოს;

ვალდებულია, ჯგუფში ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისყოფნის შემთხვევაში ითანამშრომლოს სპეციალურ პედაგოგთან;

ისევე, როგორც აღმზრდელი, პასუხს აგებს ჯგუფის კუთვნილ სათამაშოებზე, სამუშაო მასალაზე, წიგნებზე და საერთოდ, ქონების დაცვა-შენახვაზე, მის სისუფთავესა და მოვლა-პატრონობაზე;

ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურობა აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ;

ვალდებულია, მზრუნველობით მოეკიდოს თითოეული ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს, მისცეს მას საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება ყველა იმ საკითხზე, რომელიც უშუალოდ ეხება ბავშვს;

ვალდებულია, დაესწროს თანამშრომლების შეხვედრებს.

მუსიკის პედაგოგი

ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს;

უზრუნველყოფს აღსაზრდელების მუსიკალურ აღზრდას;

თანამშრომლობს აღმზრდელებთან და აღმზრდელის თანაშემწეებთან, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის შემთხვევაში სპეციალური განათლების პედაგოგთან ან ფსიქოლოგთან;

აღსაზრდელებს ასწავლის საბავშვო სიმღერებს, მუსიკალურ თამაშებსა და ცეკვას;

კონსულტაციას უწევს მშობლებს ბავშვების მუსიკალური აღზრდის საკითხებზე;

ყველა ბავშვს ექცევა თანაბრად, ყოველგვარი გამორჩევის გარეშე;

იცავს აღსაზრდელების ყველა იმ უფლებას, რომელიც გარანტირებული აქვთ ბავშვის უფლებათა კონვენციით;

მუშაობს იმ გეგმისა და სამუშაო საათების შესაბამისად, რომელიც შეთანხმებული აქვს ბაგა- ბაღის დირექტორთან;

როლების შერჩევისას ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებსა და შესაძლებლობებს;

ვალდებულია, თანამშრომელთა შეხვედრას დაესწროს და წარადგინოს ზეპირი მოხსენება განხორციელებული სამუშაოს შესახებ.

მზარეულის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორს;

მენიუზე დაყრდნობით იბარებს პროდუქტებს ყოველდღიურად;

პასუხისმგებელია საწყობიდან მიღებული პროდუქტების სათანადოდ ხარჯვაზე;

ამუშავებს პროდუქტებს და ამზადებს საკვებს;

ადგენს მოთხოვნის ფურცელს აუცილებელ საკვებ პროდუქტებზე;

ბაგა-ბაღის კვების რეჟიმის შესაბამისად უზრუნველყოფს საკვების თავის დროზე და ხარისხიანად მომზადებას;

უზრუნველყოფს ბავშვზე გათვალისწინებული ნორმის შესაბამისად მომზადებული საკვების გაცემას;

აწარმოებს მზა საკვების ნარჩენების ჩამოწერსა და აღრიცხვას;

ვალდებულია, იცოდეს კვების ნორმები, შეეძლოს საკვების მომზადების პროცესში ვიტამინების შენარჩუნება და სხვა;

ვალდებულია, იცოდეს კვებისა და კულინარული ნაწარმის ხარისხისადმი არსებული მოთხოვნები, ბავშვთა რაციონალური კვების საფუძვლები, მენიუს შედგენის წესი, პროდუქტების აღრიცხვისა და ნორმების გაცემის წესი, ნედლეულის გახარჯვის ნორმები, პროდუქტების შენახვის ვადები და წესები;

ვალდებულია, დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური წესები საკვების მომზადებისას,

ვალდებულია, ყოველი წლის დასაწყისში ჯანმრთელობის ცნობა წარმოადგინოს. (ჭიების მატარებელზე, ბაქტერიულ და კანის დაავადებებზე)

მზარეულის თანაშემწის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება მზარეულს;

ამუშავებს პროდუქტებს და მზარეულს ეხმარება საკვების მომზადებაში;

პასუხისმგებელია სამზარეულოს, მისი ჭურჭლისა და მთელი ინვენტარის სანიტარულ მდგომარეობაზე;

ვალდებულია, ყოველდღიურად სველი წესით დაალაგოს სამზარეულო;

ვალდებულია, იცოდეს კვბისა და კულინარული ნაწარმის ხარისხისადმი არსებული მოთხოვნები, ბავშვთა რაციონალური კვების საფუძვლები, მენიუს შედგენის წესი, პრო-

დუქტების აღრიცხვისა და ნორმების გაცემის წესი, ნედლეულის გახარჯვის ნორმები ვალდებულია, ყოველი წლის დასაწყისში ჯანმრთელობის ცნობა წარმოადგინოს. (ჭიების მატარებელზე, ბაქტერიულ და კანის დაავადებებზე), პროდუქტების შენახვის ვადები და წესები.

დარაჯის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება სამეურნეო ნაწილის კოორდინატორს;

საჭიროების შემთხვევაში ხელმძღვანელობს ევაკუაციის პროცესს;

პასუხისმგებელია, რომ ბაგა - ბაღის ეზოსა და შენობაში არ მოხვდნენ ისეთი პირები, რომელთაც ამის უფლება არ აქვთ;

ვალდებულია, ყოველდღე შეამოწმოს ეზოს უსაფრთხოება, ღობე, საფარი, სათამაშოები;

ვალდებულია, დაიცვას შენობის უსაფრთხოება;

ვალდებულია, იცოდეს სახანძრო სამსახურის საპატრულო პოლიციის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ტელეფონები.

დამლაგებლის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორს;

ყოველ ორ საათში ერთხელ სველი წესით წმენდს მისთვის გამოყოფილი ჯგუფების საპირფარეშოებს;

დღის ბოლოს ეზოში არსებულ ქვიშის ყუთებს სახურავს აფარებს;

დღის ბოლოს სველი წესით ალაგებს მისთვის განკუთვნილ ოთახებს, დერეფნებს, ეზოს და ეზოში არსებულ სათამაშოებს ასუფთავებს;

ვალდებულია დაიცვას ბაგა-ბაღში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

მრეცხავის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორს;

ყოველი კვირის ბოლოს რეცხავს აღსაზრდელების თეთრეულსა და პირსახოცებს;

თვეში ორჯერ რეცხავს რბილ სათამაშოებს;

ყოველდღიურად რეცხავს მისთვის გამოყოფილი ჯგუფის ჭურჭელს;

ვალდებულია, დაიცვას ბაგა-ბაღში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დამატებითი პერსონალი

საქმისმწარმოებლის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება დირექტორს;

აღრიცხავს პერსონალთა დაგვიანების ჟურნალს;

უზრუნველყოფს დოკუმენტების (წერილები, განცხადებები, ბრძანებები, განკარგუ-

ლებები, ოქმები და სხვა დოკუმენტები) სამუშაო ვერსიის მომზადებას;

ახდენს გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციას;

აწარმოებს საოფისე დოკუმენტაციასა და არქივს;

დირექტორის თანხმობის შემთხვევაში მოთხოვნის შესაბამისად გასცემს საჯარო ინ-ფორმაციას;

პასუხისმგებელია მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმასა და განახლებაზე;

პასუხისმგებელია თანამშრომელთა და აღსაზრდელთა პირადი საქმეების მოწესრი-გებაზე, ყველა საჭირო დოკუმენტაციის არსებობასა და შენახვაზე;

ვალდებულია, დაესწროს თანამშრომელთა შეკრებებს. თუ საპატიო მიზეზით დასწ-რებას ვერ ახერხებს, ამის შესახებ ხელმძღვანელს წინასწარ, ერთი დღით ადრე უნდა შეატყობინოს. სამჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ორგანი-ზაციის ხელმძღვანელი თანამშრომელს შენიშვნას აძლევს;

ვალდებულია, მოიძიოს მასალები ბაგა-ბაღის ვებ-გვერდისათვის და მეთვალყურეობა გაუწიოს მის სისტემატურ განახლებას.

სპეციალური განათლების პედაგოგი

ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს;

საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან ერთად ხელმძღვანელობს ფსი-ქოლოგისა და ლოგოპედის აყვანას;

განათლების კოორდინატორს ყოველი თვის ბოლოს შემდეგი თვის მუშაობისათვის საჭირო სათამაშოებისა და მასალების ჩამონათვალს გადასცემს;

ახდენს ბავშვის საჭიროებების შეფასებას ბაგა-ბაღის გარემოსთან;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ბაგა-ბაღის გარემოში ჩართვის მიზნით თანამშრომლობს აღმზრდელებთან და თანაშემწეებთან;

ევალება სპეციალური მექანიზმების შემუშავება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელების ჯგუფში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

აწარმოებს აღსაზრდელის შეფასების დოკუმენტაციას განვითარების ყველა სფეროში და აღნიშნავს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს;

სახავს გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს და გეგმავს ინტერვენციას;

განსაზღვრავს დახმარების ფორმებს კონკრეტული აღსაზრდელისათვის კონკეტული სასწავლო აქტივობის შესრულების პროცესში;

განსაზღვრავს ინდივიდუალურ მიზნებს და განვითარების ინდივიდუალური გეგმა მის შესაბამისობაში მოჰყავს;

თითოეული ბავშვის შესახებ მომზადებულ ანგარიშს რეგულარულად, თვეში ერთხელ წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს;

უზრუნველყოფს ბაღის პერსონალისა და აღსაზრდელების ინფორმირებულობას შეზ-ღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის შესახებ;

ახდენს აღსაზრდელის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში განათლების კოორდი-ნატორს წარუდგენს ანგარიშს ბავშვის ბაგა-ბაღში დამატებით ერთი წლით დატოვების

საჭიროების შესახებ;

ვალდებულია, დაესწროს თანამშრომელთა შეკრებებს, რომელიც ყოველ კვირას იმართება. თუ საპატიო მიზეზით დასწრებას ვერ ახერხებს, ამის შესახებ ხელმძღვანელს წინასწარ, ერთი დღით ადრე უნდა შეატყობინოს. სამჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელი შენიშვნას აძლევს თანამშრომელს;

ვალდებულია, მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელისთვის საჭირო სპეციალისტებთან (პედიატრი, ნეიროფსიქოლოგი და სხვა) და მშობელთან. მიიღოს მათგან რეკომენდაციები და კონსულტაცია;

ვალდებულია, მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან და ყველა იმ აღმზრდელთან, რომლის ჯგუფშიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი იმყოფება,

ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურობა აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ;

უფლებამოსილია, მოითხოვოს მუშაობისათვის საჭირო მასალის დროულად მოწოდება;

უფლებამოსილია, კონკრეტული აღსაზრდელის საჭიროებიდან გამომდინარე მის აღმზრდელს ან აღმზრდელის თანაშემწეს მიუთითოს განსხვავებული მიდგომის აუცილებლობაზე.

ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს;

მონაწილეობს მულტიდისციპლინარული გუნდის მუშაობაში;

ყოველი თვის ბოლოს განათლების კოორდინატორს გადასცემს შემდეგი თვის მუშაობისათვის საჭირო სათამაშოებისა და მასალების ჩამონათვალს;

პედაგოგებთან და მშობელთან ერთად იმ ღონისძიებათა გეგმას სახავს, რომელიც აღსაზრდელს პრობლემის დაძლევაში დაეხმარება;

თვალყურს ადევნებს და აღრიცხავს, როგორ ხორციელდება მისი და პედაგოგის მიერ შემუშავებული გეგმა, რამდენად შედეგიანია ის და საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს კორექტივები;

ეხმარება პედაგოგს სხვადასხვა სპეციალისტების მიერ რეკომენდირებული პროგრამის განხორციელებაში;

პერიოდულად, დირექტორთან შეთანხმებით, აწყობს სემინარს ან სხვა სახის სამუშაო შეხვედრას მშობელთან ან პედაგოგიურ პერსონალთან სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლების საკითხზე;

კონკრეტულ აღსაზრდელთან დაკავშირებით მშობელსა და პედაგოგიურ პერსონალს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას უწევს;

განსაზღვრავს სავარაუდო პრობლემათა სფეროს;

ვალდებულია, დაესწროს თანამშრომელთა შეკრებებს, რომელიც ყოველ კვირას იმართება. თუ საპატიო მიზეზით დასწრებას ვერ ახერხებს, ამის შესახებ ხელმძღვანელს წი-

ნასწარ, ერთი დღით ადრე უნდა შეატყობინოს. სამჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელი თანამშრომელს შენიშვნას აძლევს;

ვალდებულია, ყოველი თვის ბოლოს წერილობითი ანგარიში ჩააბაროს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს;

ვალდებულია, აღსაზრდელზე დაკვირვების გზით დაეხმაროს აღმზრდელს მისი ქცევის მართვაში;

ვალდებულია, განსაზღვროს, საჭიროებს თუ არა აღსაზრდელი დამატებით დიაგნოსტირებას. აუცილებლობის შემთხვევაში მიავლენს შესაბამის სპეციალისტთან: ლოგოპედი, ნეიროფსიქოლოგი, პედიატრი, ფსიქოთერაპევტი და ა. შ.

ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურობა აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ;

უფლებამოსილია, მოითხოვოს მუშაობისათვის საჭირო მასალის დროულად მოწოდება;

უფლებამოსილია, კონკრეტული აღსაზრდელის საჭიროებიდან გამომდინარე მის აღმზრდელს ან აღმზრდელის თანაშემწეს მიუთითოს განსხვავებული მიდგომის აუცილებლობაზე.

ლოგოპედის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს;

ჩართულია მულტიდისციპლინარული ჯგუფის მუშაობაში;

ყოველი თვის ბოლოს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს წერილობით ანგარიშს აბარებს;

ყოველი თვის ბოლოს განათლების პროგრამების კოორდინატორს შემდეგი თვის მუშაობისათვის საჭირო სათამაშოებისა და მასალების ჩამონათვალს გადასცმს;

აღსაზრდელებთან სპეციალური მეთოდების გამოყენებით მუშაობს, რათა გამოავლინოს და გამოასწოროს მეტყველების პრობლემები;

ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის ადგენს და ახორციელებს გეგმებს;

კონკრეტული აღსაზრდელის საჭიროებებიდან გამომდინარე მშობლებთან, აღმზრდელებთან და ფსიქოლოგთან ერთად მუშაობს;

ვალდებულია, დაესწროს თანამშრომელთა შეკრებებს. თუ საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს დასწრებას, ამის შესახებ ხელმძღვანელს წინასწარ, ერთი დღით ადრე უნდა შეატყობინოს. სამჯერ ზედიზედ არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელი თანამშრომელს შენიშვნას აძლევს;

ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, ბავშვი გადაამისამართოს სხვა სპეციალისტთან;

ვალდებულია, სისტემატურად გაეცნოს ლოგოპედიის თანამედროვე, უახლეს მონაცემებს და მიღწევებს. მუდმივად იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

ვალდებულია, მუშაობა ბაგა-ბაღების მართვის სტანდარტების შესაბამისად წარმართოს;

ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალურობა აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ;

უფლებამოსილია, მოითხოვოს მუშაობისათვის საჭირო მასალის დროულად მოწოდება;

უფლებამოსილია, კონკრეტული აღსაზრდელის საჭიროებიდან გამომდინარე მის აღმზრდელს ან აღმზრდელის თანაშემწეს მიუთითოს განსხვავებული მიდგომის აუცილებლობაზე.

მუშის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება სამეურნეო ნაწილის გამგეს;

უზრუნველყოფს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

ვალდებულია, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები დროულად და ხარისხიანად.

მებაღის უფლება-მოვალეობები

ექვემდებარება სამეურნეო ნაწილის გამგეს;

უზრუნველყოფს ეზოში ახალი ხეების, ყვავილების დარგვასა და მოვლას;

ვალდებულია, რომ მასზე დაკისრებული მოვალეობები დროულად და ხარისხიანად შეასრულოს.

დანართი

2.3. პერსონალის ურთიერთდაქვემდებარების სქემა



3.1. ბავშვის განვითარების პორტფოლიო

ბავშვის განვითარების პორტფოლიო

ჩემი ბაღის პორტფოლიო

ფოტო

ჩემი სახელი და გვარია ----------

მე ვარ ---------- *წლის*

იანვარი. კვირა #1

განვლილი თემა	ბავშვის მიღწევები	სირთულეები	შენიშვნა

შენიშვნა: ყოველი კვირის ბოლო ჩანაწერზე გთხოვთ ჩააკრათ ბავშვის ნამუშევრები, მუშაობის პროცესში გადაღებული ფოტოები და ა.შ.

მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრა

თარიღი: ———————————

შეხვედრას ესწრებოდნენ: ——————————————

შეხვედრის მიზანი	განხილული საკითხები	შენიშვნა

3.2. განვითარების ინდივიდუალური გეგმა

ზოგადი ინფორმაცია

აღსაზრდელი	
ბაღი	
ჯგუფი	
დაბადების თარიღი	
ასაკი	

მშობელი/მეურვე	
ტელეფონი	
მისამართი	
ისგ-ს შექმნის თარიღი	

აღსაზრდელის განვითარების ინდივიდუალური გეგმაზე პასუხისმგებელი პირი: ----------

შეხვედრის ტიპი	X (მონიშნეთ)	თარიღი
საწყისი შეხვედრა		
შეხვედრა საჭიროებით		
განსაზღვრული		
შეხვედრა I, II სემესტრის ბოლოს	I	
	II	
საბოლოო შეხვედრა/შეფასება		

ისგ შეხვედრის თარიღი: _____

განვითარების ინდივიდუალური გეგმის შეხვედრის მონაწილეები [2]

	მულტიდისციპლინური გუნდი	სახელი, გვარი	ტელეფონი
1	მშობელი/მეურვე		
2			
3	აღმზრდელი I ცვლა		
4	აღმზრდელი II ცვლა		
5	აღმზრდელის თანაშემწე		
6	განათლების პროგ. კოორდინატორი/მეთოდისტი		
7	ფსიქოლოგი		
8	სპეც. პედაგოგი		
9	სხვა სპეციალისტი		

აღსაზრდელის განვითარების ინდივიდუალური გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი:

2 ყოველი განვითარების ინდივიდუალური გეგმის შევსებისას ივსება ახალი ფურცელი

	მულტიდისციპლინური გუნდი	სახელი, გვარი	ტელეფონი
1	მშობელი/მეურვე		
2			
3	აღმზრდელი I ცვლა		
4	აღმზრდელი II ცვლა		
5	აღმზრდელის თანაშემწე		
6	განათლების პროგ. კოორდინატორი/მეთოდისტი		
7	ფსიქოლოგი		
8	სპეც. პედაგოგი		
9	სხვა სპეციალისტი		
10			

მშობლის პრიორიტეტი და ინტერესი

. . . . . .

მასწავლებლის სურვილი

. . . . . .

შეფასების შედეგები

სფერო	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
შემეცნების სფერო		
მეტყველება / კომუნიკაცია		
სოციალურ-ემოციური სფერო		
მოტორიკა		
თვითმოვლის უნარ-ჩვევები		
ქცევა		
საგანმანათლებლო გარემოს	რესურსი	ბარიერი

განვითარების ინდივიდუალური გეგმა

გრძელვადიანი მიზანი/მიზნები:

მოკლევადიანი მიზანი		თარიღი
1		
2		
3		
4		

განვითარების ინდივიდუალური გეგმა [3]

გრძელვადიანი მიზანი:

მოკლევადიანი მიზანი/ები:

3 ეს ფურცელი შესაძლებელია გამრავლდეს, თუკი დასახულია ერთზე მეტი მოკლევადიანი მიზანი

მიზნის შესაბამისი აქტივობები	მასალა	სად სრულდება აქტივობა	მასალის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი	აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
1				
2				
3				
4				
5				

განვითარების ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი[4]

განმხორციელებელი: . . . . . .

მიზანი:

მოკლევადიანი მიზნები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1					
2					
3					
4					
5					

შენიშვნა: აღწერეთ ქცევა შესაბამისი დღის სვეტში

4 ეს ფურცელი შესაძლებელია, გამრავლდეს და დაურიგდეს ყველა იმ სპეციალისტს, რომელებიც აღსაზრდელთან შესაბამისი მიზნის მიღწევაზე მუშაობენ

3.3. ბავშვის საინფორმაციო პაკეტი

ა) სარეგისტრაციო ბარათი

ბავშვის სახელი, გვარი ----------
დაბადების თარიღი ----------
მისამართი ----------

მშობლები

დედა
სახელი, გვარი ----------
ტელეფონი ----------
სამუშაო ადგილი ----------
მამა
სახელი, გვარი ----------
ტელეფონი ----------
სამუშაო ადგილი ----------

ოჯახთან დაახლოებული პირი (ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ მშობელთან ვერ ხერხდება დაკავშირება)

სახელი, გვარი ----------
ტელეფონი ----------

ბავშვის პედიატრი

სახელი, გვარი ----------
ტელეფონი ----------

ბავშვის ბაღიდან გაყვანაზე და მოყვანაზე უფლებამოსილი პირი

სახელი, გვარი ----------
ტელეფონი ----------
პირადობის ნომერი ----------

ბავშვის ბაღში ჩარიცხვის თარიღი: ----------
ჯგუფის ნომერი: ----------
აღმზრდელი: ----------
აღმზრდელის თანაშემწე: ----------

ბ) ჯანმრთელობის ბარათი

ჯანმრთელობის ცნობაში ალერგიისა და არაჰოსპოტალიზებული ტრავმების შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საიხის ინფორმაცია:

ბავშვის სახელი, გვარი ----------

დაბადების თარიღი ----------

ჯანმრთელობის მდგომარეობა

ალერგია

არაჰოსპიტალიზებული ტრავმა

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით

მხარდაჭერა ბაღის გარემოში

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე რა სახის დახმარებას საჭიროებს ბავშვი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (კვების დროს, გასვლით აქტივობებზე, ოთახში ან ეზოში თამაშისას და ა.შ.)

ე) ბაღში ბავშვის სამედიცინო ჩარევის /ინტერვენციის ბარათი

ბავშვის სახელი, გვარი ----------

თარიღი	დრო	ჯანმრთელობის პრობლემა	სამედიცინო ჩარევა/ინტერვენცია	გამოყენებული სამედიცინო საშუალება	სამედიცინო ინტერვენციაზე პასუხისმგებელი პირი	ხელმოწერა

ვ) მშობლის კითხვარი

ძვირფასო მშობლებო!

გთხოვთ, შეავსოთ ქვემოთ მოცემული კითხვარი. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია დაეხმარება ბაღის პერსონალს, უკეთ გაიცნოს თქვენი შვილი და მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები.

აღსაზრდელის სახელი და გვარი: ----------

დაბადების თარიღი: ----------

მშობლების სახელი და გვარი: ----------

ჩემს შვილს კარგად ეხერხება, შეუძლია (რისი გაკეთება)

ჩემი შვილის საყვარელი თამაშია ----------

ჩემი შვილის საყვარელი ზღაპარია ----------

ჩემი შვილის საყვარელი ზღაპრის პერსონაჟია ----------

ჩემი შვილის საყვარელი მულტფილმია ----------

ჩემი შვილის საყვარელი სატელევიზიო გადაცემაა ----------

ჩემი შვილის საყვარელი საკვებია ----------

როდესაც აღელვებულია ან ტირის, როგორ აწყნარებთ? (საყვარელი სათამაშო, რაიმე მისთვის განსაკუთრებული სიტყვები, უბრალოდ ჩახუტება თუ სხვა)

როდესაც არ ემორჩილება ზოგად წესებს, მაგალითად, ადის მაგიდაზე, ყრის ნივთებს, თმას წიწკნის ან ურტყამს დას/ძმას, როგორ იქცევით ასეთ შემთხვევაში?

4.1. რეკომენდებული პროდუქტები

№	პროდუქტის დასახელება
1	პური ხორბლის
2	შაქარი
3	მარილი (იოდირებული)
4	სოდა
5	საფუარი
6	ძმარი
7	ზეთი
8	კარაქი
9	კაკაო
10	ჩაი
11	მაწონი
12	რძე
13	რძის ფხვნილი
14	არაჟანი10 %
15	არაჟანი 20 %
16	ხაჭო ცხიმიანი
17	ხაჭო ნახევრად ცხიმიანი
18	ხაჭო უცხიმო
19	ყველი ქარხნული
20	ყველი მარილიანი ცხიმიანი
21	ქათამი (ფილე)
22	საქონლის ხორცი
23	საქონლის ღვიძლი
24	თევზი (ფილე)
25	ვერმიშელი
26	მაკარონი
27	წიწიბურა
28	შვრია
29	ჰერკულესი
30	ფეტვი
31	ბრინჯი
32	მანი
33	ბარდა
34	ლობიო
35	მწვანე ლობიო
36	კარტოფილი
37	კომბოსტო თავი
38	კომბოსტო ყვავილოვანი
39	სტაფილო
40	ჭარხალი
41	ბადრიჯანი
42	ყაბაყი
43	კიტრი
44	პომიდორი
45	სალათის ფურცლები
46	წიწაკა წითელი ტკბილი
47	წიწაკა მწვანე ტკბილი
48	გოგრა
49	ხახვი
50	ხახვი მწვანე
51	ნიორი
52	ქინძი
53	კამა
54	ოხრახუში
55	გარგარი
56	კომში
57	ალუჩა
58	ალუბალი
59	ატამი
60	ქლიავი
61	ბალი
62	ვაშლი
63	ფორთოხალი
64	ლიმონი
65	მანდარინი
66	კივი
67	შინდი
68	კურაგა
69	ქიშმიში

70	ჯემი
71	ვაფლი
72	თაფლი
73	კანფეტი ხილის ჯემის შიგთავისით
74	ორცხობილა
75	ხილფაფა
76	შოკოლადის კარაქი
77	ფქვილი ხორბლის უმაღლესი
78	ფქვილი ხორბლის 1 ხარისხის
79	ფქვილი ხორბლის 2 ხარისხის
80	ფქვილი სიმინდის
81	ფუნთუშა
82	ვანილი
83	კვერცხი

შენიშვნა: რეკომენდებულ პროდუქტებში მითითებული ხილიდან მშობლის თანხმობის შემთხვევაში აღსაზრდელს ცოცხალი სახით ნებისმიერი ხილი შეიძლება მიეცეს, გარდა კომშისა და შინდისა.

კომშისა და შინდის გამოყენება მხოლოდ კომპოტებშია შესაძლებელი. კომპოტის დასამზადებლად ასევე რეკომენდებულ პროდუქტებში ჩამოთვლილი ყველა სხვა დანარჩენი ხილის გამოყენება შეიძლება.

ციტრუსების – ფორთოხალი, მანდარინი და კივი – ბაგა-ბაღში გამოყენება შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ მშობელთან შეთანხმებით. ლიმონის გამოყენება ნებადართულია ჩაიში.

გარგარი, ალუჩა, ალუბალი, ატამი, ქლიავი და ბალი შესაძლებელია, ბაგა-ბაღში გამოვიყენოთ, მაგრამ მხოლოდ მათი შემოსვლის განსაზღვრულ სეზონზე და რეკომენდებულია კურკაგამოცლილი.

4. 2. ვიზუალური მინიშნება კვების პროცესში





5.1. საპირფარეშოს დალაგების აღრიცხვის ფურცელი

საპირფარეშოს დალაგების აღრიცხვის ფურცელი საპირფარეშოს კარზე შიგნიდან უნდა იყოს გაკრული. დასუფთავება ზუსტად მითითებულ საათზე უნდა ხდებოდეს. დამლაგებელი უნდა უთითებდეს თარიღს, უკვე განხორციელებულ აქტივობას აღნიშნავდეს X-ით. შესრულებულ სამუშაოს ადასტურებდეს ხელმოწერით.

თვე, რიცხვი ----------

ორშაბათი	უნიტაზის გაწმენდა	ნიჟარის გაწმენდა	სახელურების გაწმენდა	ნაგვის გადაყრა	იატაკის მოწმენდა	დამლაგებლის ხელმოწერა
11:00						
13:00						
15:00						
17:00						

თვე, რიცხვი ----------

სამშაბათი	უნიტაზის გაწმენდა	ნიჟარის გაწმენდა	სახელურების გაწმენდა	ნაგვის გადაყრა	იატაკის მოწმენდა	დამლაგებლის ხელმოწერა
11:00						
13:00						
15:00						
17:00						

თვე, რიცხვი----------

ოთხშაბათი	უნიტაზის გაწმენდა	ნიჟარის გაწმენდა	სახელურის გაწმენდა	ნაგვის გადაყრა	იატაკის მოწმენდა	დამლაგებლის ხელმოწერა
11:00						
13:00						
15:00						
17:00						

თვე, რიცხვი ----------

ხუთშაბათი	უნიტაზის გაწმენდა	ნიჟარის გაწმენდა	სახელურების გაწმენდა	ნაგვის გადაყრა	იატაკის მოწმენდა	დამლაგებლის ხელმოწერა
11:00						
13:00						
15:00						
17:00						

თვე, რიცხვი ----------

პარასკევი	უნიტაზის გაწმენდა	ნიჟარის გაწმენდა	სახელურების გაწმენდა	ნაგვის გადაყრა	იატაკის მოწმენდა	დამლაგებლის ხელმოწერა
11:00						
13:00						
15:00						
17:00						

5.2. ოთახების დალაგების ფურცელი

ოთახების დალაგების აღრიცხვის ფურცელი ოთახში უნდა იყოს გამოკრული. დასუფთავება ზუსტად მითითებულ საათზე უნდა ხდებოდეს. დამლაგებელი უნდა უთითებდეს თარიღს, უკვე განხორციელებულ აქტივობას აღნიშნავდეს X-ით. შესრულებულ სამუშაოს ადასტურებდეს ხელმოწერით.

თვე, რიცხვი ----------

ორშაბათი	იატაკი	ხალიჩა		
	კარადები	ხელისმოსაკიდები (კარებზე, კარადებზე ა.შ.)	და სხვა	ხელმოწერა
დღის ბოლო				

თვე, რიცხვი ----------

სამშაბათი	იატაკი	ხალიჩა	კარადები	ხელისმოსაკიდები (კარებზე, კარადებზე ა.შ.)	და სხვა	ხელმოწერა
დღის ბოლო						

თვე, რიცხვი ----------

ოთხშაბათი	იატაკი	ხალიჩა	კარადები	ხელისმოსაკიდები (კარებზე, კარადებზე ა.შ.)	და სხვა	ხელმოწერა
დღის ბოლო						

თვე, რიცხვი ----------

ხუთშაბათი	იატაკი	ხალიჩა	კარადები	ხელისმოსაკიდები (კარებზე, კარადებზე ა.შ.)	და სხვა	ხელმოწერა
დღის ბოლო						

თვე, რიცხვი ----------

პარასკევი	იატაკი	ხალიჩა	კარადები	ხელისმოსაკიდები (კარებზე, კარადებზე ა.შ.)	და სხვა	ხელმოწერა
დღის ბოლო						

5.3.დღის ბოლოს დალაგების აღრიცხვის ფურცელი

დღის ბოლოს დალაგების აღრიცხვის ფურცელი შენობის შესასვლელში უნდა იყოს გამოკრული. დასუფთავება სამუშაო საათების დასრულების შემდეგ უნდა ხდებოდეს. დამლაგებელი უნდა უთითებდეს თარიღს, უკვე განხორციელებულ აქტივობას აღნიშნავდეს X-ით. შესრულებულ სამუშაოს ადასტურებდეს ხელმოწერით.

თვე, რიცხვი ----------

ორშაბათი	სამზარეულოს იატაკი	შესასვლელის იატაკი	მოაჯირები	ეზოს დალაგება	ეზოს დალაგება (ქვიშის ყუთის დაფარება)	ხელმოწერა
დღის ბოლო						

თვე, რიცხვი ——————————————

სამშაბათი	სამზარეულ ოს იატაკი	შესასვლელის იატაკი	მოაჯირები	ეზოს დალა-გება (ქვიშის ყუთის დაფა-რება)	დამლაგებლის ხელმოწერა
დღის ბოლო					

თვე, რიცხვი ——————————

ოთხშაბათი	სამზარეულ ოს იატაკი	შესასვლელის იატაკი	მოაჯირები	ეზოს დალა-გება (ქვიშის ყუთის დაფა-რება)	დამლაგებლის ხელმოწერა
დღის ბოლო					

თვე, რიცხვი——————————————

ხუთშაბათი	სამზარეულ ოს იატაკი	შესასვლელის იატაკი	მოაჯირები	ეზოს დალა-გება (ქვიშის ყუთის დაფა-რება)	დამლაგებლის ხელმოწერა
დღის ბოლო					

თვე, რიცხვი——————————

პარასკევი	სამზარეულ ოს იატაკი	შესასვლელის იატაკი	მოაჯირები	ეზოს დალა-გება (ქვიშის ყუთის დაფა-რება)	დამლაგებლის ხელმოწერა
დღის ბოლო					

5.4.თეთრეულის, პირსახოცების რეცხვის აღრიცხვის ფურცელი

მრეცხავის მიერ შესრულებული სამუშაოების აღრიცხვის ფურცელი სამრეცხაოში უნდა იყოს გამოკრული და შეივსოს კვირის ბოლოს. მრეცხავი უნდა უთითებდეს თარიღს, უკვე განხორციელებულ აქტივობას აღნიშნავდეს X-ით. შესრულებულ სამუშაოს ადასტურებდეს ხელმოწერით.

თვე, რიცხვი ----------

პარასკევი	თეთრეული	პირსახოცი	რბილი სათამა-შოები	მრეცხავის
ხელმოწერა				

5.5. ვიზუალური მინიშნებები ხელის დაბანის დროს





5.6. ვიზუალური მინიშნებები ტუალეტის მოხმარების დროს

6.1. პირველადი დახმარება

პირველადი დახმარება გარეგანი სისხლდენის დროს

ძლიერი გარეგანი სისხლდენის დროს დაზიანებულ არეს ტანსაცმელი მოაშორეთ. დაათვალიერეთ ჭრილობა. დარწმუნდით, რომ ჭრილობაში არ არის მახვილი საგნები (მაგალითად, მინის ნამსხვრევები), რომლებითაც შეიძლება თქვენც დაზიანდეთ. ჭრილობაზე თითებით ან მტევნით ზეწოლა მოახდინეთ. სასურველია, ჭრილობაზე წინასწარ დააფინოთ სუფთა საფენი, მაგრამ ნუ დაკარგავთ დიდ დროს ამ საფენის მოსაძებნად. თუ ჭრილობაში არის უცხო სხეული, არ ამოიღოთ (უცხო სხეულის ამოღებისას შეიძლება გაძლიერდეს სისხლდენა ან გაღრმავდეს დაზიანება). სისხლდენის შეჩერების მიზნით, მიიტანეთ ჭრილობის კიდეები უცხო სხეულთან და მოახდინეთ ზეწოლა მის გარშემო.

თუ ჭრილობა ხელზეა და თუ შესაძლებელია, ასწიეთ დაზარალებულის დაზიანებული კიდური (ხელი) გულის დონეზე ზემოთ. ამით შემცირდება სისხლის ნაკადი დაზიანებულ არეში, რაც შეუწყობს ხელს კოლტის განვითარებას და სისხლდენის შეჩერებას. კიდუ-

რების მაღლა აწევა არ არის რეკომენდებული თუ კიდური შეშუპებული, დეფორმირებული ან მტკივნეულია, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, იყოს მოტეხილობა ან ამოვარდნილობა.

სისხლდენის გასაჩერებლად დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები (ჩაუდეთ ფეხებს ქვეშ ბალიში). ამ მდებარეობაში მცირდება სისხლის დინება ფეხებისკენ და სისხლი მეტი რაოდენობით მიედინება ადამიანის სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილებისაკენ (მაგალითად, ტვინში, გულში). ამით თქვენ დაიცავთ დაზარალებულს ზოგადი მდგომარეობის გაუარესებისგან.

დააფიქსირეთ კიდური ისე, როგორც მოტეხილობის შემთხვევაში.

დროულად გამოიძახეთ სამედიცინო სამსახური. სასურველია, სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე დაზარალებული იწვეს ზურგზე და ფეხები ზემოთ ჰქონდეს აწეული.

ცხვირიდან სისხლდენის დროს უმჯობესია:

- ბავშვი იყოს ჯდომით მდგომარეობაში, რომ ნაკლები სისხლი გადაყლაპოს;
- გაუსუფთავეთ ბავშვს ცხვირი სისხლის კოლტებისაგან;
- დაახრევინეთ თავი ოდნავ წინ და დააჭირეთ ცხვირის ძვლოვან და რბილ ნაწილებს საჩვენებელი და ცერა თითები და ჩამოსწიეთ ნიკაპისაკენ მინიმუმ 10 წთ-ს განმავლობაში;
- თუ სისხლდენა ისევ გაგრძელდა, ზეწოლა განაგრძეთ კიდევ 10 წუთის განმავლობაში.

პირველადი დახმარება დამწვრობის დროს

დამწვრობის მიზეზი შეიძლება იყოს ელექტროდენი, ცხელი საგნები, ცეცხლი, ქიმიკატები, მზე, ცხელი წყალი ან სხვა სითხეები.

რაც უფრო დიდია დამწვრობით დაზიანებული სხეულის ზედაპირის ფართობი, მით უფრო სერიოზულია დამწვრობა, აგრეთვე, მნიშვნელოვანია, სხეულის რომელი უბანია დაზიანებული და რამ გამოიწვია დაზიანება.

ექიმმა უნდა დაადგინოს, სხეულის რა ფართობია დამწვარი. თუ დამწვარია 10%-ზე მეტი, ბავშვი საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას.

საერთოდ, უფროს ბავშვებში და მოზრდილებში ზედა კიდური სხეულის ფართის 9%-ია, ქვედა – 18%, მკერდი და ზურგი ცალ-ცალკე – 18%, თავი და კისერი ცალ-ცალკე – 9%.

I ხარისხის დამწვრობა იწვევს მხოლოდ სიწითლეს. ის, როგორც წესი, არ იწვევს გართულებებს და შეიძლება სახლის პირობებში განიკურნოს, თუმცა თუ დამწვრობა მოიცავს სხეულის 5%-ზე მეტ ფართობს, საჭიროა ექიმთან მისვლა.

ექიმი გამოიძახეთ დაუყოვნებლივ, თუ:

- სიწითლესთან ერთად კანზე არის სითხიანი ბუშტუკები (II ხარისხის დამწვრობა);
- არის უბნები, სადაც დაზიანებულია კანის ღრმა შრეები – მისი ზედაპირი მკვრივი და მოყავისფროა (III ხარისხის დამწვრობა – ასეთ უბნებზე, ხშირად, გამქრალია მგრძნობელობა. ასეთი დამწვრობა ტოვებს ნაწიბურებს და, საერთოდ, საჭიროებს კანის გადანერგვას);
- არის დამწვრობა კიდურების, თავის, თვალების, ყურების ან სასქესო ორგანოების

მიდამოში;

- ბავშვი სუნთქავს სწრაფად, ქოშინებს;
- დამწვრობა მოხდა ხანძრის პირობებში, ჩაკეტილ სივრცეში;
- დამწვრობის მიზეზია ელექტროდენი;
- დამწვრობა გამოიწვია მჟავეებმა ან ტუტეებმა.

დამწვრობის დროს უნდა დადგინდეს, საჭიროა თუ არა ტეტანუსზე იმუნიზაცია, რასაც ექიმი გადაწყვეტს.

ექიმის მოსვლამდე:

- დაზარალებულს სასწრაფოდ გახადეთ ტანსაცმელი;
- დაზიანებული ზედაპირი 5-10 წთ-ით შეუშვირეთ გამდინარე წყლის ჭავლს. არ გამოიყენოთ მალამო, ფხვნილი ან ცხიმი;
- ნუ გახეთქავთ დამწვრობის შემდეგ წარმოქმნილ ბუშტუკებს;
- დაფარეთ ჭრილობა სტერილური საფენით ან რომელიმე არამწებავი სუფთა ქსოვილის ნაჭრით;
- როდესაც დამწვრობა ახალია, ცივი საფენი, მაგალითად, ნაჭრის ტომსიკაში ჩაწყობილი ყინულის ნატეხები ტკივილს ამცირებს – გამოიყენეთ ცივი საფენი 15 წთ-ის განმავლობაში;
- მიეცით ტკივილგამაყუჩებელი (მაგ. პარაცეტამოლი);
- დაალევინეთ დიდი რაოდენობით სითხეები.

თუ დამწვრობა მოხდა ქიმიური საშუალებებით:

- თუ ბავშვს კანზე ან თვალებზე რომელიმე ქიმიური ნივთიერება მოხვდა, სასწრაფოდ ჩამობანეთ დიდი რაოდენობით წყლით: მიიყვანეთ ბავშვი შხაპთან და 30 წთ-ის განმავლობაში ბანეთ თვალები წყლის მუდმივი ნაზი ნაკადით;
- მოაცილეთ დაბინძურებული ქსოვილი. თუ ქსოვილი ეკვრის დამწვრობის ადგილს, დაასველეთ იგი თბილი წყლით, რათა ადვილად მოშორდეს სხეულს. ნახვევის გამოცვლის დროსაც კარგად გაასუფთავეთ დაზიანებული არე თბილი წყლითა და საპნით;
- ფისით დამწვრობისას მოაშორეთ ფისი მცენარეული ზეთით;
- დაუკავშირდით თქვენს ექიმს ან კლინიკას.

გულყრა

მართალია, დიდი გულყრა საკმაოდ შემაშინებლად გამოიყურება, მაგრამ სიცოცხლისათვის საშიში არ არის. ერთადერთი, რაც ამ დროს საჭიროა, არის ბავშვის მშვიდად წოლა გულყრის დამთავრებამდე. არ უნდა ვეცადოთ კრუნჩხვის დროს ხელ-ფეხის იძულებით დაჭერას, პირში, კბილებს შორის, მაგარი საგნის ჩადებას ენის მოკვნეტის თავიდან აცილების მიზნით, ამ მოქმედებებმა შეიძლება კბილების, სახის და კიდურების დაზიანება გამოიწვიოს. გულყრის დროს შესაძლებელია, ადამიანს თავქვეშ რბილი ნივთი (ბალიში) ამოვუდოთ, რითიც ავიცილებთ თავის ტრავმას. დიდი გულყრის ხანგრძლივობა 3-5 წუთია და ექიმის გამოძახება, როგორც წესი, საჭირო არ არის.

კომენტარი: მიუხედავად იმისა, რომ გულყრის შემდგომ ბავშვს ეძინება, ხშირად მას სააღმზრდელო დაწესებულებიდან სახლში უშვებენ. ეს არ არის აუცილებელი (არ არის რეკომენდებული), თუ არ გვაქვს ექიმის სპეციალური მითითება.

ექიმის გამოძახება აუცილებელია, თუ ბავშვს აქვს:

- √ დიდი ეპილეფსიური გულყრა, რომელიც 5 წუთზე მეტხანს გრძელდება;
- √ გულყრის ეპიზოდი ცნობიერების დაბრუნების გარეშე რამდენჯერმე მეორდება (თუნდაც ორჯერ);
- √ გულყრიდან 20 წუთის გასვლის შემდგომ ბავშვი არ რეაგირებს.

მცირე გულყრების დროს ყურადღებას იქცევს ბავშვის არეული, დაბნეული მდგომარეობა. ექიმისთვის სასარგებლოა თვითმხილველის მიერ გულყრის დაწვრილებითი აღწერა, რადგან ეს ეხმარება მას დიაგნოსტიკაში.

კომენტარი: თუ ბავშვი გულყრის საწინააღმდეგო მედიკამენტებს იღებს, ძალიან მნიშვნელოვანია მისი დოზებისა და მიღების დროის მკაცრი დაცვა. დანიშნული წამლის მიღების გამოტოვება დაუშვებელია.

ასთმა

თუ აღსაზრდელს აქვს ასთმის დიაგნოზი, სააღმზრდელო დაწესებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ყველა ასთმიან ბავშვს დანიშნული აქვს სპეციფიკური სამედიცინო მკურნალობა, რომელიც მოიცავს:

- ♦ წერილობით ინსტრუქციას იმის თაობაზე, როგორ ავარიდოთ აღსაზრდელს სიტუაციები, რომელიც ასთმის შეტევის პროვოცირებას იწვევს;
- ♦ მედიკამენტების ტიპი, დოზა და მიღების წესი (მაგ. ინჰალატორის გამოყენება).

ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დაწესებულებაში ასთმის შეტევის პრევენციისა და მენეჯმენტისათვის საჭირო მედიკამენტების არსებობას. პერსონალს შეუძლია მედიკამენტების სწორი დოზითა და გზით გამოყენება.

დაწესებულება შეეცდება ასთმის შეტევის მაპროვოცირებელი აგენტების შემცირებას:

– არაალერგიული მასალის გამოყენებას ინტერიერში;

– ცხოველების არდაშვება (განსაკუთრებით ბეწვის მქონე);

– სიგარეტის მოწევის აკრძალვა დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე;

– სუნამოების და სხვა მკვეთრი სუნის კოსმეტიკის გამოყენების შეზღუდვა;

– დაზიანებული წყლის მილების (საიდანაც წვეთავს) სასწრაფოდ შეკეთება;

– ხალიჩებისა და ფარდაგების მტვერსასრუტით ხშირი გაწმენდის უზრუნველყოფა;

– ყველა ტიპის საკვების ისეთ ჭურჭელში და კონტეინერში შენახვა, რომელსაც სახურავი მჭიდროდ ექნება მორგებული. საჭმლის ნარჩენების დროული ალაგება მაგიდებიდან.

აღმზრდელები ატყობინებენ მშობლებს:

- • თუ ბავშვის სიმპტომები გრძელდება ასთმის შეტევის დროს გამოსაყენებელი მედი-

კამენტის ერთი დოზის მიღების შემდეგაც (განსაკუთრებით მაშინ, თუ სიმპტომები იმდენად მძიმეა, რომ ხელს უშლის ბავშვს თამაშში, საკვების მიღებას, ძილსა და სხვა აქტივობების განხორციელებაში);

- თუ ერთი დღის განმავლობაში მოუწიათ მედიკამენტის ორი ან მეტი დოზის გამოყენება;
- თუ სიმპტომები არის მწვავე;
- გადაუდებლად შეატყობინეთ ექიმს/სასწრაფო დახმარებას თუ: ბავშვი წვალობს და ცდილობს სუნთქვას, ჭიმავს, იხრება და ძაბავს მუცლისა და კისრის კუნთებს. ბავშვს აღენიშნება სიარულისა და ჭამის გაძნელება სუნთქვის პრობლემის გამო.

9.1. ადაპტაციის ზომები

ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა შშმ ბავშვებისათვის

ძირითადი ზომები:

- √ კარის მინიმალური სიგანე ერთი ეტლით გავლისათვის – 81.5 სმ; დერეფნის მინიმალური სიგანე ერთი ეტლით გავლისათვის – 91.5 სმ;
- √ დერეფნის მინიმალური სიგანე ორი ეტლით გავლისათვის – 152.5 სმ;
- √ ეტლის 180 გრადუსით მოტრიალებისთვის საჭირო სივრცე – დიამეტრი 152.5 სმ;
- √ მინიმალური ფართობი ეტლისა და მისი მომხმარებლისათვის – 76×122 სმ.

პანდუსები

ახალი მშენებლობისას პანდუსის მაქსიმალური ქანობი უნდა განისაზღვროს – 1:12. თითოეული პანდუსის მაქსიმალური სიმაღლე უნდა განისაზღვროს – 76 სმ. იმ შემთხვევაში, როდესაც პანდუსის სიმაღლე არ აღემატება 16 სმ-ს, მისი დახრილობა შეიძლება იყოს მაქსიმუმ 1:10, ხოლო 8 სმ სიმაღლის შემთხვევაში მაქსიმუმ 1:8. პანდუსის მინიმალური სიგანე, მოაჯირის ან სხვა მიმდებარე ელემენტების გარეშე, უნდა იყოს 91.5 სმ. 7.5.2 პანდუსს თავში და ბოლოში უნდა ჰქონდეს ბაქანი, მინიმუმ იმ სიგანის, რა სიგანისაც იქნება თავად პანდუსი, ბაქნის მინიმალური სიგრძე უნდა იყოს 152.5 სმ. იმ შემთხვევაში, როდესაც პანდუსი იცვლის მიმართულებას ბაქანთან, ბაქნის მინიმალური ზომები უნდა იყოს 152.5 × 152.5 სმ.

მოაჯირები

იმ შემთხვევაში, თუ პანდუსის სიმაღლე აღემატება 15 სმ-ს, მას ორივე მხრიდან უნდა მიჰყვებოდეს მოაჯირი. მოაჯირი უნდა იყოს პანდუსის პარალელური. მოაჯირი კედლიდან უნდა იყოს მოშორებული მინიმუმ 4 სმ-ით. მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს 86,5 – 96,5 სმ იატაკის დონიდან. მოაჯირის ბოლოები უნდა იყოს მომრგვალებული.

კარი

ეტლით გასავლელ გზაზე დაუშვებელია ტრიალა კარის განთავსება. კარის მინიმალური სიგანე უნდა იყოს 81.5 სმ და უნდა იღებოდეს 90 გრადუსით. ორფრთიანი კარის შემთხვევაში, როცა თითოეული ფრთა იღება დამოუკიდებლად, მინიმუმ ერთი ფრთა უნდა იყოს 81.5 სმ სიგანის. კარის საკეტები და სახელურები არ უნდა იყოს განთავსებული 122 სმ-ზე მეტ სიმაღლეზე იატაკის დონიდან. კარები უნდა იხურებოდეს ნელა, ავტომატურად და უსაფრთხოდ.

ტუალეტი

შენობაში უნდა იყოს ადაპტირებული ტუალეტი. ტუალეტის მინიმალური ზომები უნდა იყოს:

- √ 122 × 142 სმ (როცა შესვლა ხდება განივი მხრიდან);
- √ 122 × 167 სმ (როცა შესვლა ხდება გრძივი მხრიდან).

უნიტაზის სიმაღლე უნდა იყოს 43-48,5 სმ. ეტლიდან უნიტაზზე გადასაჯდომად განკუთვნილი მოაჯირები, რომლებიც დამონტაჟებული იქნება კედელზე, განთავსებული უნდა იყოს 91,5 სმ-ის სიმაღლეზე იატაკის დონიდან. ხელსაბანები განთავსებული უნდა იყოს 86,5 სმ-ის სიმაღლეზე.

9.2. ეზოს უსაფრთხოების შემოწმების ფურცელი

ეზოს უსაფრთხოების შემოწმებისას უნდა მოხდეს საქანელების ჭანჭიკების, ზედაპირის, საკიდების და ა.შ. შემოწმება. ასევე ეზოს საფარის და ღობის დათვალიერება.

თარიღი: ----------

ორშაბათი

საქანელები	სასრიალოები	აიწონა-დაიწონა	საფარი	ღობე	და სხვა	სამეურ. ნაწილის ხელმოწერა

გამოყენებული ლიტერატურა:

ბავშვთა აღზრდისა და განვითარების ასოციაცია ,,ბაგა“ (2010), სკოლამდელი დაწესებულების კვებისა და ჰიგიენის სტანდარტი (გამოუქვეყნებელი დოკუმენტი);

თ. ბერძენიშვილი, მ. ხერხეულიძე, ნ. მელაძე, ე. კანდელაკი, ნ. ლაბარტყავა, ი. აფთარაშვილი (2010), ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდი;

ი. მაისურაძე (2010), კვება და მისი მნიშვნელობა ბავშვების ჯანმრთელობისათვის (გამოუქვეყნებელი დოკუმენტი);

ნ. მელაძე (2011), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდი;

საქართველოს პორტიჯის ასოციაცია (2010), სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებისათვის – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქ. თბილისის ბაგა-ბაღებისათვის (გამოუქვეყნებელი დოკუმენტი);

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. საქართველოს სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმების სახელმწიფო სისტემა. კვების ორგანიზაცია ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში (2002);

ჟ. სკუნჰეიმი, ა. ლაღიძე, გ. ჯავაშვილი, გ. კიკნაძე, გ. მელიქიშვილი (2010), რეკომენდაციები განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების ბავშვების სკოლამდელი განათების რეგულაციის საკითხებზე. საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ცენტრი – GLHG, ჰოლანდია (გამოუქვეყნებელი);

თ. ქავთარაძე (2010), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემო. პრინციპები და პრაქტიკა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდი;

ნ. ცარციძე, ე. ღვინერია, გ. დვალი, ნ. დათუაშვილი, თ. ბერძენიშვილი, გ. ჩაგუნავა, ლ. სალაყაია (2007), რეკომენდაციები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისთვის. დროებითი სტანდარტები. ქ. თბილისის მერია (გამოუქვეყნებელი);

ნ. ცინცაძე, გ. ჯავაშვილი, გ. კიკნაძე, გ. მელიქიშვილი (2010), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საბავშვო ბაგა-ბაღის ტიპური წესდება. საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, საქართველოს პორტიჯის ასოციაცია, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ცენტრი – GLHG, ჰოლანდია;

თ. ჯაყელი, ე. სლოვინსკი (2011), სკოლამდელი განათლების პროგრამა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და

შეფასების ცენტრი, გაეროს ბავშვთა ფონდი;
საქართველოს შრომის კოდექსი (2006);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 958. სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ. 2008 წლის 11 ნოემბერი;
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება № 152/ნ - № 496 - № 45/ნ (2010 წლის 31 მაისი). ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები. ქ. თბილისი;
ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება № 23.24.796 ქ. თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რეფორმის განხორციელების შესახებ (2009 წლის 31 აგვისტო);

Child Care Committee of Dublin (2004), Childcare Management Committee Guidelines. Ireland, Dublin;
Department of Education and Early Childhood Development of Victoria. (2009). Kindergarten Cluster Management. Victoria. U.S.A.
Department of Education and Research (2006), The kindergarten act no. 64. Oslo, Norway;
European Commission. (2011), Early Childhood Education and Care: Providing All our Children with the Best Start for the World of Tomorrow.Belgium, Brussels;
Florida Department of Health (2011), Nutrition and Menu Planning for Children in the Child Care Food Program. Florida. USA.
A. Gupta, B. Patnaik, D. Singh, D. Sinha, J. Dreze, R. Holla, S. Garg, T. Sundararaman, V. Prasad, V. Shatrugna (2007), Strategies for Children Under Six;
arrington, B. Moulding, G. Hargrove, S. Lay, T. Downing, L. Rasmussen (2006), Pre-Kindergarten Guidelines. USA, Utah State Office of Education;
B. H. Johnson, G. Andreasen, G. M. Friberg, M. Gulbrandsen, A.P. Beer, T. Lygren, B. Jensen, M. Nilsen, B. Skoglund (2006), Violence Prevention in the Educational Institution ,,Kindergarten" – Present Approaches and Development Possibilities. Norway, the University of Oslo;
G.T. Moore, T. Sugiyama, L. O'donnell (2003), Children's Physical Environments Rating Scale. Australia, the University of Sydney;
New Jersey Department of Education (2011), New Jersey Kindergarten Implementation Guidelines. USA, New Jersey;
Norwegian Ministry of Education and Research (2006), Framework Plan for the Content and Tasks of Kindergartens. Norway, Oslo;
Office for Standarts in Education. Food Standards Agency (2004), Starting early: food and nutrition education of young children. Manchester, U.K.
Ontario Ministry of Education (2010), The Full – Day Early Learning kindergarten

Program. Canada,Ontario;

UN (1989), Convention on the rights of the child. Retrieved February 5th, 2011 from http://www2.ohchr.org/english/law/crc.htm

UN. (2005) Implementing Child Rights in Early Childhood. Retrived 25th of January, 2011 from

http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/AdvanceVersions/GeneralComment7Rev1.pdf

UN. (2006) The rights of Children with disabilities. Retrived from 25th of January, 2011 from

http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/0/405ba882cb9eb3a0c12572f100506ac4/$FILE/G0740702.pdf

UNESCO. (1990). World Declaration on Education for all and framework of actions to meet the basic needs. Retrived 1st of February, 2011 from http://www.unesco.org/education/pdf/JOMTIE_E.PDF

UNESCO. (1994). The Salamanca Statement and Framework for Action on Special needs Education. Retrived 20th of January, 2011from http://www.unesco.org/education/pdf/SALAMA_E.PDF

UNICEF. (2007).Implementation Handbook for the Convention on the rights of the child. Geneva. Switzeland.

U.S. Department of Education. (2005). Helping your Preschool Child. U.S. Washington D.C.

Victorian Curriculum and Assessment Authority, Department of Education and Early Childhood Development. (2008). Analysis of Curriculum/Learning Framework for the Early Years. Birth to age 8. Vitoria, U.S.A.